ვრაქტიკული სამართალი

მასწავლებლის წიგნი

საკვლევი ვერსია

თბილისი
2014

მასწავლებლის წიგნი გამოიცემა გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ფინანსური მხარდაჭერით

გამოცემაზე პასუხისმგებელია საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი. ფონდის წერილობითი ნებართვის გარეშე აკრძალულია აქ მოყვანილი მასალების გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით.

ავტორი: ანა ხარაიშვილი

დიზაინი: თეონა კერესელიძე

რედაქტორი: ნინო ჯავახიშვილი

პედაგოგიური რედაქტორი: გიორგი გახელაძე

სამეცნიერო რედაქტორი: თორნიკე დარჯანია

გამოცემაზე პასუხისმგებელი პირი: თამარ მეტრეველი

ჯ. კახიძის ქუჩა, 0102, თბილისი, საქართველო

+995 32 295 23 53

+995 32 293 61 01

© ყველა საავტორო უფლება დაცულია

ISBN 978-9941-9302-9-4

პედაგოგებისთვის

სამართლის სწავლება მოსწავლეებისათვის საკმაოდ შრომატევადი, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმეა. XXI საუკუნის საზოგადოების განვითარების ტემპიდან გამომდინარე, ნებისმიერი მოქალაქისათვის, განურჩევლად პროფესიისა, აუცილებელია ისეთი საბაზისო სამართლებრივი საკითხების შესწავლა, რომელთა ცოდნაც მათ საზოგადოების სრულფასოვან წევრად და აქტიურ მოქალაქედ აგრძნობინებს თავს. სწორედ ამ მოსაზრებით შეიქმნა აღნიშნული სახელმძღვანელო, რათა პედაგოგს საშუალება მიეცეს გაკვეთილი საინტერესო და ამავე დროს, შედეგზე ორიენტირებული გახადოს. წიგნის სტრუქტურა საკმაოდ მარტივია. ახლავს დამხმარე სავარჯიშოები, რომელთაც დართული აქვს მათი გამოყენების მიზანი და მცირე ინსტრუქცია. სავარჯიშოების შედგენისას ჩვენი მთავარი მიზანი იყო ყველა იმ საკითხის მიმოხილვა, რომელიც რიგით მოქალაქეს, არაიურისტს, შესაძლოა, ცხოვრებაში გამოადგეს. ამიტომაც სახელმძღვანელოში მოცემულ ისტორიებსა და ფაბულებში მარტივად შეიძლება ჩვენი და ჩვენი მეზობლების, ნაცნობ-მეგობრების მდგომარეობისა და პრობლემების დანახვა. სკოლის მოსწავლეთათვის სამართლის სწავლებისას მნიშვნელოვანია, რომ პრაქტიკული სამართლის სახელმძღვანელო, სადაც თეორიული საკითხებია ახსნილი, თეორიად არ დარჩეს და მოსწავლემ აქ მიღებული ცოდნის კონკრეტულ მაგალითთან და ცხოვრებისეულ სიტუაციებთან დაკავშირება შეძლოს. ვფიქრობთ, ამ სახელმძღვანელოს მთავარი დანიშნულება სწორედ ეს არის. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ აქ თავმოყრილი სავარჯიშოები სხვადასხვა სირთულისაა, ამიტომაც მათი შერჩევისას პედაგოგმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინოს სამიზნე ჯგუფის – **მოსწავლეების** შესაძლებლობები და ინტერესები. ამასთან, შემოთავაზებული კაზუსები და ისტორიები ორიენტირებულია მოსწავლის აზროვნების განვითარებაზე, ყველა შესაძლო ვარიანტის განხილვით და არა პრობლემის გადაჭრის ერთადერთი, ცალსახა გზის მოძიებაზე. ამიტომაც უმჯობესია თუ მსგავსი ტიპის სავარჯიშოების გაკეთებას კლასშივე შესთავაზებთ მოსწავლეებს ან წერილობით, ესეს ფორმით, საშინაო დავალებად მისცემთ. ასეთ შემთხვევაში საშუალება გექნებათ, თითოეულის აზროვნებასა და არგუმენტაციის უნარს დააკვირდეთ.

ბავშვებთან მუშაობის მიუხედავად, ყველა პედაგოგს თავისი ინდივიდუალური მიდგომა და გაკვეთილის ჩატარების საკუთარი სტილი აქვს. აღნიშნულს არავინ უარყოფს, თუმცა პრაქტიკულმა გამოცდილებამ გარკვეული მიმართულებები ჩამოაყალიბა, რომელთა გამოყენებამაც წარმატებული და ეფექტური გაკვეთილის ჩატარებამდე უნდა მიგვიყვანოს.

<u>წარმატებული გაკვეთილის წინაპირობებია:</u>

1. **გაკვეთილის მიმდინარეობის წინასწარ ჩამოყალიბებული გეგმა** – მნიშვნელოვანია, რომ გაკვეთილზე ყოველთვის მომზადებული შეხვიდეთ. სპონტანური და დაუგეგმავი გაკვეთილი, როგორც წესი, ქაოსს იწვევს და შედეგზე ორიენტირებული არ არის;
2. **თეორიული მომზადება** – მიუხედავად თქვენი პროფესიონალიზმისა და გამოცდილებისა, გაკვეთილზე შესვლამდე აუცილებლად გადაავლეთ თვალი სასწავლო მასალას და ყურადღება მიაქციეთ საკანონმდებლო ცვლილებებს;
3. **საკითხის დამუშავების სწორი მეთოდიკის შერჩევა** – სამართალში, ისევე როგორც ნებისმიერ საგანში, არსებობს მოსწავლისათვის რთულად ან მარტივად გასაგები საკითხები. გაიგებს თუ არა ბავშვი კონკრეტულ მასალას, თქვენს მიერ შერჩეულ ახსნის მეთოდზეა დამოკიდებული. მაგალითად, თუ თქვენ კონსტიტუციურ სამართალში უფლებათა შეზღუდვის საფუძვლებსა და უფლების დარღვევის შემთხვევებს მხოლოდ ლექციური მეთოდით ახსნით, სავარაუდოდ, ცხოვრებაში მსგავსი შემთხვევების იდენტიფიცირება მოსწავლეს გაუჭირდება. მაშინ, როცა რამდენიმე პრაქტიკული მაგალითის შემცველი სავარჯიშო მოზარდის გონებაში არსებულ საკითხს ნათელს მოჰფენს. ამიტომაც, მნიშვნელოვანია, რომ აღვნიშნოთ – არ არსებობს სწავლების კარგი და ცუდი მეთოდი, მთავარია მხოლოდ ის, რომ საკითხი, რომელსაც ვამუშავებთ სწორად შევუსაბამოთ რეალობას.

პრაქტიკული სამართლის სწავლებისას ერთნაირი წარმატებით, თუმცა განსხვავებული ინტენსივობით, შეიძლება გამოყენებულ იქნეს სწავლების შემდეგი **ძირითადი მეთოდები**:

ლექციური მეთოდი - კლასიკური მეთოდი თეორიული მასალის მოსწავლეებისათვის მიწოდებისა. ბუნებრივია, რომ გაკვეთილის მსვლელობისას ბავშვების მხრიდან სავარჯიშოების გაკეთებისა და პრაქტიკული მაგალითების შესახებ მსჯელობის მიმართ მეტი ხალისი და ენთუზიაზმი შეინიშნება. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლექციური მეთოდი ნაკლები მნიშვნელობისაა. პირიქით, თეორიული მასალის ახსნისა და განხილვის გარეშე წარმატებული და ეფექტური გაკვეთილი წარმოუდგენელია. თუმცა, აქ არსებითი მნიშვნელობის ლექციური პერიოდია. დადგენილია, რომ ნებისმიერ აუდიტორიაში და მითუმეტეს ბავშვებში, კონცენტრაციის უნარი საკმაოდ შეზღუდულია, რაც საბოლოო ჯამში ყურადღების გაფანტვას იწვევს. პედაგოგი კარგავს მოსწავლეს, როგორც მსმენელს და დასახული შედეგის მიღწევა (მასალის აღქმა) რთულდება. ასეთ სიტუაციაში გამოსავალი მეთოდების მრავალფეროვნება და მათი დროული ცვლაა. სასურველია, თუკი 11-12 წუთის შემდეგ ლექციური მეთოდი სხვა მეთოდით ჩანაცვლდება;

გონებრივი იერიში (Brainstorming) - როდესაც პედაგოგი დასამუშავებელ საკითხთან დაკავშირებით ღია შეკითხვით მიმართავს კლასს და ცდილობს მიღებული პასუხებიდან გარკვეული სურათი ააწყოს. ამ დროს, როგორც წესი, მოსწავლეების პასუხები დაფაზე იწერება, რაც საბოლოოდ მასწავლებელს საშუალებას აძლევს თეორიულად ახსნას და შეაჯამოს საკითხი. ამ მეთოდის გამოყენებისას არსებითი მნიშვნელობა შეკითხვის ფორმულირებას აქვს, თუკი პედაგოგი ხვდება, რომ ღია შეკითხვების დასმით დაფაზე სასურველი და ადეკვატური პასუხები არ გამოდის, აუცილებელია მიმანიშნებელი და მიმართულების მიმცემი შეკითხვების მოშველიება. აღნიშნული კი საბოლოო ჯამში მოსწავლეებს უბიძგებს მსჯელობითა და აზროვნებით გარკვეულ დასკვნებამდე მივიდნენ. ამიტომაც სასურველია, რომ მასწავლებელს წინასწარ ჰქონდეს მონიშნული ის სავარაუდო პასუხები, რომელთა დანახვაც გონებრივი იერიშის ბოლოს დაფაზე სურს;

პრაქტიკული მაგალითი - კაზუსი – პრაქტიკული სამართლის სწავლებისას, ერთ-ერთი ინტენსიურად გამოყენებადი მეთოდი, როდესაც პედაგოგი გარკვეულ ისტორიას, ფაბულას სთავაზობს მოსწავლეებს. კაზუსზე მსჯელობა შესაძლებელია, როგორც კლასში ზეპირსიტყვიერად, ასევე წერილობითი ფორმით, საშინაო დავალების ფორმატში;

დისკუსია, დებატი, პრეზენტაცია –მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდები, როდესაც ის გარკვეულ საკითხთან დაკავშირებით საკუთარ პოზიციას აფიქსირებს. ასეთ დროს მნიშვნელოვანია, მოსმენისა და ერთმანეთის აზრის პატივისცემის კულტურის ჩანერგვა მოსწავლეებში. ამ ტიპის მეთოდების გამოყენებისას გასათვალისწინებელია, სადისკუსიო, სადებატო თუ საპრეზენტაციო თემის ფრთხილად და დაკვირვებით შერჩევის საკითხი. არჩეულ თემასთან მიმართებით მოსწავლეების სადისკუსიო, სადებატო და საპრეზენტაციო ჯგუფებში გადანაწილება შეიძლება მოხდეს ორგვარად: საკითხისადმი მათი შინაგანი დამოკიდებულების მიხედვით ან შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. ეს უკანასკნელი არგუმენტირებული და თანმიმდევრული მსჯელობის უნარის უფრო მკვეთრ განვითარებას იწვევს, რადგანაც მოსწავლეს, შესაძლოა, ისეთი პოზიციისა და შეხედულების მტკიცება უწევდეს, რომელსაც შინაგანად არც ეთანხმება;

ტესტები, ღია შეკითხვები - ცოდნის შემოწმების ერთ-ერთი მარტივი და შემაჯამებელი მეთოდი;

პროცესუალური სიმულაციები, იმიტირებული სასამართლო პროცესი – მოსწავლეებისათვის ერთ-ერთი ყველაზე სახალისო მეთოდია - **როლური თამაში**. სურვილისა და ინტერესის არსებობის შემთხვევაში, სასურველია, თუ კურსის დასასრულს ერთხელ მაინც უზრუნველყოფთ ამ მეთოდის გამოყენებას;

4. **მოსწავლისთვის სწორი მითითების მიცემა** - არსებითი მნიშვნელობა აქვს თითოეული სავარჯიშოს წინ მოსწავლეთათვის სწორი ინსტრუქტაჟის მიცემას. აუცილებელია, მოსწავლემ იცოდეს, მისგან კონკრეტულ სწორ პასუხს ელის მასწავლებელი, თუ შესაძლებელია რამდენიმე განსხვავებული პასუხის არსებობა. თუკი კაზუსური ტიპის სავარჯიშოსთან გვაქვს საქმე, როგორც წესი, პასუხის სისწორე მოსწავლის მსჯელობასა და დასაბუთებაზეა დამოკიდებული, ამიტომაც ასეთ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვსმასწავლებლის მიერდასმული შეკითხვების სიზუტეს და საკითხების სწორად აქცენტირებას. ყოველივე ეს საბოლოოდ მოსწავლეს არგუმენტირებულ პოზიციას უყალიბებს და აზროვნებას აჩვევს
5. **დროის სწორად გადანაწილება** - დატვირთული და მრავალფეროვანი გაკვეთილის დაგეგმვისა და ჩატარებისას, მასწავლებლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა დროის მენეჯმენტი და მისი სწორად გადანაწილებაა. გაკვეთილი იმ შემთხვევაში იქნება ეფექტური და შედეგიანი თუ წინასწარ განსაზღვრულ დროის მონაკვეთში ამოიწურება. ამიტომაც დაგეგმვის ეტაპზე ყურადღება მიაქციეთ და წინასწარ განსაზღვრეთ რა მოცულობით იმსჯელებთ ამა თუ იმ თეორიულ საკითხზე და რა დრო დასჭირდება კონკრეტულ სავარჯიშოებს;
6. **გაკვეთილის ხალისითა და ენთუზიაზმით წარმართვა** - სამართალი რომ საინტერესოა მოსწავლეებისათვის, ამას გამოცდილება აჩვენებს, თუმცა ნებისმიერი საინტერესო საკითხის უინტერესო და უღიმღამო დამოკიდებულებით გადმოცემამ, შესაძლოა, სრულიად საპირისპირო შედეგი გამოიწვიოს. ამიტომაც მოსწავლეებს დაანახეთ, რომ სამართალი საინტერესო და გამოსადეგია.

მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების სწორად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია მათი შესაბამისობა მოსწავლის სახელმძღვანელოში არსებულ კონკრეტულ თავსა თუ ქვეთავთან. საგულისხმოა, რომ ორივე ზემოთ მითითებული სახელმძღვანელოაგებულია როგორც ერთმანეთისგან შინაარსობრივად დამოუკიდებელი, ისე ერთმანეთზე დამოკიდებული თემებისგან.ამიტომაც ქვემოთ წარმოგიდგენთ სქემას, რომელიც ერთგვარი შინაარსობრივ-მეთოდური რუკაა პედაგოგისთვის. სქემის პირველი და მეორე რიგი გვიჩვენებს მასწავლებლის სახელმძღვანელოში მოცემული სავარჯიშოების შინაარსობრივ კავშირს მოსწავლის სახელმძღვანელოში არსებულ შესაბამის თეორიულ მასალასთან (თავთან, ქვეთავთან, გვერდთან); ხოლო მესამე რიგში მითითებულია სავარჯიშოს გამოყენების ზოგადი, დარგობრივი წინაპირობები. ამიტომაც მათი უმრავლესობაავტონომიურად განხორციელებადია და მხოლოდ რამდენიმე მათგანის გამოყენებაა სხვა სამართლებრივი დარგების ცოდნაზე დამოკიდებული. რაც შეეხება კონკრეტული სამართლებრივი დარგის ფარგლებში კონკრეტული სავარჯიშოს ადგილს, აღნიშნული რეკომენდაცია წარმოდგენილია თითოეული სავარჯიშოს შესავალ ნაწილში - ინსტრუქცია მასწავლებლისათვის.ვიმედოვნებთ, მოცემული სქემა დაგეხმარებათ სავარჯიშოების სწორად შერჩევასა და გაკვეთილზე მათ იმპლემენტაციაში.

სავარჯიშო	შესაბამისობა მოსწავლის სახელმძღვანელოს სტრუქტურასთან	სავარჯიშოს გამოყენების წინაპირობა
საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები- გვ. 10.	საკონსტიტუციო სამართლის თავი, §II.6, გვ. 33.	ავტონომიური
რომელი უფლების გამოყენებას აქვს ადგილი - დავითის ერთი დღე - გვ. 10.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §II.6, გვ. 33.	ავტონომიური

დააჯგუფეთ უფლებები კატეგორიებად- გვ. 11.	საკონსტიტუციო სამართლის თავი -§II.6, გვ. 33; ადამიანის უფლებების თავი, გვ. 63.	ავტონომიური
შეკრების და მანიფესტაციის უფლება - გვ. 12.	საკონსტიტუციო სამართლის თავი -§II.6, გვ. 33.	ავტონომიური
მმართველობის ფორმები - გვ. 12.	სამართლის არსის თავი, § 6, გვ. 17; საკონსტიტუციო სამართლის თავი, გვ. 21.	ავტონომიური
მმართველობის ფორმები - გვ. 13.	სამართლის არსის თავი, § 6, გვ. 17; საკონსტიტუციო სამართლის თავი, გვ. 21.	ავტონომიური
კონსტიტუციის დებულებები - გვ. 14.	საკონსტიტუციო სამართლის თავი, გვ. 21.	ავტონომიური
ხელისუფლების დანაწილება - გვ. 15.	საკონსტიტუციო სამართლის თავი, გვ. 21.	ავტონომიური
დისკრიმინაცია და მისი ფორმები - გვ. 16.	ადამიანის უფლებების თავი - § 1,2, გვ. 63, 65.	ავტონომიური
სამართლებრივი ურთიერთობა - გვ. 16.	სამართლის არსის თავი -§1, გვ. 11.	ავტონომიური
სამართლის დარგები - გვ. 17.	სამართლის არსის თავი - § 2, გვ. 15.	ავტონომიური
სამართლის დარგები - ლევანის ერთი დღე - გვ. 18.	სამართლის არსის თავი - § 2, გვ. 15.	ავტონომიური
უფლებების შკალა - გვ. 18.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §II.6, გვ. 33; §II.7, გვ. 36; §II.8, გვ. 42; §II.10, გვ. 49; სამოქალაქო სამართლის თავი - §1, გვ. 128;§ 9, გვ. 160;§ 12; § 13; შრომითი ურთიერთობების თავი; სისხლის სამართლის თავი - § 5, გვ. 218.	ავტონომიური
ინფორმაციის თავისუფლება - გვ. 20.	ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თავი, § 14, გვ. 124.	ავტონომიური
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი - გვ. 20.	ზოგადი ადმინისტრაციული სამართლის თავი, § 7, გვ. 107.	წინაპირობა - სამართლის არსი, საკონსტიტუციო სამართალი
მოსწავლის უფლებები - გვ. 21.	განათლების სამართლის თავი, § 6, გვ. 260.	ავტონომიური
განათლების უფლება - გვ. 21.	განათლების სამართლის თავი, § 2, გვ. 250.	ავტონომიური
შექმენი დემოკრატიული სახელმწიფო - გვ. 22.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §II.4,5 გვ. 29.	ავტონომიური

მოქალაქეობა - გვ. 23.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §I.6, გვ. 33.	ავტონომიური
აირჩიეთ ქვეყნის პრეზიდენტი - გვ. 24.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §I.8, გვ. 42.	ავტონომიური
საერთაშორისო ორგანიზაციები - გვ. 24.	საერთაშირისო ორგანიზაციების თავი, გვ. 293.	ავტონომიური
უფლებები - გვ. 26.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §I.6, გვ. 33; ადამიანის უფლებების თავი, გვ.63.	ავტონომიური
მოქალაქის უფლებები - გვ. 26.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §I.6, გვ. 33; ადამიანის უფლებების თავი, გვ.63.	ავტონომიური
უფლებათა კოლიზია - გვ. 27.	ადამიანის უფლებების თავი, გვ.63.	ავტონომიური
კანონის მიღების პროცედურა - გვ. 28.	საკონსტიტუციო სამართლის თავი - §I.7, გვ. 36.	ავტონომიური
აქტიური საარჩევნო ხმის უფლება - გვ. 29.	საარჩევნო სამართლის თავი - § 3, გვ. 286.	ავტონომიური
მე რომ დამკვირვებელი ვიყო - აღმოაჩინე დარღვევები - გვ. 30.	საარჩევნო სამართლის თავი გვ. 281.	ავტონომიური
საარჩევნო უბანი - სუბიექტები და ფუნქციები - გვ. 30.	საარჩევნო სამართლის თავი,გვ. 281.	ავტონომიური
ბრალი სისხლის სამართალში - გვ. 31.	სისხლის სამართლის თავი - § 5, გვ. 218.	ავტონომიური
კროსვორდი საკონსტიტუციო სამართალზე - გვ.31.	საკონსტიტუციო სამართლის თავი, 21.	წინაპირობა - სამართლის არსი, საკონსტიტუციო სამართალი.
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებები - გვ. 32.	სისხლის სამართლის თავი - § 6, გვ. 222.	ავტონომიური
მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხველი გარემოებები - გვ. 33.	სისხლის სამართლის თავი - § 6, 7, გვ. 222, 223.	ავტონომიური
სასჯელები - გვ. 34.	სისხლის სამართლის თავი - § 10, გვ. 228.	ავტონომიური
სასჯელის დანიშვნა - გვ. 35.	სისხლის სამართლის თავი - § 10, გვ. 228.	ავტონომიური
ეკონომიკური დანაშაული - გვ. 35.	სისხლის სამართლის თავი - § 11, გვ. 231.	ავტონომიური
დანაშაული - გვ. 36.	სისხლის სამართლის თავი - § 1, 2, 3, 4, 5 გვ. 213.	ავტონომიური

სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები - გვ. 37.	სისხლის სამართლის პროცესის თავი - § 3, გვ. 235.	წინაპირობა - სისხლის სამართალი
მოწმე სისხლის სამართლის პროცესში - გვ. 37	სისხლის სამართლის პროცესის თავი - § 4, გვ. 236.	წინაპირობა - სისხლის სამართალი
კროსვორდი სისხლის სამართალზე - გვ. 38.	სისხლის სამართლის თავი - გვ. 213; სისხლის სამართლის პროცესის თავი - გვ. 233.	წინაპირობა - სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი
პირი სამოქალაქო სამართალში - გვ. 38.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 1, გვ. 128; სამეწარემო და არასამეწარმეო იურიდიული პირების თავი, გვ.201.	ავტონომიური
იურიდიული პირის სახეები - გვ. 39.	სამეწარემო და არასამეწარმეო იურიდიული პირების თავი, გვ.201.	ავტონომიური
მეურვეობა და მზრუნველობა - გვ. 39.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 1, გვ. 128.	ავტონომიური
მემკვიდრეობა - გვ. 40.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 13, გვ. 178.	ავტონომიური
გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას ქორწინების სამართლებრივი ბედი - გვ. 41.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 12, გვ. 171.	ავტონომიური
მეუღლეთა თანასაკუთრება - გვ. 41.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 12, გვ. 171.	ავტონომიური
ქონების გაყოფა განქორწინებისას - გვ.42.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 12, გვ. 171.	ავტონომიური
ვალდებულება სამოქალაქო სამართალში - გვ. 43.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 2, 8, 9, გვ. 132, 158, 160.	ავტონომიური
ხელშეკრულება - გვ. 43.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 2, 4, 5, 6 გვ. 142, 145,149.	ავტონომიური
სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა - გვ. 44.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 3, გვ. 137.	ავტონომიური
სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები - გვ. 45.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 14, გვ. 184.	წინაპირობა - სამოქალაქო სამართალი
განსჯადობა სამოქალაქო სამართლის პროცესში - გვ. 46.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 14, გვ. 184.	წინაპირობა - სამოქალაქო სამართალი

კროსვორდი სამოქა-ლაქო სამართალზე - გვ. 47.	სამოქალაქო სამართლის თავი,გვ.127.	წინაპირობა - სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი
უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა - გვ. 47.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 1, გვ. 127.	ავტონომიური
გარიგებები - გვ. 49.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 2, გვ. 132.	ავტონომიური
მემკვიდრეთა რიგები - გვ. 50.	სამოქალაქო სამართლის თავი - §13, გვ. 178.	ავტონომიური
მეწარმე სუბიექტები - გვ. 50.	სამეწარემო და არასამე-წარმეო იურიდიული პირების თავი - § 4, გვ.203.	ავტონომიური
დაარეგისტრირე საწარ-მო - გვ. 52.	სამეწარემო და არასამე-წარმეო იურიდიული პირების თავი, გვ.201.	ავტონომიური
გადასახადები - გვ. 53.	საგადასახადო სამართლის თავი - § 6, გვ.210.	წინაპირობა - სამართლის არსი, საკონსტიტუციო სამართალი, ადმინის-ტრაციული სამართალი.
სამოქალაქო სამართლის ბუნება - გვ. 53.	სამოქალაქო სამართლის თავი, გვ.127;	ავტონომიური
შრომითი ურთიერთობე-ბი - გვ. 54.	შრომითი ურთიერთობების თავი, გვ. 195.	ავტონომიური
არასრულწლოვანი შრომის სამართალში - გვ. 55.	შრომითი ურთიერთობების თავი, გვ. 195.	ავტონომიური
კროსვორდი საგადასახა-დო, შრომის, სამეწარმეო და ინტელექტუალური სამართლის შესახებ - გვ. 56.	საგადასახადო სამართლის თავი, გვ. 207; შრომითი ურთიერთობების თავი, გვ. 195; სამეწარემო და არასამე-წარმეო იურიდიული პირების თავი, გვ.201; სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	წინაპირობა - მითითებული დარგები
სამეზობლო სამართლის ძირითადი პრინციპები - გვ. 56.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 11, გვ. 169.	ავტონომიური
ხელშეკრულებები - გვ. 57.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 4, 5, 6, გვ. 142, 145, 149.	ავტონომიური
სამოქალაქო სამართლის ბუნება - გვ. 58.	სამოქალაქო სამართლის თავი, გვ. 127.	ავტონომიური
გარიგების ბათილობა - გვ. 59.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 2, გვ. 132.	ავტონომიური
საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები - გვ. 60.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 12, გვ. 171.	ავტონომიური

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი - გვ. 60.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	ავტონომიური
პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართალში - გვ. 61.	სამოქალაქო სამართლის თავი, გვ. 127.	ავტონომიური
კერძო სამართლის სუბ-იექტები და ობიექტები - გვ. 62.	სამართლის არსის თავი - § 2, გვ. 15; სამოქალაქო სამართ-ლის თავი, გვ. 127.	ავტონომიური
ქორწინება - გვ. 62.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 12, გვ. 171.	ავტონომიური
საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნვე-ლყოფის საშუალება - გვ. 63.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 3, გვ. 137; § 7, გვ. 152	ავტონომიური
ანაბარი და კრედიტი - გვ. 64.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 6, გვ. 149.	ავტონომიური
უძრავი ქონების დარეგ-ისტრირება კანონით მემკვიდრეობისას - გვ. 65.	სამოქალაქო სამართლის თავი - §13, გვ. 178.	ავტონომიური
კაზუსი - აურზაური სა-მეზობლოში - გვ. 66.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 11, გვ. 169.	ავტონომიური
კეთილსინდისიერი შემძენი - გვ. 67.	სამოქალაქო სამართლის თავი - §3, გვ. 137.	ავტონომიური
საავტორო უფლებები - გვ. 68.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	ავტონომიური
საავტორო უფლებები - გვ. 70.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	ავტონომიური
სასაქონლო ნიშანი - გვ. 70.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	ავტონომიური
პატენტის გაცემა - გვ. 71.	სამოქალაქო სამართლის თავი - § 10, გვ.163.	ავტონომიური
ფორმა და შინაარსი - გვ. 72.	სახელმძღვანელოს თითქმის ყველა თავი	ავტონომიური
ტესტები და ღია შეკითხ-ვები -გვ. 74.	სახელმძღვანელოს თითქმის ყველა თავი	წინაპირობა - მთლიანი მასალა

გისურვებთ წარმატებებს!

სარჩევი

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები	14
რომელი უფლების გამოყენებას აქვს ადგილი - დავითის ერთი დღე	14
დააჯგუფეთ უფლებები კატეგორიებად	15
შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება	16
მმართველობის ფორმები	16
მმართველობის ფორმები	17
კონსტიტუციის დებულებები	18
ხელისუფლების დანაწილება	19
დისკრიმინაცია და მისი ფორმები	20
სამართლებრივი ურთიერთობა	20
სამართლის დარგები	21
სამართლის დარგები - ერიკის ერთი დღე	22
უფლებების შკალა	22
ინფორმაციის თავისუფლება	24
ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი	24
მოსწავლის უფლებები	25
განათლების უფლება	25
შექმენი დემოკრატიული სახელმწიფო	26
მოქალაქეობა	27
აირჩიეთ ქვეყნის პრეზიდენტი	28
საერთაშორისო ორგანიზაციები	28
უფლებები	30
მოქალაქის უფლებები	30
უფლებათა კოლიზია	31
კანონის მიღების პროცედურა	32
აქტიური საარჩევნო ხმის უფლება	33
მე რომ დამკვირვებელი ვიყო - აღმოაჩინე დარღვევები	34
საარჩევნო უბანი-სუბიექტები-ფუნქციები	34

კროსვორდი საკონსტიტუციო სამართალზე	35
ბრალი სისხლის სამართალში	35
მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები	36
მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები	37
სასჯელები	38
სასჯელის დანიშვნა	39
ეკონომიკური დანაშაული	39
დანაშაული	40
სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები	41
მოწმე სისხლის სამართლის პროცესში	41
კროსვორდი სისხლის სამართალზე	42
პირი სამოქალაქო სამართალში	42
იურიდიული პირის სახეები	43
მეურვეობა და მზრუნველობა	43
მემკვიდრეობა	44
გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბ-რუნებისას ქორწინების სამართლებრივი ბედი	45
მეუღლეთა თანასაკუთრება	45
ქონების გაყოფა განქორწინებისას	46
ვალდებულება სამოქალაქო სამართალში	47
ხელშეკრულება	47
სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა	48
სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები	49
განსჯადობა სამოქალაქო სამართლის პროცესში	50
კროსვორდი სამოქალაქო სამართალზე	51
უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა	51
გარიგებები	53
მემკვიდრეთა რიგები	54
მეწარმე სუბიექტები	54
დაარეგისტრირე საწარმო	56
გადასახადები	57
სამოქალაქო სამართლის ბუნება	57

შრომითი ურთიერთობები	58
არასრულწლოვანი შრომის სამართალში	59
კროსვორდი საგადასახადო, შრომის, სამეწარმეო და ინტელექტუალური სამართლის შესახებ	60
სამეზობლო სამართლის ძირითადი პრინციპი	60
ხელშეკრულებები	61
სამოქალაქო სამართლის ბუნება	62
გარიგების ბათილობა	63
საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები	64
ინტელექტუალური საკუთრების სამართალი	64
პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართალში	65
კერძო სამართლის სუბიექტები და ობიექტები	66
ქორწინება	66
საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება	67
ანაბარი და კრედიტი	68
უძრავი ქონების დარეგისტრირება კანონით მემკვიდრეობისას	69
კაზუსი - აურზაური სამეზობლოში	70
კეთილსინდისიერი შემძენი	71
საავტორო უფლებები	72
საავტორო უფლებები	74
სასაქონლო ნიშანი	74
პატენტის გაცემა	75
ფორმა და შინაარსი	76
ტესტები და ღია შეკითხვები	78
დანართები - კროსვორდები	97
კროსვორდის პასუხები	107

საქართველოს კონსტიტუციით გათვალისწინებული უფლებები და თავისუფლებები

სავარჯიშოს მიზანი: საქართველოს კონსტიტუციის მე-2 თავის ზოგადი აღქმა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გაკვეთილის როგორც დასაწყისში, ისე ბოლოს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ტექსტი და გამოტოვებული ადგილები შეავსეთ იმ სიტყვებით, რომლებიც თქვენი აზრით ტექსტს ყველაზე მეტად შეესაბამება.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას უნდა მიეცეს შრომის შესაძლებლობა, რადგანაც კანონის წინაშე ყველა _____. კონსტიტუციით მინიჭებული უფლებების დასაცავად ნებისმიერ ადამიანს უფლება აქვს მიმართოს _____. დაუშვებელია ადამიანის _____ დასჯა. ყველას, ვინც საქართველოში კანონიერად იმყოფება, აქვს ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილებისა და _____ თავისუფლად არჩევის უფლება. ყველა ადამიანის ცხოვრება, პირადი ჩანაწერი, მიმოწერა, სატელეფონო და სხვა სახის საუბარი, მიღებული შეტყობინებები ხელშეუხებელია. ამ უფლებების შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ _____ გადაწყვეტილებით ან კანონით გათვალისწინებული გადაუდებელი აუცილებლობისას მის გარეშეც. ინტელექტუალური შემოქმედების თავისუფლება უზრუნველყოფილია, შემოქმედებით პროცესში ჩარევა და შემოქმედებითი საქმიანობის სფეროში _____ დაუშვებელია. ყველას, გარდა სამხედრო ძალებისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს შემადგენლობაში შემავალი პირებისა, უფლება აქვს ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და _____ როგორც _____, ისე გარეთ. სახელმწიფო ვალდებულია, ხელი შეუწყოს თავისუფალი მეწარმეობისა და კონკურენციის განვითარებას. აკრძალულია _____ საქმიანობა. ყველას აქვს განათლების მიღების უფლება, _____ და _____ განათლება სავალდებულოა. სახელმწიფო ხელს უწყობს _____ კეთილდღეობას. აკრძალულია _____ ადამიანის რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, რელიგიის, პოლიტიკური და სხვა შეხედულებების, ეროვნული და ეთნიკური კუთვნილების ნიშნით.

რომელი უფლების გამოყენებას აქვს ადგილი – დავითის ერთი დღე

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს იმ უფლებების გააზრება, რომლებიც მათ ყოველდღიურ ცხოვრებაში სამართლიან და თავისუფალ არსებობას განაპირობებს.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების თავის დასაწყისშივე. მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელმა მოსწავლეს გააზრებინოს ყველა უფლება გამოყენების თვალსაზრისით, რაც სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ამ უფლებების თეორიულად განხილვაში დაგეხმარებათ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ისტორია — "დავითის ერთი დღე" და განსაზღვრეთ თუ რა უფლებების რეალიზაციას აქვს ადგილი ამ ერთი დღის განმავლობაში და რაში გამოიხატება აღნიშნული.

16 წლის დავითისათვის ერთ-ერთი რიგითი ორშაბათი დღე გათენდა. ის, ჩვეულებისამებრ, მოწესრიგდა, ოჯახის წევრებს დაემშვიდობა და სკოლისაკენ გაემართა. სკოლაში 6 გაკვეთილს დაესწრო და, შეთანხმებისამებრ, გაკვეთილების შემდეგ, თავის მეგობრებთან ერთად, 1 საათიანი მშვიდობიანი აქცია მოაწყო, სახელწოდებით „ცხოველები შველას ითხოვენ" (დავითს და მის მეგობრებს ამავე სახელწოდებით საზოგადოებრივი გაერთიანება აქვთ ჩამოყალიბებული). ერთ-ერთი არხის კორესპონდენტმა მას როგორც აქციის ორგანიზატორს, ინტერვიუც ჩამოართვა. დავითმა ჟურნალისტს განუცხადა, რომ ორი თვის წინ უპატრონო ძაღლებთან და მათ მდგომარეობასთან დაკავშირებით თბილისის

მერიისგან ოფიციალური მონაცემები გამოითხოვა. დავითის თქმით, ცხოველების მდგომარეობა სავალალოა, რის შესახებაც მან ორი კვირის წინ საგაზეთო სტატიაც კი დაბეჭდა ერთ-ერთ პერიოდულ გამოცემაში. აქციაზე მოსწავლეებმა ცხოველთა გაუსაძლისი მდგომარეობის თემატიკაზე თავიანთი შესრულებული ნახატებიც გამოფინეს. აქციის დასრულების შემდეგ, დავითი საჯარო ბიბლიოთეკისკენ გაემართა, სადაც ის ყოველდღე (შაბათ-კვირის გარდა), გაკვეთილების შემდეგ საღამოს 6 საათამდე, ბიბლიოთეკარის დამხმარედ მუშაობს. სახლში მისულმა დავითმა, საღამოს 9 საათზე, ერთ-ერთ ტელეარხზე საინფორმაციო გამოშვებას უყურა. სიუჟეტი სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი პირების მდგომარეობას შეეხებოდა. ჟურნალისტის კვლევა აჩვენებდა, რომ ამ ტიპის დაწესებულებებში მყოფ ადამიანებზე ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლა აღარ ხდება. დავითი კმაყოფილია საკუთარი თავით, მიაჩნია, რომ დღემ ნაყოფიერად ჩაიარა. დღის დასრულებამდე მან კიდევ ერთი სასიამოვნო ამბავი შეიტყო, მამამ მას ერთკვირიანი საგზური აჩუქა რომის მიმართულებით. ასე რომ, დავითი ზაფხულში ოჯახთან ერთად იტალიაში იმოგზაურებს.

დაავგუფეთ უფლებები კატეგორიებად

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს თითოეული უფლების კონკრეტული კატეგორიისადმი მიკუთვნება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების გაკვეთილის დასაწყისშივე, უფლებებისა და თავისუფლებების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული უფლებები და განსაზღვრეთ, რომელ კატეგორიას მიეკუთვნება თითოეული მათგანი: პირად, პოლიტიკურ თუ სოციალურ-ეკონომიკურ უფლებათა კატეგორიას. შეავსეთ ცხრილი.

სიცოცხლის უფლება; პატივისა და ღირსების უფლება; თავისუფალი გადაადგილების უფლება; საარჩევნო უფლება; პეტიციის უფლება; საკუთრებისა და მემკვიდრეობის უფლება; შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება; განათლების უფლება; გაერთიანების უფლება; ჯანმრთელობის დაცვის უფლება; ინფორმაციის თავისუფლება; პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება; სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის თავისუფლება; ოჯახის დაცვის უფლება; სასამართლო წესით დაცვის უფლება; უდანაშაულობის პრეზუმფცია.

პირადი	პოლიტიკური	სოციალურ-ეკონომიკური

შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს შეკრებისა და მანიფესტაციის, როგორც ერთ-ერთი მთავარი უფლების გააზრება, გაერკვას ტერმინოლოგიაში და იდენტიფიცირება მოახდინოს, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ჰქონდა თუ არა ადგილი ამ უფლების დარღვევას.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სასურველია, სავარჯიშო გაკეთდეს თეორიული მასალის მიწოდებამდე. სავარჯიშოს დასრულების მერე, წარმართეთ მცირე დისკუსია მოსწავლეებს შორის და მხოლოდ ამის შემდეგ გააცანით თეორიული მასალა შეკრებისა და მანიფესტაციის უფლების კონსტიტუციურ-სამართლებრივი და სხვა ნორმატიული საფუძვლების განხილვით. (საქართველოს კონსტიტუციის 25-ე მუხლი, საქართველოს კანონი შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ, 12.06.1997).

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, გაანალიზეთ ისინი და იმსჯელეთ, რამდენად ჰქონდათ მოქალაქეებს შეკრებისა და მანიფესტაციის უფლება და აქვს თუ არა ადგილი კანონდარღვევას.

1. მოქალაქეებმა გადაწყვიტეს პოლიციის შენობის წინ შეკრების ჩატარება;
2. მოქალაქეთა ჯგუფმა, აპროტესტებდა რა კომუნალური გადასახადების გაძვირებას, ქვეყანაში მოახდინა რკინიგზის ბლოკირება 24 საათის განმავლობაში;
3. ბრალდებულ გიორგაძისთვის სოლიდარობის გამოხატვის მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოსთან შეიკრიბა მოქალაქეთა ჯგუფი. ბრალდებულის მხარდამჭერები აქტიურად, თუმცა ზომიერად გამოხატავდნენ თავიანთ შეხედულებებს საქმის განმხილველი სასამართლოს მიმართ და საქმის სამართლიანად გადაწყვეტას მოითხოვდნენ. აღნიშნული შეკრების გამო შენობაში შესვლა-გამოსვლა შეფერხდა. აქედან გამომდინარე, მანდატურებმა დაშალეს შეკრება და მოქალაქეები სასამართლოს ეზოდან გაყარეს;
4. პოლიტიკურმა პარტია „მძლეთამძლემ“ გადაწყვიტა, ჩაეტარებინა მანიფესტაცია რუსთაველის გამზირზე. პარტიის ლიდერმა იცოდა რა, რომ კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება, წინასწარი ნებართვის გარეშე შეიკრიბოს საჯაროდ და უიარაღოდ როგორც ჭერქვეშ, ისე გარეთ, სახელისუფლებო ორგანოებისთვის შეტყობინების გარეშე, მოაწყო მშვიდობიანი მანიფესტაცია და გადაკეტა რუსთაველის გამზირი;
5. თავისუფლების აღკვეთის ერთ-ერთი დაწესებულების შენობასთან, 50 მეტრის რადიუსში, არასამთავრობო ორგანიზაცია „საზოგადოება პატიმართა უფლებების დასაცავად“ მშვიდობიან მიტინგს ატარებდა. ზამთრის სუსხიან დღეს გათბობის მიზნით ორგანიზატორებმა შეკრების მონაწილეებს ლუდი დაურიგეს.
6. მანიფესტაციის ორგანიზატორმა სიტყვით გამოსვლისას შეკრებილთ საქართველოს კონსტიტუციური წყობილების დამხობისკენ მოუწოდა;
7. სამხედრო ძალების წარმომადგენლებმა, ითხოვდნენ რა სოციალური პირობების გაუმჯობესებას, გადაწყვიტეს შეკრებილიყვნენ.

მმართველობის ფორმები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს სახელმწიფო მმართველობის ფორმების ერთმანეთისგან გამიჯვნა, თითოეული ფორმისთვის დამახასიათებელი ნიშნების გათვალისწინებით, კონკრეტული ქვეყნის მართვის სისტემის იდენტიფიცირება და მისთვის უპირატესი მიდგომის ჩამოყალიბება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: კლასის შესაძლებლობების გათვალისწინებით, შეგიძლიათ სავარჯიშოს შესრულება თეორიული მასალის ლექციური მეთოდით მიწოდებამდეც და მას შემდეგაც. დასასრულს, შესაძლებელია, მცირე დისკუსიის გამართვა იმასთან დაკავშირებით, თუ მმართველობის რომელი ფორმა მოსწონთ მოსწავლეებს და რატომ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული მაგალითები და წინადადებების დასაწყისში ჩასვით გრაფაში მითითებული მმართველობის ფორმები.

/აბსოლუტური მონარქია/ /საპარლამენტო რესპუბლიკა/ /დუალისტური მონარქია/

/შერეული სისტემის რესპუბლიკა/ /საპრეზიდენტო რესპუბლიკა/ /კონსტიტუციური

მონარქია/ /თეოკრატიული მონარქია/ /არჩევითი მონარქია/

1. _____ში სახელისუფლებო ძალაუფლება განაწილებულია მონარქსა და პარლამენტს შორის. მონარქის უფლებები საკანონმდებლო სფეროში ოდნავ შეზღუდულია.
2. _____ში ხელისუფლების სამივე შტო — საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება ერთ პირს ეკუთვნის.
3. _____ში მონარქი ერთიანობის სიმბოლოა, ის მეფობს, მაგრამ არ მართავს.
4. _____ში აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტის ხელშია, ის არის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური. საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ერთმანეთისგან მკვეთრად არის გამიჯნული. პრეზიდენტს არ შეუძლია პარლამენტის დათხოვნა, ხოლო პარლამენტს არ შეუძლია მთავრობის გადაყენება.
5. _____ში პრეზიდენტს უფლება აქვს, დაითხოვოს პარლამენტი, ხოლო პარლამენტს უფლება აქვს მონაწილეობა მიიღოს მთავრობის ფორმირებაში.
6. _____ში პრეზიდენტი სახელმწიფო მეთაურია. მთავრობის ფორმირება ხდება პარლამენტის მიერ. პარლამენტს შეუძლია გადააყენოს მთავრობა და ასევე, მთავრობას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი.
7. _____ში სახელმწიფოს მეთაური რელიგიური ლიდერია.
8. _____ში, მაგალითად, არაბეთის გაერთიანებულ საემიროებში არსებობს ფედერალური საბჭო, რომელშიც ყველა საემიროს მმართველია გაერთიანებული, სწორედ მათი შემადგენლობიდან აირჩევა ფედერალური საბჭოს თავმჯდომარე.

მმართველობის ფორმები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ უზუსტობების გარეშე შეძლოს განასხვაოს მმართველობის ფორმები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: მმართველობის ფორმების ლექციური მეთოდით დამუშავების შემდეგ, შეგიძლიათ აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება მიწოდებული მასალის მოსწავლეების მიერ სწორად აღქმის შესამოწმებლად.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული თეზები, აღმოაჩინეთ მცდარი მსჯელობები და გაასწორეთ ისინი.

1. კონსტიტუციურ მონარქიაში - კონსტიტუციას იღებს და ცვლის მონარქი, ხელისუფლების ყველა შტო მის ხელშია;
2. დუალისტურ მონარქიაში -ხელისუფლება განაწილებულია პრემიერ-მინისტრსა და პარლამენტს შორის, მონარქის როლი სიმბოლურია;
3. საპარლამენტო რესპუბლიკაში - პრეზიდენტი მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურია, აღმასრულებელ ხელისუფლებას პრემიერ-მინისტრი ხელმძღვანელობს;
4. თეოკრატიულ მონარქიაში - სახელმწიფოს მეთაური რელიგიური ლიდერია, მაგალითად, როგორც ეს ვატიკანის სახელმწიფოშია;

5. საპრეზიდენტო რესპუბლიკაში - აღმასრულებელი ხელისუფლება სრულად ეკუთვნის პრეზიდენტს, ამასთანავე, მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი;
6. შერეული სისტემის რესპუბლიკისთვის - თანაბრად დამახასიათებელია მონარქიული და რესპუბლიკური ფორმების ნიშნები;
7. აბსოლუტური მონარქიები - თანამედროვე მსოფლიოშიც არსებობენ, მაგალითისთვის, დიდი ბრიტანეთი, სადაც სამეფო ოჯახი დღემდე მოღვაწეობს.

კონსტიტუციის დებულებები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს კონსტიტუციის, როგორც ქვეყნის უზენაესი კანონის, მნიშვნელობისა და დანიშნულების გააზრება ასევე, გააანალიზოს კონსტიტუციით განმტკიცებული საკითხთა გარკვეული ჯგუფი.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია მხოლოდ კონსტიტუციის შესახებ ზოგადი ისტორიული მიმოხილვის შემდეგ, მისი სტრუქტურის დამუშავებამდე. ხოლო სავარჯიშოს დასრულებისას, შესაძლებელი იქნება კონსტიტუციის სისტემის ანალიზი თავებისა და მუხლების მიხედვით.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წარმოიდგინეთ, რომ აყალიბებთ სახელმწიფოს. მოიფიქრეთ თქვენი ქვეყნის სახელწოდება, მმართველობის ფორმა და ჩამოთვლილი დებულებებიდან აირჩიეთ რამდენიმე, რომელთაც თქვენი ქვეყნის კონსტიტუციაში ჩაწერდით, ამასთანავე, დაასაბუთეთ, თუ რატომ თქვით უარი იმ დებულებებზე, რომლებიც არ აგირჩევიათ. სურვილისამებრ შეგიძლიათ დაამატოთ სხვა თეზებიც.

1. ქურდობა - ეს არის სხვისი ნივთის ფარული დაუფლება და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 1-დან 10 წლამდე;
2. სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს;
3. საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთო მგზავრობა ისჯება კანონით;
4. ადამიანის პატივი და ღირსება ხელშეუვალია;
5. ნასყიდობის ხელშეკრულებით, გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი;
6. პარლამენტი არის ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;
7. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება მხარეებს, კანონით დადგენილ ვადაში, შეუძლიათ გაასაჩივრონ სააპელაციო სასამართლოში;
8. ქვეყნის პრეზიდენტი არის სახელმწიფოს მეთაური, ის წარმართავს და ახორციელებს სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკას;
9. განზრახ დანაშაულად ითვლება ქმედება, რომელიც ჩადენილია პირდაპირი ან არაპირდაპირი განზრახვით;
10. ყველა ადამიანი დაბადებით თავისუფალია და კანონის წინაშე თანასწორია განურჩევლად რასისა, კანის ფერისა, ენისა, სქესისა, რელიგიისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა, ეროვნული, ეთნიკური და სოციალური კუთვნილებისა, წარმოშობისა, ქონებრივი და წოდებრივი მდგომარეობისა, საცხოვრებელი ადგილისა;
11. დანაშაულის რეციდივი ნიშნავს წინათ განზრახი დანაშაულისათვის ნასამართლევი პირის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენას;
12. _____;
13. _____.

ხელისუფლების დანაწილება

სავარჯიშოს მიზანი: სავარჯიშოს მიზანია მოსწავლემ ერთმანეთისგან გამიჯნოს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების დანიშნულება და ფუნქციები საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: ხელისუფლების დანაწილებისა და დაბალანსების პრინციპის, თითოეული შტოს დანიშნულებისა და ფუნქციების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ რეკომენდებულია ამ სავარჯიშოს შესრულება საკითხების უკეთესად აღსაქმელად.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: შეუსაბამეთ გრაფაში მოცემული თეზები ცხრილში მოცემულ სუბიექტებს – შეავსეთ ცხრილი.

- იღებს კანონებს;
- ახდენს მსჯავრდებულთა შეწყალებას;
- შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისგან;
- აცხადებს საგანგებო და საომარ მდგომარეობას;
- ნიშნავს საკონსტიტუციო სასამართლოს 3 მოსამართლეს;
- განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს;
- გამოსცემს დეკრეტს;
- წარუდგენს პარლამენტს ბიუჯეტის პროექტს;
- ნიშნავს და ათავისუფლებს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს;
- ახორციელებს მართლმსაჯულებას;
- ყოველწლიურად იღებს სახელმწიფო ბიუჯეტის კანონს;
- წყვეტს მოქალაქეობის, თავშესაფრის მიცემის საკითხებს;
- შედგება კომიტეტების, ფრაქციების, ბიუროებისგან;
- როგორც წესი, იკრიბება წელიწადში ორჯერ;
- აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით.
- ახდენს საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების რატიფიცირებას, დენონსირებასა და გაუქმებას;

პარლამენტი	პრეზიდენტი	მთავრობა	სასამართლო

დისკრიმინაცია და მისი ფორმები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს დისკრიმინაციული შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი ლეგიტიმური შეზღუდვებისგან გამიჯვნა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია დისკრიმინაციის ფორმებისა და ფარგლების ახსნისას, რათა მოსწავლემ უკეთესად შეძლოს მკვეთრი ზღვრის გავლება დისკრიმინაციულ და არადისკრიმინაციულ შემთხვევებს შორის.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და განსაზღვრეთ, არის თუ არა სახეზე დისკრიმინაციის შემთხვევები და რა ფორმის. პასუხი დაასაბუთეთ.

1. 17 წლის ელინა არ შეუშვეს ღამის კლუბში იმ მოტივით, რომ კლუბის შინაგანაწესის თანახმად 18 წლამდე ახალგაზრდები კლუბში არ დაიშვებიან;
2. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფებიან;
3. განცხადება სამსახურის მაძიებელთათვის: "ოქროულობის მაღაზიას ესაჭიროება ღამის დარაჯი. ქალბატონები და 45 წელს გადაშორებული მამაკაცები ნუ გამოგვეხმაურებით";
4. უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის უფლება მხოლოდ შეძლებულ ადამიანებს აქვთ;
5. ერთ-ერთი საჯარო სკოლის პედაგოგი სამსახურიდან გაათავისუფლეს იმ მოტივით, რომ ის რომელიღაც პარტიის მიტინგზე შეამჩნიეს;
6. საჯარო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში, ეთნიკური წარმომავლობის გამო, უარი უთხრეს ეთნიკურად სომეხ სერგის;
7. 26 წლის ელენეს უარი უთხრეს კომპანიის მენეჯერის თანამდებობაზე იმ მოტივით, რომ ის ქალი იყო;
8. არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვთ მოქალაქეებს, რომლებიც სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არიან ცნობილნი;
9. გიორგი გაათავისუფლეს სამსახურიდან მას შემდეგ, რაც მან სარწმუნოება შეიცვალა;
10. სამოდელო სტუდიამ უარი უთხრა ირენს კონტრაქტის გაფორმებაზე იმ მოტივით, რომ ირენი არ იყო სათანადო სიმაღლის და სოფლიდან იყო ჩამოსული;
11. ერთ-ერთმა სკოლამ შემოიღო წესი, რომლის მიხედვითაც სკოლაში აზერბაიჯანელი ბავშვები არ დაიშვებოდნენ.

სამართლებრივი ურთიერთობა

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ უნდა გამიჯნოს სამართლებრივი კატეგორიის ქმედება მორალურად გასაკიცხი ქმედებისგან და ამის ფონზე ჩამოაყალიბოს სამართლისა და მორალისათვის დამახასიათებელი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: ამ ტიპის სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია სამართლის არსის მოკლე მიმოხილვის შემდგომ, რათა მოსწავლემ უკეთესად დაინახოს მორალსა და სამართალს შორის სხვაობა და ნათლად გამოკვეთოს სამართლის, როგორც სავალდებულო წესრიგის მახასიათებლები. სავარჯიშოს დასრულების შემდგომ, სასურველია, სამართლისა და მორალის ნიშნების სქემატური დამუშავება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევები და განსაზღვრეთ რომელია სამართლებრივი ურთიერთობა და რომელი ურთიერთობა ექცევა მხოლოდ მორალის რეგულირების ქვეშ.

1. სერგიმ მაღაზიაში პური და კარაქი იყიდა;
2. ქამრანმა და ნოდარმა ერთმანეთს ავტომობილები გაუცვალეს;
3. მელისამ გიას 3 დღით ლეპტოპი ათხოვა;
4. ელინამ მოხუცებულს საზოგადოებრივ ტრანსპორტში ადგილი არ დაუთმო;
5. რეზომ ავტობუსით მგზავრობისას ბილეთი არ შეიძინა;
6. ერიკს მეგობარმა მობილური ტელეფონი აჩუქა;
7. მეგობრის დაბადების დღის სუფრიდან მომავალი დავითი ქუჩაში უცენზურო სიტყვებით იგინებოდა;
8. ანამ მეგობარს მათემატიკის საკონტროლო არ გადააწერინა;
9. ირენმა დაინახა რა, რომ ქუჩაში მანქანები არ მოძრაობდნენ, წითელ შუქნიშანზე გზის სავალი ნაწილი გადაკვეთა;
10. უსაქმური ლევანი ხშირად ართმევს ბებიას პენსიას და ტოტალიზატორში თამაშობს;
11. თამარი ეკლესიაში შარვლით შევიდა.

სამართლის დარგები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ ერთმანეთისგან გამიჯნოს სამართლის ძირითადი დარგები (თუ ქვედარგები) და მათი რეგულაციის სფეროები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სამართლის დარგების ლექციური მეთოდით ახსნის შემდეგ, რეკომენდებულია მიწოდებული მასალის აღნიშნული სავარჯიშოთი გადამოწმება. კლასის შესაძლებლობების მიხედვით მასწავლებელი თავად განსაზღვრავს, თუ რამდენად დეტალურად ახსნის სამართლის ქვედარგებს. (შედარებით სუსტი კლასის შემთხვევაში, შესაძლებელია, ქვემოთ ჩამოთვლილ შემთხვევებთან ერთად დარგების (ქვედარგების) ჩამონათვალის დარიგებაც).

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: შეუსაბამეთ მოცემული შემთხვევები სამართლის დარგებს — განსაზღვრეთ რომელი დარგის (ქვედარგის) მოსაწესრიგებელია ისინი და უფრო ზუსტად, რომელი დარგი თუ ქვედარგი შეესაბამება კონკრეტულ მოცემულობას. აქვე მიუთითეთ, შემთხვევა საჯარო სამართლებრივია თუ კერძო სამართლებრივი.

- პარლამენტმა მიიღო კანონი, რომლის მიხედვითაც სრულად გაუქმდა სიკვდილით დასჯა;
- მარიამი საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთო მგზავრობისთვის კონტროლიორმა დააჯარიმა;
- ასლანმა თავისი კუთვნილი ავტომობილი მერსედესი სადაზღვეო კომპანია „მაოში“ დააზღვია;
- საქართველომ ხელი მოაწერა საერთაშორისო ხელშეკრულებას ნარკოტიკულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ;
- იუსტიციის სამინისტრომ სამუშაო კაბინეტების მოსაწყობად 20 ცალი ქოთნის ყვავილი იყიდა;
- სერგიმ უარი განაცხადა ალიმენტი გადაუხადოს თავის არასრულწლოვან შვილს, ამიტომ ელენემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და განქორწინებასთან ერთად გიორგისათვის ალიმენტის დაკისრება მოითხოვა;
- შპს „დონას“ დირექტორმა არ გადაიხადა მოგების გადასახადი, რის გამოც შემოსავლების სამსახურმა კომპანია დააჯარიმა;
- ნათიამ მოთხრობების კრებულში თავისი ავტორობით ნაწარმოები გამოაქვეყნა. რამდენიმე ხანში ნოდარმა სასამართლოში შეიტანა სარჩელი და ნათია თავისი ნაწარმოების მოპარვასა და პლაგიატში დაადანაშაულა;

- პეტრემ უმოწყალოდ სცემა ვანოს;
- ერეკლემ, გიორგიმ და ქამრანმა ერთობლივი ბიზნესის წარმოების მიზნით შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „დამიანე“ ჩამოაყალიბეს;
- ეკას უარი უთხრეს სამსახურში კუთვნილი შვებულების მიცემაზე.

სამართლის დარგები – ერიკის ერთი დღე

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ ნათლად აღიქვას და გაანალიზოს ის ფაქტი, თუ გაუცნობიერებლად რამდენი სახის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობს ადამიანი და რა მნიშვნელობა აქვს სამართალს თითოეული მათგანის ყოველდღიურ ცხოვრებაში.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სამართლის დარგებისა თუ ქვედარგების ლექციური მეთოდით დამუშავების შემდეგ, შესაძლებელია აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება, სამართლის დარგების იდენტიფიცირებისა და მათი ყოველდღიურ ცხოვრებაში გამოყენების ხაზგასასმელად.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ სავარჯიშო „ერიკის ერთი დღე“, მოძებნეთ სამართლებრივი ურთიერთობები და სამართლის რეგულაციის ქვეშ მოქცეული შემთხვევები.

ერიკი დილის 9 საათზე გამოვიდა სახლიდან. 10 საათისათვის ის უკვე სამსახურში იყო. გამომდინარე იქიდან, რომ აგვისტოს თვე იწყებოდა და შვებულებაში გასვლას აპირებდა, სამსახურში მისულმა ერიკმა კუთვნილი ხელფასი აიღო და შვებულებაში გასვლა ოფიციალურად გააფორმა.

სამსახურიდან წამოსულმა ერიკმა, გამომდინარე იქიდან, რომ მეორე დღეს სხვა გეგმები ჰქონდა, წინასწარ შეთვალიერებული მანქანის იმ დღესვე ყიდვა გადაწყვიტა. 12 საათისათვის ის უკვე მანქანების ბაზრობაზე იყო. ლევანმა მანქანის საფასური გადაიხადა და ახალშეძენილი მანქანით მეგობართან წასვლა გადაწყვიტა.

ერიკს ერთი სული ჰქონდა მანქანას როდის აჩვენებდა მეგობარს; სიჩქარეში შუქნიშნის წითელ სიგნალზე გაიარა, რაც კუთხეში შეჩერებულმა საპატრულო მანქანამ შენიშნა და საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის 50 ლარიანი ჯარიმა გამოუწერა.

მეგობართან მისულ ერიკს თავზარი დაეცა, ბინის კარი ღია დახვდა. ერიკი მიხვდა, რომ საკეტი გატეხილი იყო. დაურეკა რა მეგობარს, ერიკმა გადაწყვიტა ისევ თავისი საქმეებისთვის მიეხედა და მეგობართან საღამოს გაევლო.

მეგობრის სახლიდან წამოსულმა ერიკმა გადაწყვიტა ახალშენაძენი მანქანა ქურდობისა და სხვა უბედური შემთხვევებისგან დაეცვა. ასეც მოიქცა და ერთ-ერთ დაწესებულებასთან ხელშეკრულება გააფორმა, რომლის თანახმადაც მანქანის დაწვის ან მოპარვის შემთხვევაში ფინანსურ ზარალს აუნაზღაურებდნენ.

საღამოს ერიკი დაპირებისამებრ კვლავ თავის მეგობართან მივიდა. სამწუხაროდ, სახლიდან ბევრი რამ იყო გატანილი. მისი მეგობრის მწუხარებას ისიც აძლიერებდა, რომ იმ დღეს მეუღლეს დაშორდა.

უფლებების შკალა

სავარჯიშოს მიზანი: საქართველოს მოქალაქის სამართლებრივი და უფლებრივი მდგომარეობის ასაკობრივი შკალის გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება შესაძლებელია ნებისმიერ ეტაპზე, გამომდინარე იქიდან, რომ მასში აკუმულირებულია ადამიანის (ზოგ შემთხვევაში მოქალაქის) უფლებრივი მდგომარეობა, ზოგადად, სამართალში და არა - რომელიმე კონკრეტულ დარგში.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: დაუკავშირეთ ერთმანეთს ასაკი და თეზა.



1. გაქვს მემკვიდრედ ყოფნის უფლება;
2. გაქვს პრეზიდენტად არჩევის უფლება;
3. გაქვს მოსამართლედ გახდომის უფლება;
4. გაქვს პარლამენტის წევრად არჩევის უფლება;
5. ქმედუუნარო ხარ;
6. პენსიაზე გადის ქალი;
7. პასუხს აგებ იმ ზიანისათვის, რაც სხვას მიაყენე, დელიქტუნარიანი ხარ;
8. სრულწლოვანი, სრულად ქმედუნარიანი ხარ;
9. შეზღუდულად ქმედუნარიანი ხარ;
10. უფლებაუნარიანი ხარ;
11. შეგიძლია ხმა მისცე არჩევნებში — აქტიური საარჩევნო ხმის უფლება;
12. ჩადენილი დანაშაულისათვის პასუხს აგებ სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად;
13. გაქვს ქორწინების უფლება მშობლების წინასწარი თანხმობით ან განსაკუთრებულ შემთხვევაში, სასამართლოს ნებართვით;
14. წარმოგეშობა შრომითი ქმედუნარიანობა;
15. შეგიძლია სპორტულ, კულტურულ, სარეკლამო და ხელოვნებასთან დაკავშირებულ სფეროებში მუშაობა;
16. გაქვს ქორწინების სრული უფლება;
17. წარმოგეშობა შრომითი ქმედუნარიანობა კანონიერი წარმომადგენლის ან მზრუნველობის/მეურვეობის ორგანოს თანხმობით;
18. გაქვს საწარმოს გაძღოლის უფლება და ამ სფეროში შეუზღუდავი ქმედუნარიანობა;
19. თვითონ განკარგავ საკუთარ ქონებას;
20. პენსიაზე გადის მამაკაცი.

ინფორმაციის თავისუფლება

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი პირის, აგრეთვე, ღია და დახურული საჯარო ინფორმაციის ტიპების იდენტიფიცირება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია მხოლოდ საჯარო ინფორმაციის ცნების, ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტების, დახურული ინფორმაციის ძირითადი ტიპების თეორიული დამუშავების შემდეგ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ თითოეული შემთხვევა და უპასუხეთ მოცემულ შეკითხვებს.

ა) გიორგიმ, რომელსაც უყვარს ელინა, ნაცნობებისგან გაიგო, რომ ელინას ჯანმრთელობის გარკვეული პრობლემები აქვს. გოგონამ უარი განუცხადა გიორგის ამ ინფორმაციის მიწოდებაზე. გიორგი დარწმუნებულია, რომ მას, როგორც ანის შეყვარებულს, სრული უფლება აქვს გაიგოს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა. იგი განცხადებით მიმართავს საავადმყოფოს, რომელიც კერძო სამართლის იურიდიული პირია, სადაც ელინას რამდენიმე კვირის წინ იწვა;

გვაქვს თუ არა სახეზე საჯარო ინფორმაცია და მის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი? უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა გიორგის მოთხოვნა? პასუხი დაასაბუთეთ.

ბ) დემეტრემ განცხადებით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს და მოითხოვა სამხედრო ძალების დისლოკაციისა და სტრატეგიული გადაადგილების შესახებ ინფორმაცია;

რა სახის ინფორმაციას ითხოვს დემეტრე და უნდა დაკმაყოფილდეს თუ არა მისი მოთხოვნა? პასუხი დაასაბუთეთ.

გ) ირენმა განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და ერეკლეს საცხოვრებელ ბინასთან დაკავშირებით უფლებადამდგენი დოკუმენტი (ნასყიდობის ხელშეკრულება) მოითხოვა. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ უარი განუცხადა ირენს ამ ინფორმაციის მიწოდებაზე იმ მოტივით, რომ აღნიშნული ინფორმაცია ერეკლეს პირად საიდუმლოებას წარმოადგენს.

იმსჯელეთ, სწორად მოიქცა თუ არა სააგენტო, იყო თუ არა ის ინფორმაციის გაცემაზე უფლებამოსილი სუბიექტი და რა სახის ინფორმაცია გვაქვს სახეზე?

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი

სავარჯიშოს მიზანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის სახეების შესწავლა მათთვის დამახასიათებელი ნიშნების გამოკვეთის გზით.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ადმინისტრაციული სამართლის გაკვეთილზე, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის თეორიულად დამუშავების შემდეგ. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე, სასურველია, ნორმატიული და ინდივიდუალური ადმინისტრაციული აქტის ნიშნების კონკრეტულად გამოკვეთა და კიდევ ერთხელ ხაზგასმა.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრეთ გვაქვს თუ არა სახეზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი, დადებითი პასუხის შემთხვევაში ნორმატიულია ის თუ ინდივიდუალური.

1. ანი, რომელსაც სამსახურში აგვიანდებოდა, არ დაემორჩილა ამკრძალავ ნიშანს "შეხვევა აკრძალულია" და ავტომობილით იმ ქუჩაზე შევიდა, რომელზეც დასაშვები იყო მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობა. ანის აღნიშნული მოძრაობა იქვე მდგომმა

საპატრულო მანქანამ შეამჩნია. პატრულის თანამშრომელმა ანი გააჩერა და მოძრაობის წესების დარღვევისათვის 50 ლარიანი ჯარიმა გამოუწერა;

2. 270-ე საჯარო სკოლის დირექტორმა, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლამდე, სამსახურიდან გაათავისუფლა ბიოლოგიის პედაგოგი, რის შესახებაც გამოსცა ბრძანება;
3. სერგის თბილისის ზღვაზე კუთვნილ ნაკვეთში მშენებლობის წამოწყება სურს. მას 2 სართულიანი სახლის აშენება აქვს განზრახული, ამიტომაც მშენებლობის ნებართვის მისაღებად ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს „თბილისის არქიტექტურის სამსახურს" მიმართა. წარდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე აღნიშნულმა სამსახურმა სერგის მშენებლობის ნებართვა მისცა;
4. სკოლა „პიონერის" დირექტორმა გამოსცა ბრძანება, რომლის მიხედვითაც მასწავლებლებს გაკვეთილზე დაგვიანებისათვის კუთვნილი ხელფასის 0,05 % ჩამოეჭრებოდათ;
5. საქართველოს მთავრობამ 2013 წლის 28 მარტს, „ნორმატიული აქტების შესახებ" კანონისა და „სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის შესახებ" კანონის შესაბამისად, გამოსცა დადგენილება სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოსამსახურის ფიცის დამტკიცების შესახებ.

მოსწავლის უფლებები

სავარჯიშოს მიზანი: ცხოვრებისეული მაგალითების საფუძველზე გააანალიზონ ის, თუ რა უფლებებს ანიჭებს მათ კანონი, როგორც სკოლის მოსწავლეებს.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია მოსწავლის უფლებების შესახებ თეორიული მასალის მიწოდებამდე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ ჰქონდა თუ არა მოსწავლის უფლებების დარღვევას ადგილი და კონკრეტულად, რა მიმართულებით.

1. თბილისის ერთ-ერთმა საჯარო სკოლამ სასკოლო ფორმა შემოიღო. ნინიმ უარი თქვა ფორმის ტარებაზე იმ მოტივით, რომ ერთფეროვნება არ უყვარს და ყოველდღიურად განსხვავებული სამოსის ტარება ურჩევნია;
2. ამელს სკოლის დირექტორმა გრძელი კაბითა და თავსაბურავით სკოლაში სიარული აუკრძალა, მიუხედავად იმისა, რომ იცოდა ამელის მრწამსის შესახებ. გოგონა მუსლიმი იყო და სხვაგვარ ჩაცმულობას რელიგია უკრძალავდა;
3. მასწავლებელმა 15 წლის ელენეს გაკვეთილზე მობილური ტელეფონი ჩამოართვა და კლასის თანდასწრებით წაიკითხა ელენეს პირადი მიმოწერა მის თანაკლასელ გიოსთან;
4. 11 წლის ასლანი საშუალო მოსწრების მოსწავლეა, თუმცა მასწავლებელი მას გამუდმებით გონებაჩამორჩენილს ეძახის;
5. ერთ-ერთი საჯარო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა ჩამოაყალიბეს გაზეთი „პარანორმალური მოვლენები". გაზეთმა მოსწავლეებზე დამთრგუნველი ზეგავლენა იქონია, რამაც მშობლების შეშფოთება გამოიწვია. სკოლის ადმინისტრაციამ მოსწავლეებისგან შემდგარ სარედაქციო კოლეგიას გარკვეული შეზღუდვები დაუწესა;
6. დისციპლინის სისტემატური დარღვევის გამო, მასწავლებელმა დათოს სემესტრულ შეფასებას 2 ქულა ჩამოაკლო.

განათლების უფლება

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ სრულად გაიზიაროს განათლების უფლების შინაარსი და მისი მნიშვნელობა ქვეყნისთვის.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია განათლების სამართალზე ზოგადი თეორიული მსჯელობის შემდეგ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ მიზანშეწონილი იქნება განათლების უფლების დეტალური განხილვა (ფიზიკური და ფინანსური ხელმისაწვდომობა და ა.შ.).

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, დაირღვა თუ არა განათლების უფლება და რა ფორმით.

1. 15 წლის გიორგი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწავლეა. ის დამოუკიდებლად სკოლის შენობაში შესვლას ვერ ახერხებს. მიუხედავად ამისა, დირექტორმა მას უარი უთხრა შენობის შესასვლელთან პანდუსის დაყენებაზე;
2. ციხეში მყოფ არასრულწლოვან დათოს ციხის ადმინისტრაციამ უარი განუცხადა საგანმანათლებლო პროგრამით უზრუნველყოფაზე;
3. ამელმა ვერ მოახერხა თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვება;
4. უცხოეთიდან დაბრუნებულ მე-12 კლასის მოსწავლეს უარი უთხრეს ექსტერნატის წესით გამოცდის ჩაბარების მოთხოვნაზე;
5. ზესტაფონის ერთ-ერთმა საჯარო სკოლამ უარი განაცხადა ეთნიკურად სომეხი მოსწავლის მიღებაზე;
6. 5 წლის გიორგი ასაკის გამო არ მიიღეს თბილისის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში;
7. ელინამ ვერ დაძლია რა მე-5 კლასის სასწავლო პროგრამა, მე-2 წელს იგივე კლასში დატოვეს;
8. ფინანსური სახსრების აკუმულირების მიზნით სახელმწიფომ ქედის ერთ-ერთი საჯარო სკოლა გააუქმა, რის გამოც ბავშვებს 50 კილომეტრის მოშორებით, რაიონულ ცენტრში უწევდათ სკოლაში სიარული;
9. მესტიის ერთ-ერთ საჯარო სკოლაში, სკოლის დირექტორი მოსწავლეებისგან ყოველთვიური გადასახადის მოკრებას ითხოვდა, აღნიშნულ თანხებს კი სკოლის რემონტსა და პედაგოგებისთვის გამიზნულ საჩუქრებს ახმარდა.

შექმენი დემოკრატიული სახელმწიფო

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს დემოკრატიული სახელმწიფოს ძირითადი მახასიათებლების აღქმა და სხვა რეჟიმებთან შედარება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: აღნიშნული სავარჯიშოს შესრულების შემდეგ რეკომენდებულია მმართველობის დემოკრატიული, ტოტალიტარული, ავტოკრატული რეჟიმების ლექციური მეთოდიკით დამუშავება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წარმოიდგინეთ, რომ აყალიბებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს, თქვენ დაგევალათ იმ ძირითადი პრინციპებისა და ნიშნების ამორჩევა, რომელზედაც თქვენი სახელმწიფო უნდა იდგეს. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და ამოარჩიეთ დემოკრატიული სახელმწიფოსათვის აუცილებელი, რელევანტური თეზები. პასუხი დაასაბუთეთ. იმსჯელეთ, რატომ არ აირჩიეთ სხვა დებულებები. სურვილის შემთხვევაში შეგიძლიათ დაამატოთ თქვენეული პრინციპებიც.

- პარლამენტს აკომპლექტებს პრეზიდენტი;
- ხელისუფლების წყაროა მთავრობა;
- ხელისუფლება სრულად ეკუთვნის პრეზიდენტს;
- პრეზიდენტი ერთდროულად არის სახელმწიფოსა და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური;
- დისკრიმინაცია აკრძალულია;
- მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე უნდა დაწესდეს ცენზურა;
- ხმის მიცემის უფლება მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ;

- ხელისუფლება დაყოფილია 3 შტოდ: საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლება. თითოეული მათგანი დამოუკიდებელია თავის საქმიანობაში;
- სასამართლო ექვემდებარება მონარქს;
- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები აირჩევა ხალხის მიერ გარკვეული ვადით;
- არჩევნები უნდა იყოს საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი;
- საკანონმდებლო და სასამართლო ხელისუფლებას ახორციელებს პრეზიდენტი, ხოლო აღმასრულებელ ხელისუფლებას — მთავრობა;
- ქვეყანაში ფუნქციონირებს ერთი მმართველი პარტია;
- ხელისუფლების წყაროა ხალხი;
- აკრძალულია სხვა რელიგია, გარდა სახელმწიფო რელიგიისა;
- არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ 18-დან 80 წლამდე მოქალაქეებს.

მოქალაქეობა

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მოქალაქეობის მიღებისა და დაკარგვის შემთხვევების იდენტიფიცირება და მათი სამართლებრივი შეფასება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია მოქალაქეობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონისა და კონსტიტუციის შესაბამისი მუხლების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და უპასუხეთ შეკითხვებს.

1. საქართველოს მოქალაქე ელენემ იტალიის მოქალაქეობა მიიღო, რის გამოც საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა. ელენემ მიაკითხა ადვოკატს, რომელმაც მას უთხრა, რომ საქართველოს კანონმდებლობით ორმაგი მოქალაქეობაა დაშვებული. როგორ უნდა მოიქცეს ელენე, შეუძლია თუ არა მას ერთდროულად იყოს საქართველოსა და სხვა ქვეყნის მოქალაქე?
2. ჯეკს, რომელიც ბოლო 10 წელია საქართველოში ცხოვრობს, უარი უთხრეს საქართველოს მოქალაქეობაზე იმ მოტივით, რომ არ იცოდა ქართული ენა და საქართველოს გეოგრაფია. ჯეკი თვლის, რომ მას უკანონოდ უთხრეს უარი მოქალაქეობაზე. რას ფიქრობთ თქვენ?
3. დევიდმა, რომელიც საქართველოს მოქალაქე ანიზეა დაქორწინებული და უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში მასთან ერთად ცხოვრობს, საქართველოს მოქალაქეობა მოითხოვა. დევიდის მოთხოვნა დაკმაყოფილდა. სწორად მიენიჭა თუ არა დევიდს საქართველოს მოქალაქეობა? იმსჯელეთ ამ გზით მოქალაქეობის მინიჭების საკითხზე;
4. 13 წლის ნინის ორივე მშობელმა მოქალაქეობა შეიცვალა. რა ბედი ეწევა ნინის, რომელსაც სურს, რომ საქართველოს მოქალაქე დარჩეს?
5. მაკასა და სერგის, რომლებიც საქართველოს მოქალაქეები არიან, ინგლისში შეეძინათ შვილი. ბავშვი საქართველოს მოქალაქედ ითვლება. სწორია თუ არა აღნიშნული თეზა?
6. კატრინი საფრანგეთში დაიბადა, მისი დაბადების მომენტისათვის კატრინის დედა საქართველოს მოქალაქე იყო, ხოლო მამა — ესპანეთის. შვილის მოქალაქეობის საკითხი მშობლებმა ურთიერთშეთანხმებით გადაწყვიტეს. ჰქონდათ თუ არა ამის უფლება მშობლებს?
7. ლაშას, რომლის მიმართაც არსებობს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო განაჩენი, უარი უთხრეს საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე. აქვს თუ არა ლაშას აღნიშნულის უფლება?

8. დემეტრე 1 წლის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით არ დადგა საკონსულო აღრიცხვაზე, რის გამოც საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა. მართებულია თუ არა აღნიშნული თეზა?
9. ნოდარმა 5 წლის განმავლობაში ზედიზედ ჩაიდინა 2 განზრახი მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებებში, რის გამოც მას საქართველოს მოქალაქეობა ჩამოერთვა. ნოდარი თვლის, რომ მისი უფლებები დაირღვა, თქვენ რას ფიქრობთ?

აირჩიეთ ქვეყნის პრეზიდენტი

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეისწავლოს ძირითადი საარჩევნო ცენზები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: პრეზიდენტის ინსტიტუტზე მსჯელობისას, სასურველია, აღნიშნული სავარჯიშოს გაკეთება, რასაც თან უნდა მოჰყვეს საარჩევნო ცენზების თეორიული განხილვა და საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებამდელი და ცვლილებებს შემდგომი რეგულაციების ანალიზი. სავარჯიშოს ბოლოს რეკომენდებულია მცირე დისკუსია და მოსწავლეთა მოსაზრებების გაგება იმ სავალდებულო მოთხოვნების შესახებ, რასაც კონსტიტუციის მოქმედი რედაქციით პრეზიდენტობის კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი 5 პიროვნების მონაცემი, გადაწყვიტეთ ვის აქვს მოქმედი კანონმდებლობით პრეზიდენტად კენჭისყრის უფლება.

1. 32 წლის ნოდარი პატრიოტია, ის პარტია „დამოუკიდებელი საქართველოს“ წევრია და ერთი წლის წინ ჩამოვიდა ვაშინგტონიდან, სადაც 5 წლის განმავლობაში მსოფლიო ბანკის სათავო ოფისის იურისტად მუშაობდა;
2. 38 წლის ერიკი საქართველოში მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირია, ის განათლებით ეკონომისტია, უპარტიოა, ძალიან უყვარს საქართველო და სურს მისი პრეზიდენტი გახდეს;
3. 40 წლის დანიელმა 10 წლის წინ მიიღო საქართველოს მოქალაქეობა და ბოლო 8 წელია საქართველოში ცხოვრობს. ის პროფესიით დიზაინერია, ძალიან უყვარს საქართველო და მისი გაძლიერება უნდა;
4. 55 წლის დემეტრე წარმატებული პოლიტიკოსია. ის ორჯერ იყო უკვე ქვეყნის პრეზიდენტი, მისი მმართველობის პერიოდში ქვეყანა განვითარდა და წინ წავიდა, მოსახლეობა მას აფასებს. ამიტომ მან გადაწყვიტა კიდევ ერთხელ მიიღოს მონაწილეობა პრეზიდენტის არჩევნებში, კვლავ გახდეს პრეზიდენტი და ქვეყნის აღორძინება გააგრძელოს;
5. 70 წლის ასლანი დაბადებით საქართველოს მოქალაქეა. პოლიტიკაში საქმიანობის 30 წლიანი გამოცდილება აქვს, პროფესიით იურისტია, წლებია ცხოვრობს და მოღვაწეობს საქართველოში.

საერთაშორისო ორგანიზაციები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ძირითადი საერთაშორისო ორგანიზაციების სტატუსისა და მიზნების (ფუნქციების) ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: საერთაშორისო ორგანიზაციების ლექციური მეთოდით დამუშავების შემდეგ, მიწოდებული თეორიული მასალის ათვისების შესამოწმებლად, რეკომენდებულია აღნიშნული სავარჯიშოს შესრულება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული დებულებები და შეუსაბამეთ ისინი ცხრილში მოცემულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, ამასთანავე, დაუკავშირეთ თითოეული ორგანიზაცია ორგანიზაციის ტიპის მწკრივში მოცემულ ერთ-ერთ ტიპს, ბოლო მწკრივში ჩაწერეთ კი ან არა.

- ჰუმანიტარული ორგანიზაცია, უზრუნველყოფს სამხედრო კონფლიქტებისა და არეულობების დროს დაზარალებული ადამიანებისთვის დახმარების აღმოჩენას;

- სამხედრო-პოლიტიკური ალიანსი, რომელიც მიმართულია შეიარაღებული კონფლიქტების პრევენციისაკენ, თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, სამხედრო გზით კონფლიქტის მოგვარებასაც უზრუნველყოფს. ასევე, ახორციელებს ჰუმანიტარულ მიზნებსაც;
- ერთიანი ევროპული სივრცის იდეის გარშემო გაერთიანებული სახელმწიფოების კავშირი. მისი მიზანია სახელმწიფოთა ეკონომიკური განვითარება და შეიარაღებული კონფლიქტების თავიდან აცილება;
- ორგანიზაციის ძირითადი მიზანია ადამიანის უფლებების დაცვა, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიული ღირებულებების უზრუნველყოფა; შედგება შემდეგი ორგანოებისგან: ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, მინისტრთა კომიტეტი, ევროპის რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების კონგრესი, საპარლამენტო ასამბლეა;
- უზრუნველყოფს კონფლიქტების თავიდან აცილებას შეიარაღებული ძალების გარეშე, კრიზისული სიტუაციების მართვას, საზღვრების დაცვასა და მართვას;
- ახორციელებს საერთაშორისო ვაჭრობის ხელშეწყობას, უზრუნველყოფს სავაჭრო დავების მოგვარებას;
- ფინანსურად ეხმარება განვითარებად ქვეყნებს, უზრუნველყოფს ფინანსური სტაბილურობის დაცვასა და სიღარიბის შემცირებას;
- უზრუნველყოფს განვითარებადი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებისათვის დახმარების აღმოჩენას, გასცემს უპროცენტო ან დაბალპროცენტიან სესხებს;
- ძირითადი მიზანია ტერორიზმთან ბრძოლა, მშვიდობის შენარჩუნება, ჰუმანიტარული პროექტები. შედგება შემდეგი ერთეულებისგან: გენერალური ასამბლეა, უშიშროების საბჭო, სამეურვეო საბჭო, ეკონომიკური და სოციალური საბჭო, სამდივნო, მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლო.

ორგანიზაციის ტიპი, სტატუსი	**ორგანიზაციის დასახელება**	**ორგანიზაციის მიზნები, ფუნქციები**	**არის თუ არა საქართველო წევრი**
	წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი		
სამთავრობო (სახელმწიფოთაშორისი) საერთაშორისო ორგანიზაცია	მსოფლიო ბანკი		
	საერთაშორისო სავალუტო ფონდი		
	ევროკავშირი		
	ჩრდილოატლანტიკური ორგანიზაციის ხელშეკრულება (ნატო)		
	ევროპაში უსაფრთხოების და თანამშრომლობის ორგანიზაცია – ეუთო		
არასამთავრობო საერთაშორისო ორგანიზაცია	ევროსაბჭო		
	მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია		
	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია (გაერო)		

უფლებები

სავარჯიშოს მიზანი: უფლებებისა და თავისუფლებების კატეგორიებად და სახეებად პირობითი დაყოფის აღქმა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ზოგადი თეორიული და ასევე, მათი სახეებად და კატეგორიებად დაყოფის მიმოხილვის შემდეგ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: ქვემოთ მოცემულ წინადადებებში ჩასვით გრაფაში მითითებული ცნებები. ერთი და იგივე ცნების გამოყენება დასაშვებია რამდენჯერმე.

/ბუნებითი უფლება/ /აბსოლუტური უფლება/ / არჩევნებში მონაწილეობის უფლება/ /შეზღუდული უფლება/ /თავისუფლება/ / უფლება/ /მატერიალური უფლებები/ /საპროცესო უფლება/ /სოციალური უფლებები/

1. სიცოცხლის უფლება ადამიანის _____ა და დაბადებისთანავე ენიჭება.
2. მონობისა და იძულებითი შრომის აკრძალვა _____ა და მისი შეზღუდვა დაუშვებელია.
3. როგორც წესი, მხოლოდ და მხოლოდ ქვეყნის მოქალაქეებს აქვთ _____.
4. თავისუფალი გადაადგილების უფლება ერთ-ერთი -_____-_____ა.
5. _____ თავის თავში გულისხმობს ისეთ უფლებას, როდესაც ადამიანი თავის ქმედებებში თავისუფალია, სახელმწიფო ამ დროს, ძირითადად, პასიურია და არ ერევა.
6. _____ ძირითადად გულისხმობს ადამიანისათვის რაიმე მოქმედების განხორციელების მინიჭებას. ამ დროს სახელმწიფო აქტიურია და ვალდებულია, გარკვეული უზრუნველყოფა მოახდინოს.
7. აზრის _____.
8. რელიგიის _____.
9. სასამართლოსადმი მიმართვის უფლება ერთ-ერთი _____ა.
10. სიტყვის, აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, პატივისა და ღირსების უფლება სხვა უფლებებთან ერთად _____ს კატეგორიას მიეკუთვნება.
11. შრომისა და განათლების უფლებები _____ს კატეგორიას განეკუთვნება.
12. დომინირებული მოსაზრების თანახმად, სიცოცხლის უფლება _____ არ არის.

მოქალაქის უფლებები

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს საქართველოს მოქალაქის უფლებების გაანალიზება და იმის აღქმა, თუ რატომ არ აქვს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ყველა ადამიანს უკლებლივ ყველა უფლება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: ადამიანის უფლებებზე ზოგადი თეორიული მსჯელობის შემდეგ, სასურველია, ამ სავარჯიშოს კლასში შეტანა, რათა მოსწავლეებმა მოქალაქისა და უცხოელის სამართლებრივი სტატუსის გამიჯვნა და ამ კუთხით უფლებებისა და მოვალეობების გრადაცია შეძლონ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ცხრილში მოცემული უფლებები

და მოვალეობები და განსაზღვრეთ მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს ეკუთვნის ისინი თუ ზოგადად ადამიანს. დასვით პლუსები და მინუსები.

უფლებები და მოვალეობები	საქართველოს მოქალაქე	უცხოელი
არჩევნებში ხმის მიცემის უფლება (აქტიური საარჩევნო უფლება)		
საკუთრების უფლება		
უფლება, იყო არჩეული ან დანიშნული სახელმწიფო თანამდებობაზე		
ქორწინების უფლება		
სამხედრო სამსახურის გავლის მოვალეობა		
რეფერენდუმში მონაწილეობის უფლება		
ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების უფლება		
ქვეყანაში შემოსვლისა და ქვეყნიდან გასვლის უფლება		
პარტიის წევრობის ან სხვა პოლიტიკური საქმიანობის განხორციელების უფლება		
ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება		

უფლებათა კოლიზია

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს უფლებათა კანონიერი შეზღუდვის არაკანონიერი შეზღუდვებისგან განსხვავება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს გაკეთება რეკომენდებულია თითოეული უფლების ლექციური მეთოდიკით დამუშავების შემდეგ. სავარჯიშოს შესრულების შემდეგ, სასურველია, უფლებათა კანონიერი შეზღუდვის საფუძვლებზე დეტალური მსჯელობა.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და უპასუხეთ შეკითხვებს.

ამელი ქუჩის მხატვრობის მიმდევარია. ის თვლის, რომ უფლისგან განსაკუთრებული ნიჭითაა დაჯილდოებული და თავისი ნიჭის გამომჟღავნება უყვარს. ერთ მშვენიერ დღეს მან, ერთ-ერთი სახლის კედელზე, იმპრესიონისტული ნახატი შეასრულა და კმაყოფილი დაბრუნდა შინ.

უცხო ქვეყნიდან დაბრუნებულმა გიორგიმ აღმოაჩინა, რომ მისი სახლის კედელი ამელს „შეულამაზებია“ და გაბრაზებულმა ნახატი თეთრად გადაღება. ამასთანავე, გიორგიმ სარჩელით მიმართა სასამართლოს და ამელისგან გაწეული ხარჯების ანაზღაურება

მოითხოვა. ამელი, თავის მხრივ, მიიჩნევს, რომ გაანადგურა რა ნახატი, გიორგიმ მისი პიროვნების თავისუფალი განვითარებისა და შემოქმედებითი თავისუფლების უფლება დაარღვია.

თქვენი აზრით, რა უფლებები უპირისპირდება მოცემულ შემთხვევაში ერთმანეთს? თქვენ რომ მოსამართლე იყოთ, რა გადაწყვეტილებას მიიღებდით? პასუხი დაასაბუთეთ.

კანონის მიღების პროცედურა

სავარჯიშოს მიზანი: კანონის მიღების პროცედურის შესახებ ზოგადი წარმოდგენის შექმნა და ამ პროცესში პარლამენტისა და პრეზიდენტის როლის გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია შედარებით ძლიერ კლასში კონსტიტუციისა და ხელისუფლების ორგანოების შესახებ მსჯელობისას. მნიშვნელოვანია, რომ კანონის მიღების პროცედურა ზოგადად ახსნილი უნდა იქნეს მოსწავლეებისთვის სავარჯიშოს შესრულებამდე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და მონიშნეთ პარლამენტის მიერ კანონის მიღების პროცედურისათვის ადეკვატური (სწორი) თეზები. შემდეგ, მონიშნული თეზები, თანმიმდევრულად დაალაგეთ კანონის მიღების ინიციატივიდან კანონის გამოქვეყნებამდე.

1. პრეზიდენტმა კანონპროექტის მისთვის გადაცემიდან მე-15 დღეს ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა იგი;
2. პარლამენტმა კენჭი უყარა პრეზიდენტის შენიშვნებს. კენჭისყრის შედეგებმა აჩვენა, რომ პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებს არ იზიარებს;
3. პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა მიღებული კანონი, ამიტომაც მას ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა პრემიერ-მინისტრმა;
4. პარლამენტმა კანონპროექტი დამსწრეთა უმრავლესობით მიიღო, რაც კონკრეტულ შემთხვევაში, პარლამენტის წევრთა 1/3 იყო;
5. საპარლამენტო ფრაქციამ კანონის მიღების ინიციატივით მიმართა საქართველოს პარლამენტს;
6. მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტი პრეზიდენტის შენიშვნებს არ დაეთანხმა, კენჭი ეყარა კანონპროექტს პრეზიდენტის შენიშვნების გათვალისწინებით;
7. კენჭი ეყარა კანონპროექტის პირვანდელ ვარიანტს (პრეზიდენტის შენიშვნებამდე არსებულ ვარიანტს), რომელსაც მხარი დაუჭირა პარლამენტის სიითი შემადგენლობის 3/5-მა;
8. პრეზიდენტმა დადგენილ ვადაში არ გამოაქვეყნა მიღებული კანონი, ამიტომაც მას ხელი მოაწერა და გამოაქვეყნა პარლამენტის თავმჯდომარემ;
9. პრეზიდენტმა პარლამენტის მიერ მისთვის გადაცემულ კანონპროექტს შენიშვნები დაურთო და ისევ პარლამენტს დაუბრუნა;
10. საინიციატივო ჯგუფმა, რომლის მიზანიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კანონის მიღებაა, 20 000 მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა და პარლამენტს აღნიშნული კანონის მიღების მოთხოვნით მიმართა;
11. პარლამენტმა კანონპროექტი დამსწრეთა უმრავლესობით მიიღო, რაც კონკრეტულ შემთხვევაში პარლამენტის წევრთა 1/5 იყო;
12. საინიციატივო ჯგუფმა, რომლის მიზანიც კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით კანონის მიღებაა, 35 000 მოქალაქის ხელმოწერა შეაგროვა და პარლამენტს აღნიშნული კანონის მიღების მოთხოვნით მიმართა;
13. პარლამენტმა 3 მოსმენით მიღებული კანონპროექტი მიღებიდან მე-3 დღეს პრეზიდენტს გადასცა.

სავარჯიშოს მიზანი: სხვადასხვა სუბიექტების მაგალითზე საარჩევნო უფლების განხორციელების სპეციფიკის გააზრება და ამ კუთხით ისეთი პრაქტიკული ცოდნის მიღება, რომელიც ნებისმიერ ადამიანს რეალურ ცხოვრებაში შეიძლება გამოადგეს.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია კონსტიტუციურ სამართალზე, კერძოდ, საარჩევნო უფლებაზე მსჯელობისას. საარჩევნო უფლების ზოგადი მიმოხილვის შემდეგ, მიაწოდეთ მოსწავლეებს აღნიშნული სავარჯიშო და დაავალეთ დაასაბუთონ თავიანთი პოზიცია საარჩევნო უფლებასთან დაკავშირებით, ქვემოთ მოცემულ სპეციალურ შემთხვევებთან მიმართებით. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე კი საარჩევნო კოდექსის შესაბამისი მუხლების გამოყენებით გააცანით მოსწავლეს კონკრეტული შემთხვევების მომწესრიგებელი დანაწესები.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და უპასუხეთ იქვე დასმულ შეკითხვებს. პასუხი დაასაბუთეთ.

1. ლევანი პრეზიდენტის არჩევნების კენჭისყრის დღემდე 2 კვირით ადრე ავტოსაგზაო შემთხვევაში მოყვა. მას ფეხი და ხელი აქვს მოტეხილი და გადაადგილება არ შეუძლია. ლევანს არ უნდა, მისი ხმა დაიკარგოს და სურს, რომ თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა შეასრულოს და არჩევნებში მონაწილეობა მიიღოს. როგორ უნდა მოიქცეს ლევანი?
2. მარიტას 23 თებერვალს დაბადების დღე აქვს, ის 18 წლის ხდება. სწორედ ამ დღეს ქვეყანაში პარლამენტის არჩევნებია. მარიტა საარჩევნო სიებში არ აღმოჩნდა, თუმცა არჩევნებში მონაწილეობის მიღება მას ძალიან უნდა. აქვს თუ არა მარიტას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა მოიქცეს ის?
3. ელინა, რომელმაც დანაშაული ჩაიდინა, მე-2 წელია სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იხდის სასჯელს. ერთ თვეში ქვეყანაში მორიგი არჩევნებია, ელინას ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღება სურს, თუმცა სასჯელაღსრულების დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლები მას ეუბნებიან, რომ თავისუფლება აღკვეთილ პირებს საარჩევნო უფლება შეზღუდული აქვთ და მას ხმის მიცემის უფლება არ აქვს. აქვს თუ არა ელინას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა მოიქცეს ის?
4. ზაზა არჩევნების დღეს პირადობის მოწმობით საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მივიდა. ის უბანზე არ შეუშვეს, რადგანაც ზაზას მარჯვენა ხელზე 3 თითი არ აქვს, მათ შორის, ცერაც და მარკირების პროცედურის განხორციელება შეუძლებელია. აქვს თუ არა ზაზას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა მოიქცეს ის?
5. გვანცა დაიბადა და ცხოვრობს ქალაქ ქუთაისში. მან იცის, რომ 2 დღეში თბილისში საკრებულოს არჩევნები იმართება. ამიტომაც წინასწარ სთხოვს უფროსს გამოსასვლელი დღის აღებას და კენჭისყრის დღეს თბილისში ჩამოდის. ერთ-ერთ საარჩევნო უბანზე მისულ გვანცას უარს ეუბნებიან არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე ისე, რომ უარის თქმის მიზეზს არ აცნობენ. აქვს თუ არა გვანცას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა მოიქცეს ის?
6. მაიკო საუბნო საარჩევნო კომისიის წევრია მორიგი საპარლამენტო არჩევნების დროს, თუმცა ის საქართველოს მოქალაქეა და არჩევნებში მონაწილეობის მიღება და საკუთარი პოზიციის დაფიქსირება მასაც სურს. ის აანალიზებს, რომ კენჭისყრის დღეს დაკავებული იქნება. აქვს თუ არა მაიკოს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და როგორ უნდა მოიქცეს ის?
7. სერგი, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო შენაერთის მოსამსახურეა და, რომელიც ფორმითა და იარაღით მივიდა უბანზე ხმის მისაცემად, კენჭისყრის ოთახში არ შეუშვეს. აქვს თუ არა თორნიკეს არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება და რა ფორმით?

მე რომ დამკვირვებელი ვიყო – აღმოაჩინე დარღვევები

სავარჯიშოს მიზანი: იმ ძირითადი წესების შესწავლა, რაც ხმის მიცემის პროცესის გამართულად ჩატარებისთვისაა კანონით გათვალისწინებული.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია საარჩევნო უფლებაზე და კონკრეტულად ხმის მიცემის პროცედურაზე მსჯელობისას. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე, სასურველია, თქვენ მიერ ხმის მიცემის გამართული პროცედურის ამსახველი სურათის თეორიული ჩამოყალიბება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და განსაზღვრეთ, სად მოხდა საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევა. წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ დამკვირვებელი, როგორ მოიქცეოდით?

მორიგი საპრეზიდენტო არჩევნების (კენჭისყრის) დღეს, საარჩევნო უბანი დილის 9 საათზე გაიხსნა. 18 წლის ანი კენჭისყრის შენობაში 10 საათზე მივიდა. გამომდინარე იქიდან, რომ ანი ორსულად იყო და მარკირების პროცედურის გავლის ეშინოდა, საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ, მოქალაქის დასაბუთებული თხოვნის საფუძველზე, აღნიშნული გამონაკლის შემთხვევად მიიჩნია და ანი ხმის მისაცემად მარკირების პროცედურის გავლის გარეშე დაუშვა. სარეგისტრაციო მაგიდასთან მისულ ანის, რეგისტრატორმა პირადობის დამადასტურებელი რაიმე დოკუმენტი მოსთხოვა. ანიმ მართვის მოწმობა წარუდგინა რეგისტრატორს და საკუთარი გვარის გასწვრივ ხელი მოაწერა. რეგისტრატორმა ანის ორი სხვადასხვა ბიულეტენი გადასცა - ერთი პროპორციული არჩევნებისთვის და მეორე მაჟორიტარული არჩევნებისთვის განკუთვნილი. ის სპეციალურად მოწყობილ კაბინაში შევიდა, რომელიც სრულად დახურული იყო და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად კაბინის მარცხენა ზედა კუთხეში ვიდეოთვალი იყო დამონტაჟებული. კაბინაში შესულმა ანიმ კარები მიიხურა და ორივე ბიულეტენში მისთვის სასურველი კანდიდატები იმ კალმით შემოხაზა, რომელიც ადგილზე დახვდა. კაბინიდან გამოსულმა იქვე მდგარი გამჭვირვალე ყუთი დაინახა. ყუთთან, ამომრჩეველთა ორგანიზებული, მოწესრიგებული ხუთკაციანი რიგი შეიმჩნეოდა, რომელსაც მაგიდიდან აკონტროლებდა რეგისტრატორი. ანიმ რიგი დაიკავა და როდესაც მისი ჯერი მოვიდა, ორივე ბიულეტენი გაშლილ მდგომარეობაში ყუთში ჩააგდო. აღსანიშნავია, რომ ყუთის ჭრილზე სპეციალური ხუფი იყო განთავსებული, რომელიც ანიმ გადასწია და ბიულეტენის მოთავსების შემდეგ კვლავ საწყის მდგომარეობაში დააბრუნა... კენჭისყრის შენობა საღამოს 19 საათზე დაიხურა.

საარჩევნო უბანი-სუბიექტები-ფუნქციები

სავარჯიშოს მიზანი: იმ სუბიექტთა ფუნქციების გააზრება, რომლებიც კენჭისყრის დღეს უბანზე იმყოფებიან და ამ გზით ხმის მიცემის გამართული პროცედურის წარმოდგენა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია საარჩევნო უფლებაზე და კონკრეტულად ხმის მიცემის პროცედურაზე მსჯელობისას, მოსწავლეების მხრიდან ამ საკითხთან დაკავშირებით განსაკუთრებული ინტერესის გამომჟღავნების შემთხვევაში. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე, სასურველია, თქვენ მიერ ჩამოთვლილი სუბიექტების ფუნქციების გამიჯვნის ფონზე ხმის მიცემის გამართული პროცედურის ამსახველი სურათის თეორიული ჩამოყალიბება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და თითოეულ ფუნქციას ცხრილში მოცემული რომელიმე სუბიექტი შეუსაბამეთ.

ნაკადის მარეგულირებელი / დამკვირვებელი / რეგისტრატორი / კომისიის მდივანი / ყუთის მეთვალყურე / კომისიის თავმჯდომარე / ამომრჩეველი/

1. უზრუნველყოფს საარჩევნო ყუთთან მხოლოდ ერთ ამომრჩეველს;
2. ჩანაწერთა წიგნში არეგისტრირებს შემოსულ საჩივრებს;
3. ათავსებს ბიულეტენს კონვერტში;
4. პასუხისმგებელია საარჩევნო უბანზე წესრიგის თაობაზე;
5. დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში განცხადებით მიმართავს კომისიის თავმჯდომარეს;
6. ამომრჩევლის გვარის გაგების შემდგომ აგზავნის მას რეგისტრატორთან, თუ ეს უკანასკნელი თავისუფალია;
7. ხელმოწერითა და ბეჭდით ამოწმებს საარჩევნო ბიულეტენს;
8. საარჩევნო უბანში შესვლამდე ამოწმებს აქვს თუ არა გაკეთებული მარკირება ამომრჩეველს, რისთვისაც ის სპეციალური სანათით ამოწმებს ამომრჩევლის მარჯვენა ხელის ცერა და საჩვენებელ თითებს;
9. ზედამხედველობას უწევს საარჩევნო პროცედურების დაცვას;
10. ახდენს ამომრჩევლის მარკირებას;
11. არეგულირებს ნაკადს ისე, რომ თითოეულ რეგისტრატორთან ორზე მეტი ამომრჩეველი არ მოხვდეს;
12. უფლება არ აქვს ჩაერიოს და ხელი შეუშალოს საარჩევნო პროცედურებს;
13. პოულობს ამომრჩეველს საარჩევნო სიაში და სთხოვს მას ხელი მოაწეროს სიაში;
14. ამომრჩეველს სთხოვს პირადობის მოწმობას ან პასპორტს, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირებს კი - დევნილის მოწმობას;
15. ამომრჩევლის მისვლის შემთხვევაში ხსნის საარჩევნო ყუთის ჭრილს და ისევ ხურავს მას;
16. რეაგირებას ახდენს დარღვევებზე და შესაძლებლობის შემთხვევაში მათ აღმოფხვრას უზრუნველყოფს;
17. ათავსებს კონვერტს საარჩევნო ყუთში.

ᲙᲠᲝᲡᲕᲝᲠᲓᲘ; მთავარი სიტყვა **კონსტიტუცია** **(იხ. დანართი 1, გვ. 94 -95; პასუხები გვ. 104)**

ᲑᲠᲐᲚᲘ ᲡᲘᲡᲮᲚᲘᲡ ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲐᲚᲨᲘ

სავარჯიშოს მიზანი: ბრალის ფორმების გააზრება სისხლის სამართალში პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სისხლის სამართლის გაკვეთილზე, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ავუხსნით დანაშაულის შემადგენლობას, ბრალის ფორმებს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ ბრალის რომელ ფორმასთან გვაქვს საქმე: *პირდაპირი განზრახვა, არაპირდაპირი განზრახვა, გაუფრთხილებლობა - დაუდევრობა, თვითიმედოვნება.*

1. ნინო, რომელსაც სურს, რომ დაზღვევის თანხა აიღოს, გადაწყვეტს ცეცხლი წაუკიდოს მისივე კუთვნილ ბინას, რომელიც იტალიურ ეზოში მდებარეობს. მან იცის, რომ ბინაში გაზგაყვანილობა, რომელიც კარის მეზობელსა და მას, ფაქტობრივად, საერთო აქვთ, მწყობრიდანაა გამოსული. ნინომ ისიც იცის, რომ სახლი ხისაა და მეზობლის ბინაში 80 წლის ლოგინად ჩავარდნილი თინა ბებო ცხოვრობს. ნინო ფიქრობს, რომ ცეცხლი თინა ბებოს სახლზე არ გადავა ან თუ გადავა, მოხუცებულს მეზობლები გადაარჩენენ. ამდენად, ნინომ თავის ბინას ცეცხლი წაუკიდა და თავად მიიმალა. ცეცხლი მალევე გადაედო კარის მეზობლის სახლს, მწყობრიდან გამოსული გაზგაყვანილობა კი აფეთქდა. სამწუხაროდ, მოხუცებულის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა;

2. ირენი, რომელიც ავტომობილით გადაჭარბებული სიჩქარით მოძრაობს ტრასაზე, ფიქრობს, რომ საჭეს აკონტროლებს და ნებისმიერ წამს შეძლებს დამუხრუჭებას. მოულოდნელად მანქანას წინ 10 წლის გოგონა გადმოუხტება, მძღოლი განვითარებული სიჩქარის გამო ვეღარ ასწრებს დამუხრუჭებას და ბავშვს ეჯახება. სამწუხაროდ, ბავშვი ადგილზევე გარდაიცვლება;
3. ირაკლი, რომელიც სამსახურიდან გამოშვების გამო თავის უფროსზე ძალიან გაბრაზებულია, გადაწყვეტს მოკლას იგი. ამ მიზნით ის პისტოლეტს ყიდულობს, უსაფრდება და ერთი გასროლით კლავს უფროსს. სახლისაკენ მიმავალი ირაკლი ხვდება რაც ჩაიდინა და ბრალის აღიარებით პოლიციის განყოფილებაში მიდის;
4. მაღაზიის გაქურდვის მიზნით მისულ თორნიკეს ეზოში 70 წლის დარაჯი დახვდება. თორნიკე მას თავში იარაღს ჩაარტყამს, შემდეგ თავზე ტომარას ჩამოაცვამს და იქვე დააგდებს. დარაჯი დაიხრჩობა;
5. გაბრაზებულმა ამელმა აივნიდან ტელევიზორი გადმოაგდო, რომელიც ფეხით მოსიარულეს დაეცა. სამწუხაროდ, გამვლელი ადგილზე გარდაიცვალა;
6. თავის მოწონების მიზნით გიორგიმ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას იარაღი ამოიღო და უმისამართოდ რამდენჯერმე გაისროლა. გასროლილი ტყვიიდან ერთ-ერთი იქვე მდგომ 15 წლის ბიჭს მოხვდა, რომელიც საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა;
7. სანადიროდ წასულ ასლანს ტყეში ხმაური შემოესმა. მან ჩათვალა, რომ ნადირი უახლოვდებოდა და ამ მიმართულებით რამდენჯერმე გაისროლა. აღმოჩნდა, რომ ასლანმა მეტყეველს ესროლა, რომელიც ადგილზე გარდაიცვალა.

მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებები

სავარჯიშოს მიზანი: სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების შესწავლა და მაგალითების გამოყენებით ამ გარემოებების იდენტიფიცირება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია სისხლის სამართლის გაკვეთილზე, მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოებების მიმოხილვის შემდეგ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ რეკომენდებულია, რომ მასწავლებელმა კიდევ ერთხელ ჩამოათვლევინოს მოსწავლეებს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების მაკვალიფიცირებელი ნიშნები.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 3 შემთხვევა და განსაზღვრეთ, გვაქვს თუ არა სახეზე მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი ის გარემოება, რომელზეც პირები მიუთითებენ. თუ ფიქრობთ, რომ ამ ტიპის გარემოებებთან საქმე არ გვაქვს, გადააკეთეთ შემთხვევები ისე, რომ მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი რომელიმე გარემოება დაფიქსირდეს.

1. სერგიმ ერთ-ერთ საინფორმაციო გამოშვებაში მოისმინა, რომ იძებნება თაღლითობაში ბრალდებული გიორგი, რომელსაც უამრავი ხალხი ჰყავს მოტყუებული. გადაცემაში გიორგის ფოტოსურათიც აჩვენეს. მეორე დღეს სამსახურიდან სახლისკენ მიმავალმა სერგიმ ქუჩაში არხეინად მოსეირნე გიორგი შეამჩნია. გაბრაზებული სერგი მივარდა გიორგის, რომელსაც წინააღმდეგობის გაწევა არც კი უცდია, რამდენჯერმე ჩაარტყა მუშტი მუცლის არეში და ერთი ნეკნი ჩაუმტვრია. შემდეგ იარაღის (რომლის ტარების ნებართვაც ჰქონდა) მუქარის ქვეშ გათოკა და პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა. სერგის მიაჩნია, რომ ის დამნაშავის შეპყრობის მოტივით მოქმედებდა და მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობა არ არის;
2. ირაკლის დაყაჩაღების მიზნით თავს დაესხნენ სათამაშო იარაღის გამოყენებით. ირაკლიმ იცოდა, რომ იარაღი ნამდვილი არ იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, თავდამსხმელზე გაბრაზებულმა ამოიღო თავისი იარაღი (რომლის ტარების ნებართვაც ჰქონდა) და ესროლა მას. ეს უკანასკნელი მძიმედ დაიჭრა. ირაკლის მიაჩნია, რომ აუცილებელი მოგერიების ფარგლებში მოქმედებდა და მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობა არ არის;

3. გივიმ დაინახა, რომ ქუჩაში მიმავალ ახალგაზრდა გოგონას უცხო მამაკაცი დანის მუქარით საფულის წართმევას უპირებდა. გოგონა წინააღმდეგობის გაწევას ვეღარ ახერხებდა. გივი მიეპარა მამაკაცს და ხელის კვრით წააქცია. ამ უკანასკნელმა სახის მიდამოში დაზიანება მიიღო. გივის მიაჩნია, რომ ის უკიდურესი აუცილებლობის ფარგლებში მოქმედებდა, გადაარჩინა ერთი სიკეთე (გოგონას ქონება) მეორეს (მამაკაცის ჯანმრთელობის) ხარჯზე, შესაბამისად, მის ქმედებაში მართლწინააღმდეგობა არ არის.

მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებები

სავარჯიშოს მიზანი: სისხლის სამართალში მართლწინააღმდეგობისა და ბრალის გამომრიცხავი გარემოებების შესწავლა და მაგალითების გამოყენებით ამ გარემოებების იდენტიფიცირება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს გაკეთება რეკომენდებულია სისხლის სამართლის გაკვეთილზე, კერძოდ, დანაშაულის შემადგენლობის შესახებ მსჯელობისას, ბრალისა და მართლწინააღმდეგობის გამომრიცხავი გარემოებების ახსნის შემდეგ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, გრაფაში მოცემული სიტყვებით ყოველ კონკრეტულ ჯერზე ააწყვეთ წინადადება და მიუწერეთ შემთხვევებს.

პირი არ დაისჯება / სახეზე გვაქვს / მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველი გარემოება/ უკიდურესი აუცილებლობა / ბრალის გამომრიცხველი გარემოება /სახეზე არ გვაქვს / პირი დაისჯება / აუცილებელი მოგერიება / შეურაცხაობა ფსიქიკური მდგომარეობის გამო / დამნაშავის შეპყრობა / მართლზომიერი რისკი / შეურაცხაობა ასაკის გამო / ფარგლების გადაცილებით.

1. 15 წლის დათომ კომპიუტერული მაღაზიიდან ლეპტოპი მოიპარა, პოლიციამ ის მალევე დააკავა;

   _____ .

2. ფსიქიატრიული საავადმყოფოდან გამოპარულმა ირენმა ქუჩაში მიმავალი მოქალაქე საავადმყოფოს დაცვის თანამშრომელს მიამსგავსა და თავში ქვის ჩარტყმით მოკლა;

   _____ .

3. 13 წლის ნინიმ შურისძიების მოტივით დანით რამდენიმე ჭრილობა მიაყენა მისივე კარის მეზობელს;

   _____ .

4. დაბადების დღის წვეულებიდან გვიან ღამით მომავალ ანის თავს დაესხა უცნობი მამაკაცი, რომელიც დანის მუქარით საფულისა და მობილური ტელეფონის მიცემას ითხოვდა. შეშინებულმა ანიმ ჩანთიდან შამპანიურის ბოთლი ამოიღო და თავდამსხმელს თავზე გადაამსხვრია. მამაკაცმა გონება დაკარგა, მოგვიანებით ის ტვინის შერყევის დიაგნოზით საავადმყოფოში მიიყვანეს;

   _____ .

5. ირაკლიმ ქუჩაში სეირნობისას მამაკაცი შენიშნა, რომელიც დიდი ხანია იძებნება და რომლის ფოტოსურათიც პოლიციის ვებ-გვერდზე აქვს ნანახი. ირაკლი შეპყრობისა და პოლიციაში წაყვანის მიზნით მივარდა მამაკაცს, მუცელში რამდენჯერმე წიხლი უთავაზა, თავში მოზრდილი ქვა ჩაარტყა, წაქცეულს ფეხი სახეზე მიაჭირა და გათოკა. გათოკილი მამაკაცი იქვე პოლიციის განყოფილებაში მიიყვანა;

   _____ .

6. საღამოს სახლში შესულმა ერიკმა შეამჩნია, რომ მეზობლის ბინიდან დამწვრის სუნი და მსუბუქი კვამლი გამოდიოდა. მიუხედავად იმისა, რომ ერიკმა დიდხანს

აკაკუნა, კარი არავინ გააღო. ერიკმა იცოდა რა რომ ბინაში მესაკუთრის მოხუცებული და ლოგინად ჩავარდნილი დედა იმყოფებოდა, კარი ძალაყინის გამოყენებით შეამტვრია. ბინაში ცეცხლი იყო გაჩენილი, მოხუცებული კი ლოგინიდან ვერ დგებოდა. ერიკმა თავისი ბინიდან შლანგით წყალი გადმოიყვანა და ცეცხლი ჩააქრო. წყალმა ავეჯი და ოთახში არსებული ნივთები, მათ შორის; ძვირადღირებული ტექნიკა სრულიად გაანადგურა;

_____ .

7. მეტროთი მგზავრობისას <u>დავითს</u>, რომელიც სპორტის ოსტატია, 15 წლის გიორგი მიეპარა, უკნიდან მობილური ტელეფონი იარაღის მსგავსად მიადო და საფულე მოსთხოვა. დავითმა გიორგის საფულე გადასცა, მაგრამ მოტრიალებისას შეამჩნია, რომ ბიჭს იარაღის ნაცვლად ტელეფონი ეჭირა. გაბრაზებულმა დავითმა, საფულის უკან დაბრუნების მიზნით, გიორგის სახეში რამდენჯერმე მუშტი დაარტყა, ვაგონის კარს მიანარცხა, წაქცეულს გვერდებში რამდენჯერმე წიხლი ჩაარტყა. გიორგი მძიმე დაზიანებებით საავადმყოფოს რეანიმაციულ განყოფილებაში აღმოჩნდა. მას 3 ნეკნი აქვს გატეხილი, მიღებული აქვს ტვინის შერყევა, აღენიშნა მრავლობითი დაჟეჟილობები.

_____ .

<u>სასჯელები</u>

სავარჯიშოს მიზანი: სასჯელის არსის, მისი დანიშვნის ზოგადი საწყისების, სასჯელის მიზნებისა და სახეების გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სისხლის სამართლის გაკვეთილზე, სასჯელის ზოგადი მიმოხილვის შემდეგ. შეფასების ეტაპზე, სასურველია, მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეებთან კითხვა-პასუხის რეჟიმში თითოეული თეზის მცირედი თეორიული განხილვა.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები სასჯელის შესახებ და განსაზღვრეთ, რომელია სწორი და რომელია მცდარი. მცდარი წინადადებები გაასწორეთ.

1. თავისუფლების აღკვეთა და გირაო სასჯელის სახეებს წარმოადგენს;
2. სასჯელის მიზანია ჩადენილი ქმედების გამო დამნაშავის დასჯა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება;
3. სასჯელის შეფარდება შეუძლია საერთო სასამართლოების სისტემის სასამართლოებს და კანონით გათვალისწინებულ საგამონაკლისო შემთხვევებში საარბიტრაჟო სასამართლოებს;
4. სასჯელი წარმოადგენს სახელმწიფო იძულების განსაკუთრებულ ღონისძიებას;
5. პატიმრობა და ჯარიმა სასჯელის სახეებია;
6. სასჯელი იწვევს დამნაშავის უფლებების ჩამორთმევას ან შეზღუდვას;
7. სასჯელის დანიშვნის დროს სასამართლო მხედველობაში იღებს დამნაშავის ქონებრივ მდგომარეობასა და მის ასაკს;
8. მეზობლის ბინის გაქურდვისთვის სასამართლომ დამნაშავეს ძირითად სასჯელად 1 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა, ხოლო დამატებითი სასჯელის სახით იმავე სახლში ცხოვრება აუკრძალა;
9. სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ძირითად და მეორად სასჯელებს;
10. ბრალდებულის მიერ დანაშაულის ჩადენისას პოლიტიკური შეხედულებების შეუწყნარებლობის მოტივი სასამართლომ შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია;
11. გაფრთხილება და ჯარიმა სასჯელის სახეებს წარმოადგენს;
12. დამნაშავის წარსულ ცხოვრებასა და მის ეკონომიკურ მდგომარეობას სასჯელის დანიშვნის დროს არანაირი მნიშვნელობა არ ენიჭება;

13. სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის შემცირების უფლება მხოლოდ სასამართლოს აქვს;
14. ჯარიმა ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის ზომაა.

სასჯელის დანიშვნა

სავარჯიშოს მიზანი: სასჯელის დანიშვნის სპეციფიკისა და ამ ეტაპზე არსებითი მნიშვნელობის მქონე ფაქტორების გააზრება, სასჯელის მიზნებისა და ეფექტურობის გაანალიზება.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშოს მოსწავლეებისთვის მიწოდება რეკომენდებულია სასჯელის არსის, მიზნებისა და სახეების მიმოხილვის შემდეგ.

ინსტრუქცია მ**ოსწავლისათვის:** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და პასუხი გაეცით ბოლოს მოცემულ შეკითხვებს.

23 წლის დათო, რომელსაც ორსული მეუღლე და მცირეწლოვანი შვილი ჰყავს, მძიმე ეკონომიკურ გაჭირვებას განიცდის. მიუხედავად იმისა, რომ ის შრომისმოყვარე პიროვნებაა და არანაირი სამუშაოს შესრულებას არ თაკილობს, არ უმართლებს და მაინც უმუშევარია. ორსული ცოლისა და მცირეწლოვანი შვილის გარდა პენსიონერი მშობლებიც მის კმაყოფაზე არიან. დათო აანალიზებს რა, რომ ბავშვის დაბადებასთან დაკავშირებულ ხარჯებს ვერ გაუმკლავდება, დანაშაულებრივი გზით ფულის მოპოვებას გადაწყვეტს. მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, ის ქუჩაში მიმავალ კარგად ჩაცმულ ქალბატონს შეამჩნევს, რომელსაც ჩანთას გამოსტაცებს იმ იმედით, რომ შიგნით ფულს და ფასეულ ნივთებს იპოვნის. მიუხედავად მცდელობისა დათო მიმალვას ვერ ახერხებს, მას გამვლელების მიერ გამოძახებული პატრული აკავებს.

სასამართლომ დათო დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის, ძარცვის ჩადენაში და სასჯელის ზომად, ამ ქმედებისთვის გათვალისწინებული, სასჯელის უმაღლესი ზომა 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მნიშვნელოვანია, რომ დათო ნასამართლევი არ არის და თავის საქციელს ინანიებს.

თქვენი აზრით, რამდენად სწორად მოიქცა სასამართლო?

იმსჯელეთ დანიშნული სასჯელის ეფექტურობაზე... გახაზეთ ტექსტში ის ფაქტორები, რომლებიც მოსამართლეს სასჯელის დანიშვნის დროს უნდა გაეთვალისწინებინა... იმ შემთხვევაში, თუ მიგაჩნიათ, რომ დაკისრებული სასჯელი ჩადენილი დანაშაულის არაადეკვატურია, გადააკეთეთ შემთხვევა ისე, რომ დანაშაული და სასჯელი შესაბამისობაში მოვიდეს.

ეკონომიკური დანაშაული

სავარჯიშოს მიზანი: ქურდობის, ყაჩაღობისა და ძარცვის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ისეთი კონკრეტული დანაშაულების შესახებ მსჯელობის შემდეგ, როგორიცაა: ქურდობა, ყაჩაღობა და ძარცვა.

ინსტრუქცია მ**ოსწავლისათვის:** განსაზღვრეთ, რომელი დანაშაულია სახეზე – ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვა თუ არც ერთი ჩამოთვლილთაგან. პასუხი დაასაბუთეთ.

1. თორნიკე ავტობუსში ჩუმად აცლის საფულეს ნათიას, თუმცა გვერდით მდგომი ლიკა აღნიშნულს ხედავს;
2. ლევანი ცდილობს ნატოს ჩანთიდან მალულად ამოაცალოს ტელეფონი, მაგრამ ნატო შეამჩნევს ყოველივეს და ლევანს ყვირილს დაუწყებს. ლევანი მაინც არ იღებს ხელს განზრახვაზე, ძალით გამოსტაცებს ნატოს ტელეფონს და მიიმალება;

3. გიორგი ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული ალკოჰოლური სასმელების მაღაზიაში შევარდა და მოლარეს დაემუქრა, რომ თუ სალაროში არსებულ თანხას არ მისცემდა, მოკლავდა. აღმოჩნდა, რომ მაღაზიას დაცვის პოლიცია იცავდა და გიორგი შეჭრიდან 2 წუთში დააკავეს. საბოლოოდ, აღმოჩნდა, რომ იარაღი სათამაშო იყო და დაკავებულს მხოლოდ მოლარის შეშინება ჰქონდა განზრახული;
4. წიგნების მაღაზიაში შესულმა იულიამ შეამჩნია, რა რომ სალაროს სიახლოვეს მცირეწლოვანი გოგონას გარდა არავინ იყო, ბავშვის თვალწინ სალარო გახსნა, 200 ლარი ამოიღო და მაღაზიიდან ჩუმად გავიდა;
5. ღამის საათებში სახლისკენ მიმავალ გზაზე ნათიას უცნობი მამაკაცი გადაეღობა. უცნობმა ნათიას ძვირფასი საყურეების მოხსნა მოსთხოვა, წინააღმდეგ შემთხვევაში სამკაულის ყურიდან ჩამოგლეჯით დაემუქრა. შეშინებულმა ნათიამ საყურეები უმალვე მოიხსნა და უცნობს გადასცა. უცნობი მიიმალა;
6. ქამრანი, რომელსაც ფულის შოვნა ჰქონდა განზრახული, გივისთან მივიდა, რომელიც მისი ინფორმაციით ნარკოტიკების გამსაღებელი იყო და უთხრა, რომ თუ 1000 ლარს არ მისცემდა, სახალხოდ განაცხადებდა მისი საქმიანობის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ გივი ნარკოტიკების გამსაღებელი არ იყო, მას სახელის გამტეხი ინფორმაციის გავრცელების შეეშინდა და ქამრანის მოთხოვნა დააკმაყოფილა.

დანაშაული

სავარჯიშოს მიზანი: თვითმკვლელობამდე მიყვანის, ევთანაზიის და სხვა კონკრეტული მაგალითების გამოყენებით დანაშაულის შესახებ მსჯელობა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სისხლის სამართლის გაკვეთილზე, ზოგად ნაწილზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და გადაწყვიტეთ გვაქვს თუ არა სახეზე დანაშაული, პასუხი დაასაბუთეთ.

1. ლევანი ანის გამუდმებით ეუბნებოდა, რომ ის უშნო იყო, რომ მის ადგილას თავს არ იცოცხლებდა, რომ ის ბუნების შეცდომა იყო. ლევანი მსგავს დაცინვებს სხვების თანდასწრებითაც არ ერიდებოდა. ანიმ ვერ გაუძლო პატივისა და ღირსების სისტემატურ დამცირებას და თვითმკვლელობა სცადა. საბედნიეროდ, დროულად მისულმა სასწრაფო დახმარების ექიმებმა ანი გადაარჩინეს;
2. ნათიას განუკურნებელი სენი აღმოაჩნდა, ის მძიმე ტკივილებით იტანჯება. ამიტომაც თავის მეგობარს რატის სთხოვს, რომ სასიკვდილო ინექცია გაუკეთოს და ამ ტანჯვისგან გაათავისუფლოს. რატი ასრულებს ნათიას თხოვნას და მორფინის გადამეტებული დოზით სიცოცხლეს ასალმებს მეგობარს;
3. ირენი, რომელიც გამოსასყიდის მოთხოვნის მიზნით გატაცებული ჰყავდა უცნობ მამაკაცს, ამ შემთხვევიდან ერთი წლის შემდეგ საზოგადოებრივ ტრანსპორტში ხმით ამოიცნობს მას. ირენს გონება ებინდება, რამდენიმე წამით ითიშება, გონსმოსული კი ხედავს, რომ მამაკაცი სისხლის გუბეში წევს, მას ხალხი ეხვევა გარშემო, თვითონ კი ხელში შამპანურის ბოთლის ნამსხვრევი უჭირავს;
4. 14 წლის ნინიმ საკანცელარიო მაღაზიაში 2 კალმისტარი და 3 ფანქარი მალულად აიღო და საფასურის გადახდის გარეშე გავიდა მაღაზიიდან. თუმცა ირკვევა, რომ აღნიშნული მოლარემ დაინახა და დაცვას მოუხმო. ამ უკანასკნელმა მაღაზიიდან გასული ნინი დაიჭირა;
5. დემეტრემ საბას სიგარეტი სთხოვა, ამ უკანასკნელის უარით გაბრაზებულმა დემეტრემ საბას ცემა დაუწყო;
6. ანიმ საზოგადოებრივ ტრანსპორტში უბილეთოდ იმგზავრა;
7. ელინა სისტემატურად არ იხდის პატრულის მიერ გამოწერილ ჯარიმას.

სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი პრინციპები

სავარჯიშოს მიზანი: სისხლის სამართლის პროცესის პრინციპების გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს გაკეთება რეკომენდებულია სისხლის სამართლის პროცესის პრინციპებზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ სახეზე გვაქვს თუ არა რაიმე დარღვევა და რა დარღვევასთან გვაქვს საქმე?

1. ამონარიდი ერთ-ერთი სამაუწყებლო კომპანიის 8 საათიანი საინფორმაციო გამოშვებიდან: დღეს 21 ოქტომბერს დილის 9 საათზე პოლიციამ დააკავა გახმაურებული ძარცვის საქმის 2 მონაწილე, ბონდო ჯღარკავა და სამსონ ძოწენიძე. დამნაშავეები გადაყვანილნი არიან წინასწარი მოთავსების იზოლატორში;
2. სასამართლოს სხდომაზე არასათანადო მოქცევისთვის მოსამართლემ ბრალდებულის ადვოკატი 500 ლარით დააჯარიმა;
3. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის შუამდგომლობა ექსპერტიზის დანიშვნის შესახებ იმ მოტივით, რომ ექსპერტიზის დანიშვნის მოთხოვნის უფლება მხოლოდ ბრალდების მხარეს აქვს;
4. არასრულწლოვანის გაუპატიურების საქმეზე პროკურორმა შუამდგომლობით მიმართა სასამართლოს და პროცესის დახურვა მოითხოვა. სასამართლომ დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და საზოგადოების წევრებს პროცესზე დასწრება აუკრძალა;
5. ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით განხილულ განზრახ მკვლელობის საქმეზე პროკურორმა შესავალი სიტყვის წარმოთქმისას ბრალდებულის შესახებ განაცხადა, რომ საზოგადოების წინაშე პირსისხლიანი მკვლელია;
6. ძარცვის საქმეზე დაკავებული და წინასასამართლო სხდომაზე წარდგენილი 10 ბრალდებულიდან უკლებლივ ყველა ეთნიკურად არაქართველი იყო. დაცვის მხარის მიერ დაყენებულ შუამდგომლობას, რომ პროცესი მათთვის გასაგებ არაქართულ ენაზე წარმართულიყო, პროკურორიც დაეთანხმა. მოსამართლემ პროცესის ხარჯების შემცირების მოტივით, თარჯიმანი აღარ დანიშნა და პროცესი სხვა (არაქართულ) ენაზე წარმართა.

მოწმე სისხლის სამართლის პროცესში

სავარჯიშოს მიზანი: მოწმის, როგორც სისხლის სამართლის პროცესის მონაწილის, პროცესუალური სტატუსის ანალიზი, მოწმის სტატუსით პირის დაკითხვის საგამონაკლისო შემთხვევების გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სისხლის სამართლის პროცესის და უპირატესად მოწმის სტატუსის დამუშავებისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ **კანონიერია თუ არა პირის მოწმის სტატუსით დაკითხვა.**

1. მართლმადიდებლური ეკლესიის მოძღვარი ერთ-ერთ საქმეზე სასამართლოს მიერ მოწმედ იქნა დაბარებული. აღნიშნული განაპირობა გამოძიების ეტაპზე ბრალდების მხარის საფუძვლიანმა ეჭვმა, რომ სასულიერო პირი დანაშაულის თვითმხილველი იყო. მოძღვარმა უარი განაცხადა ჩვენების მიცემაზე იმ მოტივით, რომ ის სასულიერო პირი იყო და პროცესუალური კანონმდებლობის თანახმად გათავისუფლებული იყო ამგვარი ვალდებულებისგან. თავის მხრივ პროკურორს მიაჩნია, რომ დანაშაულის გახსნა და სამართლიანობის აღდგენა ყოველგვარ რელიგიურ წესებზე მაღლა დგას და სასულიერო პირი არ არის უფლებამოსილი უარი თქვას მოწმის სტატუსით დაკითხვაზე;

2. პროკურორმა ყაჩაღობის საქმესთან დაკავშირებით ბრალდებულის მეუღლის მოწმის სტატუსით დაკითხვა გადაწყვიტა. ქალმა უარი განაცხადა მეუღლის საწინააღმდეგოდ ჩვენების მიცემაზე. პროკურორმა მას საპროცესო კანონმდებლობაზე მიუთითა და შეახსენა, რომ მოწმე ვალდებულია გამოცხადდეს სასამართლოს გამოძახებით, უპასუხოს დასმულ შეკითხვებს და რომ შესაძლებელია მოწმის იძულებითი წესით სასამართლოში მიყვანაც;
3. პროკურორმა სასამართლოში ბრალდების მოწმედ მწვავე ფსიქიკური დაავადების მქონე პირი გამოიძახა. ბრალდების მხარე მიუთითებდა, რომ მოწმის ჩვენება ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მტკიცებულება იყო საქმეზე და რომ მისი დაკითხვა დასაშვები იყო, რადგანაც ის სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ არ იყო ცნობილი.

კროსვორდი; მთავარი სიტყვა **დანაშაული და სასჯელი**

(იხ. დანართი 2, გვ. 96-97; პასუხები გვ. 105)

პირი სამოქალაქო სამართალში

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს ფიზიკური და იურიდიული პირების არსისა და სამართლებრივ ურთიერთობებში მათი მონაწილეობის სპეციფიკის ზუსტად აღქმა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ფიზიკური და იურიდიული პირების შესახებ ზოგადი თეორიული მიმოხილვის გაკეთების შემდგომ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული თეზები და გამოტოვებულ ადგილას ჩაწერეთ **ფიზიკური პირი** ან **იურიდიული პირი** ან ორივე ერთად.

1. _____ სისხლისსამართლებრივი ქმედების – დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ისჯება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული წესით;
2. _____ აქვს სახელის უფლება, მისი შეცვლის უფლება;
3. _____ შეიძლება ჰქონდეს რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი;
4. _____ შესაძლოა ჰქონდეს შეზღუდული ქმედუნარიანობა;
5. _____ აქვს პატივისა და ღირსების უფლება;
6. _____ შეიძლება ჰქონდეს საკუთარი ქონება;
7. _____ დებს გარიგებებს;
8. _____ უფლებაუნარიანობა წარმოეშობა რეგისტრაციის მომენტიდან;
9. _____ შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ერთი ადგილსამყოფელი;
10. _____ გამოდის სასამართლოში მოსარჩელედ და მოპასუხედ;
11. _____ შეიძლება ჰყავდეს წარმომადგენელი სასამართლოსა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში;
12. _____ შეიძლება ჰყავდეს შვილობილი;
13. _____ შეიძლება იყოს გადასახადის გადამხდელი.

იურიდიული პირის სახეები

სავარჯიშოს მიზანი: იურიდიული პირის ტიპების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილზე, კერძოდ, პირებზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი და განსაზღვრეთ რომელია იურიდიული პირი და რა ტიპის.

1. ინდ. მეწარმე ლევან პეტროსიანი;
2. შპს „ნიღაბი“;
3. იურიდიული ფირმის „მამადაშვილი და პარტნიორები“ ადვოკატი;
4. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „საბურთალო 1984“;
5. პროკურორი;
6. კოოპერატივი „მანავი“;
7. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი;
8. ქ. თბილისის მე-60 საშუალო სკოლა;
9. იუსტიციის სამინისტროს იურიდიული განყოფილების უფროსი;
10. ფონდი „უსაფრთხო მომავალი ბავშვებს“;
11. არასამთავრობო ორგანიზაცია „იურისტები სამოქალაქო საზოგადოებისთვის“;
12. პირველი ინსტანციის სასამართლოს მოსამართლე.

მეურვეობა და მზრუნველობა

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ შეძლოს მეურვეობისა და მზრუნველობის ინსტიტუტის სრულყოფილად გააზრება და რეალურ ცხოვრებაში იმ ურთიერთობების იდენტიფიცირება, როდესაც მეურვის ან მზრუნველის დანიშვნის კანონისმიერი საფუძველია სახეზე, ასევე, მათი დანიშვნის სამართლებრივი პროცედურების გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის, კერძოდ, პირებზე თეორიული მომოხილვისა და მსჯელობის შემდგომ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და იმსჯელეთ იქვე დასმული შეკითხვების შესახებ.

1. 36 წლის ლევანი უსაფრთხოების წესების დარღვევით, კერძოდ კი ჩაფხუტის გარეშე, საკუთარი მოტოციკლით დიდი სიჩქარით ავტობანზე მოძრაობდა. მოსახვევში მძღოლმა ვერ მოახერხა საჭის კონტროლი, რამაც ავტოსაგზაო შემთხვევა გამოიწვია. ექიმების დიდი ძალისხმევის შედეგად, საბედნიეროდ, ლევანისთვის სიცოცხლის შენარჩუნება მოხერხდა, თუმცა, დარტყმის შედეგად, მას ისე დაუზიანდა თავის ქალა, რომ თავის ტვინის ფუნქცია დაერღვა. სამწუხაროდ, ლევანს აღარ შეუძლია დამოუკიდებლად ცხოვრება და საკუთარ თავზე ზრუნვა... როგორ ფიქრობთ, გვაქვს თუ არა სახეზე მეურვეობის ან/და მზრუნველობის დანიშვნის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები? იმსჯელეთ მათ შესახებ, დადებითი პასუხის შემთხვევაში ვის აქვს უფლება მოითხოვოს ეს და ვინ უნდა მიიღოს აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება;
2. 30 წლის სერგი, რომელიც წარმატებული ბანკირია, შეყვარებულმა მიატოვა, რის გამოც ის დეპრესიაში ჩავარდა. თითქმის ყოველდღე გიორგი მიდის ბარში, სვამს ალკოჰოლურ სასმელს და სახლში ნასვამ მდგომარეობაში საკმაოდ გვიან ბრუნდება. მისი ამგვარი საქციელის გამო სამსახურში შეშფოთებულნი არიან. მან ადმინისტრაციისგან არაერთი გაფრთხილება, თუ საყვედური დაიმსახურა. ჩვეულებ-

რივ ყურადღებიანი სერგი, რომელიც ხელფასის გარკვეულ ნაწილს საოჯახო ხარჯებისთვის ყოველთვის დედას, ქალბატონ დალის აძლევდა, საერთოდ აღარ ინტერესდება აღნიშნულით და მთელ თანხას თავადვე მოიხმარს. ყველაფერთან ერთად კარის მეზობელმა ანიმ ის ერთხელ კაზინოს წინ შეამჩნია, იმავდროულად, ოჯახიდან ქრება საგვარეულო ბეჭედი. ქალბატონი დალი საგონებელშია ჩავარდნილი. როგორ ფიქრობთ, გვაქვს თუ არა სახეზე მეურვეობის ან/და მზრუნველობის დანიშვნის კანონით გათვალისწინებული წინაპირობები, იმსჯელეთ მათ შესახებ, დადებითი პასუხის შემთხვევაში ვის აქვს უფლება მოითხოვოს ეს და ვინ უნდა მიიღოს აღნიშნულთან დაკავშირებით გადაწყვეტილება.

მემკვიდრეობა

სავარჯიშოს მიზანი: მოსწავლემ ცხოვრებისეული მაგალითის გამოყენებით შეძლოს კანონითა და ანდერძით მემკვიდრეობის შემთხვევების გააზრება, მემკვიდრეთა სიმრავლის დროს სამკვიდროს გადანაწილების სპეციფიკის, მემკვიდრეობის უფლების ჩამორთმევის წინაპირობებისა და განხორციელების იდენტიფიცირება, ანდერძის ფორმების, სამკვიდრო ქონების, კანონით მემკვიდრეთა რიგების გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შეტანა კლასის შესაძლებლობების მიხედვით დასაშვებია მემკვიდრეობითი სამართლის ნებისმიერ გაკვეთილზე.

ინსტრუქცია მოსწავლეებისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და გადაწყვიტეთ ვის ეკუთვნის სამკვიდრო ქონება და რა ოდენობით.

77 წლის ქვრივი დემეტრე მარტო ცხოვრობს. მიუხედავად იმისა, რომ მას ორი შვილი ჰყავს, მაინც უჭირს თავის გატანა, შვილები მამის მიმართ დიდი ყურადღებით არ გამოირჩევიან. ამ მხრივ განსაკუთრებით უმცროსი შვილი, 35 წლის ლევანი, პასიურობს. ის დემეტრეს არაბიოლოგიური, აყვანილი შვილია. ლევანი მამას თითქმის არანაირ ყურადღებას არ აქცევს, რომ არაფერი ვთქვათ მატერიალურ დახმარებაზე. უფროსი შვილი, 40 წლის ნოდარი კი წელიწადში ორჯერ შობისა და აღდგომის დღესასწაულებზე გარკვეული ოდენობის თანხას უგზავნის მამას. ამასთანავე, ყოველთვიურად უხდის ჯანმრთელობის დაზღვევის საფასურს. დემეტრეს, ძირითადად, მისი მეზობელი 60 წლის მანანა ეხმარება, რომელიც უკვე წლებია სადილს უმზადებს და სახლსაც ულაგებს მოხუცებულს. მიუხედავად შვილების უყურადღებობისა დემეტრეს მაინც უყვარს ისინი, განსაკუთრებით უყვარს შვილიშვილი, მისი მოგვარე და მოსახელე 17 წლის დემე, რომელიც ლევანის შვილია. დემესაც უყვარს ბაბუა და ცდილობს ყურადღება არ მოაკლოს მას. დემეტრეს, ასევე, ჰყავს 68 წლის და მზია, რომელიც შეჭირვებულად ცხოვრობს და, შეძლებისდაგვარად, თუმცა მწირად ეხმარება უფროს ძმას.

ერთ მშვენიერ დღეს, დემეტრემ სახლთან ახლოს ლატარიის ბილეთი შეიძინა. იმავე საღამოს ირკვევა, რომ დემტრეს ნაყიდმა ბილეთმა 2 მილიონი ლარი მოიგო. მეორე დღეს ეს ამბავი მთელ ქალაქს მოედო. დემეტრეს საზეიმო ვითარებაში გადასცეს აღნიშნული თანხის საბანკო ანგარიში. შინ მისულ მოხუცს, საუბედუროდ, ინსულტი დაემართა და იმავე საღამოს გარდაიცვალა.

დემეტრეს გარდაცვალების შემდეგ, მისივე ბინაში, ფარატინა ფურცელზე მოხუცის ხელით დაწერილ ანდერძს აღმოაჩენენ, რომელიც გარდაცვალებამდე 3 წლით ადრეა შედგენილი და რომელსაც მხოლოდ მამკვიდრებელი აწერს ხელს. ანდერძის თანახმად, მოანდერძე 4 ოთახიან ბინას, რომელშიც თავად ცხოვრობდა, შვილიშვილ დემეს უტოვებს. ანდერძიდან ცალსახად იკვეთება დემეტრეს დადებითი დამოკიდებულება შვილიშვილის მიმართ, ხოლო შვილებზე, ისევე როგორც მოგებულ 2 მილიონზე არაფერია ნახსენები, იმ უბრალო მიზეზიდან გამომდინარე, რომ ანდერძი ფულის მოგებამდეა შედგენილი.

დემეტრეს ქონებაზე - ბინასა და ფულზე პრეტენზიას აცხადებენ: ლევანი, ნოდარი, დემე, მანანა და მზია.

გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას ქორწინების სამართლებრივი ბედი

სავარჯიშოს მიზანი: სახალისო ისტორიის საფუძველზე მოსწავლემ შეძლოს გაანალიზოს გარდაცვლილად გამოცხადებისა და უგზო-უკვლოდ აღიარების სპეციფიკა, გარდაცვლილად გამოცხადებული ან უგზო-უკვლოდ აღიარებული მეუღლის დაბრუნებისას, ქორწინების სამართლებრივი ბედი, ნიშნობის ინსტიტუტის სტატუსი ქართულ კანონმდებლობაში.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ქორწინებისა და განქორწინების საკითხების ზოგადი თეორიული მიმოხილვის შემდგომ. ამასთანავე, მოსწავლეების პოზიციის დასრულების შემდეგ, შეგიძლიათ დასვათ შეკითხვები: თქვენი აზრით, ვინ ახდენს გარდაცვლილად გამოცხადებასა და უგზო-უკვლოდ აღიარებას? იქნებოდა თუ არა რაიმე განსხვავება ჯენიფერი რომ დაქორწინებული ყოფილიყო? ექნებოდა თუ არა ასეთ დროს მხარეთა ნება-სურვილს რაიმე მნიშვნელობა? ჰქონდა თუ არა ჯენიფერს ნიშნობისა და ქორწინების უფლება?

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა, გააანალიზეთ ის და უპასუხეთ შეკითხვას, დასაბუთებული პასუხი წარადგინეთ კლასის წინაშე.

რობინზონ კრუზო ჯენიფერზეა დაქორწინებული. ერთ მშვენიერ დღეს რობინზონმა დედასთან წასვლა გადაწყვიტა, რომელიც ევროპის ერთ-ერთ ქვეყანაში ცხოვრობდა. რობინზონი ცოლს დაემშვიდობა და დედისაკენ მიმავალ თვითმფრინავში ჩაჯდა. თვითმფრინავი, საუბედუროდ, გაუმართავი აღმოჩნდა. ოკეანის თავზე ძრავა გაჩერდა. რობინზონი გონს რომ მოეგო აღმოაჩინა, რომ უკაცრიელ კუნძულზე იყო. სამწუხაროდ, სამაშველო ეკიპაჟმა რობინზონის კვალს ვერ მიაგნო და ის დაღუპულად მიიჩნია. რობინზონი 4 წლის განმავლობაში უკაცრიელ კუნძულზე ცხოვრობდა, სანამ ერთ-ერთი სამეცნიერო კვლევების გემი, შტორმის შედეგად, მის სამყოფელ ადგილს არ მიადგა.

რობინზონი გემის მეშვეობით სახლში დაბრუნდა. აღმოჩნდა, რომ მისი მეუღლე ჯენიფერი მაიკლზეა დანიშნული და სწორედ 2 დღის წინ გადაიხადეს ნიშნობის ცერემონია. რობინზონს ჯენიფერი კვლავაც უყვარს და მასთან ცხოვრება სურს. მაიკლს მიაჩნია, რომ ნიშნობა უკვე ჩატარებულია, რითიც ჯენიფერის ქორწინება ავტომატურად ანულირებულია. ჯენიფერი გაორებულია და გადაწყვეტილების მიღება უჭირს.

მეუღლეთა თანასაკუთრება

სავარჯიშოს მიზანი: მეუღლეთა თანასაკუთრების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მნიშვნელობისა და განქორწინებისას, ამ კუთხით განვითარებული სასამართლო პრაქტიკის გამოკვეთა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ძლიერ კლასში საოჯახო და ვალდებულებითი სამართლის გავლის შემდეგ. შემთხვევის წაკითხვის შემდეგ მასწავლებელმა, შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, კლასში უნდა შექმნას 3 ჯგუფი და გადაანაწილოს ლევანის, ანისა და მარიამის ადვოკატთა როლები. გარკვეული დროის შემდეგ, ჯგუფებმა უნდა წარმოადგინონ თავიანთი კლიენტებისათვის სასარგებლო არგუმენტაცია. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე, მასწავლებელმა ყურადღება უნდა გაამახვილოს მეუღლეთა თანასაკუთრების პრობლემატურ საკითხებზე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და იმის მიხედვით, თუ ვისი ადვოკატი ხართ (ლევანის, ანის თუ მარიამის), ჩამოაყალიბეთ თქვენი კლიენტისათვის სასარგებლო არგუმენტაცია. როლებს გაანაწილებს მასწავლებელი.

ლევანის და ამელს ბავშვობიდან უყვარდათ ერთმანეთი. სწავლის დასრულების შემდეგ, მათ მალევე შექმნეს ოჯახი. მართალია, ოჯახს თავიდან ფინანსურად ძალიან უჭირდა, მაგრამ ლევანის მიერ გამოჩენილმა ბიზნესალღომ და ამელის ერთგულმა დამოკიდებულებამ საოჯახო საქმეებისა და შვილების მიმართ მალე გამოიღო შედეგი. წყვილმა ერთად ცხოვრების პერიოდში სამსართულიანი კერძო სახლი შეიძინა, სადაც ოჯახი ცხოვრობდა. ასევე, ააშენეს სახლი კოჯორში და მაღალ დონეზე კეთილმოაწყვეს. ათწლიანი თანაცხოვრების განმავლობაში ამელს არ უმუშავია, ის საოჯახო საქმეს უძღვებოდა და შვილებს ზრდიდა... ცოლ-ქმარს შორის მალე ურთიერთობა დაიძაბა. აღმოჩნდა, რომ ლევანმა თანაცხოვრების პერიოდში შეძენილი კოჯორში მდებარე სახლი გაყიდა ისე, რომ ამელისთვის არაფერი უთქვამს. სახლი მარიამმა იყიდა, რომელმაც საგაზეთო განაცხადში ამოიკითხა გასაყიდი სახლის შესახებ. მან განაცხადში მითითებულ ტელეფონის ნომერზე დარეკა, მარიამს სახლი ლევანმა დაათვალიერებინა და საჯარო რეესტრიდან ამონაწერი წარუდგინა, სადაც სახლის ერთადერთ მესაკუთრედ თავად (ლევანი) ფიქსირდებოდა. ამდენად, მარიამმა ლევანთან ნასყიდობის ხელშეკრულება გააფორმა და დადგენილი წესისამებრ საკუთრება საჯარო რეესტრში დაარეგისტრირა. ამელმა მალევე შეიტყო სახლის გაყიდვის შესახებ. მას მიაჩნია, რომ ლევანთან ერთად სახლის მესაკუთრე თავადაც იყო, რადგანაც ის თანაცხოვრების პერიოდში შეიძინეს და ქონების დაგროვებაში ლევანთან ერთად მასაც თანაბრად მიუძღვის წვლილი. ამელს სახლის დაბრუნება სურს და ლევანისა და მარიამის წინააღმდეგ სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას. ლევანს მიაჩნია, რომ მას სახლის გაყიდვის უფლება ჰქონდა. მარიამიც თვლის, რომ არაფერი არ უნდა შეიცვალოს, რადგან სახლი კანონიერი მესაკუთრისგან შეიძინა.

ქონების გაყოფა განქორწინებისას

სავარჯიშოს მიზანი: განქორწინებისას ქონების გაყოფის სპეციფიკის შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია განქორწინებასთან დაკავშირებით ზოგადი თეორიული მიმოხილვის შემდეგ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ კი უმჯობესი იქნება, მასწავლებლის მხრიდან აქცენტი გაკეთდეს მეუღლეთა თანასაკუთრების საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრში დარეგისტრირების მნიშვნელობასა და განქორწინებისას ამ კუთხით განვითარებულ სასამართლო პრაქტიკაზე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: დააკვირდით ქვემოთ მოცემულ თეზებს და შეუსაბამეთ ისინი თორნიკესა და ელენეს.

როგორ გადაწყდება აღნიშნული შემთხვევა ქართული კანონმდებლობის მიხედვით?

სტომატოლოგმა ქამრანმა და პიანისტმა ელენემ განქორწინება გადაწყვიტეს, თუმცა ქონების განაწილებაზე ვერ შეთანხმდნენ. განსაზღვრეთ განქორწინების შემდეგ ვის ეკუთვნის ქვემოთ ჩამოთვლილი უძრავ-მოძრავი ქონება. ამასთანავე, გაითვალისწინეთ, რომ წყვილის თანაცხოვრების განმავლობაში ელენეს თითქმის არ უმუშავია, თუ არ ჩავთვლით მუსიკის კერძო რეპეტიტორის სტატუსით რამდენიმე მოსწავლის ყოლას. ის უმეტესად საოჯახო მეურნეობას უძღვებოდა. წყვილს შვილი არ ჰყავს.

- მანქანა, რომელიც ელენეს გათხოვებამდე უყიდა მამამ;
- ქამრანის ფეხსაცმელები არმანისგან და ცნობილი დიზაინერების სამოსი;
- ვილა ლოპოტას ტბაზე, რომელიც ქამრანმა ქორწინების განმავლობაში მემკვიდრეობით მიიღო ბაბუასგან;
- კერძო სახლი, რომელიც ელენემ ქორწინებამდე მიიღო მემკვიდრეობით და რომელსაც ქორწინების განმავლობაში მე-2 სართული დააშენეს და გაარემონტეს;
- ბრილიანტის ანტიკვარული ბეჭედი, რომელიც ელენემ

საჩუქრად მიიღო გაუთხოვარი დეიდისგან;

- ბორ-მანქანა, რომელიც ქამრანმა და ელენემ ქორწინების განმავლობაში იყიდეს;
- მზითევი, რომელიც ელენეს ქორწინების დღეს აჩუქეს;
- პიანინო, რომელიც ქამრანმა და ელენემ ქორწინების განმავლობაში იყიდეს;
- ბინა, რომელიც ქამრანმა ქორწინების შემდგომ შეიძინა და რომელშიც ცხოვრობდა წყვილი.

ვალდებულება სამოქალაქო სამართალში

სავარჯიშოს მიზანი: ვალდებულების წარმოშობის საფუძვლების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის შესახებ მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ, გვაქვს თუ არა სახეზე ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა (ან მისი წარმოშობის წინაპირობები) და რის საფუძველზეა ის წარმოშობილი.

1. გიორგიმ სეირნობისას ვერ დაიმორჩილა თავისი ბულდოგის ჯიშის ძაღლი, რომელმაც მძიმედ დაკბინა გამვლელი;
2. ნინომ ბებიასთან მისასვლელად ტაქსით იმგზავრა;
3. ლევანმა ერთ-ერთი ელექტრონული მაღაზიიდან განვადებით გამოიტანა სამსუნგის ფირმის ტელევიზორი;
4. სერგიმ მაღაზიაში მინერალური წყალი შეიძინა;
5. ანიმ ატელიე „ქალთა ბედნიერებაში“ საბანკეტო კაბა შეიკერა;
6. ელენემ ავტობუსში უბილეთოდ იმგზავრა, რის გამოც ის კონტროლიორმა დააჯარიმა;
7. ერიკმა მარიამს საქართველოს ისტორიის 4 ტომეული აჩუქა;
8. ეკას მიწით სავსე ყვავილის ქოთანი გადმოუვარდა აივნიდან, რომელმაც მისი მეზობლის კუთვნილი ოპელის ფირმის ავტომანქანა დააზიანა;
9. უნივერსიტეტში ერთი და იმავე ფაკულტეტზე ორი მარიამ გიორგაძე სწავლობდა. ერთ-ერთის კუთვნილი სტიპენდია ბევრად აღემატებოდა მეორისას. სტიპენდიის გაცემისას, მოლარემ შეცდომა დაუშვა და მეტი ოდენობა იმ სტუდენტს მისცა, რომელსაც ნაკლები ერგებოდა;
10. ქეთის სახლში მეზობლის დაუდევრობით წყალი ჩამოვიდა და რემონტი და ავეჯი გაუნადგურა;
11. ირაკლიმ და ასლანმა თავიანთი კუთვნილი ავტომანქანები გაცვალეს;
12. თაკომ თორნიკეს ლეპტოპი ათხოვა;
13. ქეთიმ ბანკ „რიკოდან“ 10 000 ლარი კრედიტი გამოიტანა;
14. ირენმა ტურისტულ ფირმა „მოგზაურში“ ეგვიპტის 2 საგზური შეიძინა.

ხელშეკრულება

სავარჯიშოს მიზანი: ხელშეკრულების ძირითადი ტიპების იდენტიფიცირება და მისი გამიჯვნა არასახელშეკრულებო ურთიერთობისგან.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შეტანა რეკომენდებულია ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილის ახსნის შემდეგ, ხელშეკრულების ძირითადი ტიპების შესახებ მსჯელობამდე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, იმსჯელეთ რა ურთიერთობა გვაქვს სახეზე, სახელშეკრულებო ურთიერთობის იდენტიფიცირების შემთხვევაში, რომელ ხელშეკრულებასთან გვაქვს საქმე?

1. 15 წლის იულია ბებიასთვის მაღაზიაში პური შეიძინა;
2. სკოლიდან გამოსული ლევანი სახლისაკენ მიმავალ გზაზე თავის მეგობარს შეხვდა, რომელსაც მათემატიკის სახელმძღვანელო ათხოვა 1 კვირით;
3. რაულის მამა, რომელიც ერთ-ერთი კომპანიის დირექტორია, რაულს ჯანმრთელობის დაზღვევას უკეთებს;
4. 10 წლის ნინიმ სახლისაკენ მიმავალ გზაზე ავტობუსით იმგზავრა;
5. ირაკლიმ დემეს კომპიუტერული თამაშების დისკის გაცვლა შეჰპირდა, თუმცა მოგვიანებით გადაიფიქრა;
6. ლელამ და მარიამმა თავიანთი კუთვნილი ვერცხლის ბეჭდები გაცვალეს;
7. მარიამმა სერგის გარკვეული თანხის სანაცვლოდ დროებით სარგებლობაში გადასცა კუთვნილი ბინა;
8. თათია და ზაზა ოჯახის შექმნამდე გარკვეულ პირობებზე შეთანხმდნენ, რაზეც დაქორწინებამდე ხელიც მოაწერეს;
9. მეგობრებმა, ამელმა და თორნიკემ, ერთ-ერთი საფეხბურთო მატჩის წინ თავიანთი ფავორიტი გუნდების მოგების შესახებ სანაძლეო დადეს;
10. მიშა, რომლის ოცნებაც ბარსელონაში მოხვედრა იყო, ერთ-ერთ ტურისტულ კომპანიაში მივიდა და ტურისტული საგზური შეიძინა ესპანეთის მიმართულებით;
11. ბაბუამ ლევანს ანდერძით დაუტოვა კერძო სახლი კიკეთში და ავტომანქანა;
12. ირენის აივნიდან ჩამოვარდნილმა ყვავილის ქოთანმა მისივე მეზობლის ლუკას მანქანა დააზიანა. მეზობლები შეთანხმდნენ, რომ ირენი ლევანს 300 ლარს გადაუხდიდა;
13. მამუკამ გიორგის გარკვეული თანხის სანაცვლოდ 1 წლის ვადით კუთვნილი მიწის ნაკვეთი გადასცა;
14. ქეთის, რომელსაც სასწრაფოდ დასჭირდა ფული, მეგობარმა ნათიამ 500 ლარი მისცა. მეგობრები შეთანხმდნენ, რომ ქეთი 1 წელიწადში 600 ლარს დაუბრუნებდა ნათიას;
15. დათო ხის ხელოსანს შეუთანხმდა, რომ ეს უკანასკნელი გარკვეულ დროში და გარკვეული თანხის სანაცვლოდ საკუთარი მასალით დაუმზადებდა სამზარეულოს კარადას;
16. ქამრანმა 1 ტონა კარტოფილი მაღაზიებში სარეალიზაციოდ გამოტანამდე ირაკლის კუთვნილ საწყობში შეინახა.

სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობა

სავარჯიშოს მიზანი: პრაქტიკული მაგალითის გამოყენებით მოსწავლემ ნათლად დაინახოს, თუ რა დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს რეალურ ცხოვრებაში სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ინსტიტუტს, გამიჯნოს ის საკუთრებისგან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში გაანალიზოს საგზაო სერვიტუტის წარმოშობის სპეციფიკა. ამასთანავე, კიდევ ერთხელ განასხვაოს ერთმანეთისგან ხელშეკრულების დადებისას ოფერტზე მოწვევისა და ოფერტის შემთხვევები, ჩამოაყალიბოს უძრავ ქონებასთან დაკავშირებული უფლებების რეგისტრაციის თავისებურებები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შეტანა რეკომენდებულია ძლიერ კლასში, მხოლოდ საკუთრებისა და სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ინსტიტუტების ახსნისა და თეორიული მიმოხილვის შემდეგ (ამასთანავე, მასწავლებელმა უნდა მიუთითოს, რომ აუცილებელი გზის დანაწესი ამ შემთხვევაში მოსწავლეებმა არ გამოიყენონ). მნიშვნელოვანია, სა-

ვარჯიშოს გაკეთებისას მოსწავლეებისთვის სწორი მიმართულების მიცემა. სავარჯიშოში დასმულ მთავარ შეკითხვაზე პასუხის გაცემის შემდეგ აუცილებლად დასვით ქვემოთ მოცემული კითხვები. მოსწავლეების მხრიდან პასუხების წარმოდგენის შემდგომ მოახდინეთ სავარჯიშოში აქცენტირებული საკითხების თეორიული შეჯამება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა და გადაწყვიტეთ დილემა.

ანის და მარის მამამ, გიორგიმ, გადაწყვიტა, რომ თავის ქალიშვილებს ნაკვეთი უყიდოს. მოძებნა რა **ვებ გვერდზე სასურველი ნაკვეთის განცხადება**, გიორგი მის მესაკუთრეს - სერგის დაუკავშირდა და ნაკვეთის **ყიდვის სურვილი განუცხადა**. აღმოჩნდა, რომ ლევანის საკუთრებაში აქვს 5000 კვ.მ. მიწის ნაკვეთი. გიორგი და ლევანი შეთანხმდნენ, რომ გიორგი 1200 კვ.მ. მიწის ნაკვეთს იყიდდა ლევანისგან, რის სანაცვლოდაც 10 000 **ლარსა და** 1992 წლის გამოშვების მერსედესის ფირმის **მანქანას გადასცემდ**ა მას. ამასთანავე, ლევანისთვის არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ამ 5000 კვ.მ.-დან კონკრეტულად რომელ ნაწილს გაყიდის. ასე რომ, გიორგიმ თავად გააკეთა არჩევანი და გამოყო მისთვის სასურველი ნაწილი. მნიშვნელოვანია ის, რომ გიორგის მიერ მონიშნულ 1200 კვ.მ-ის ნაკვეთთან სავალი გზა არ მიდის. თქვენი აზრით, რა სანივთო სამართლებრივი მექანიზმის გამოყენებაა შესაძლებელი იმისათვის, რომ გიორგის მიერ შერჩეულ ნაკვეთამდე გზა მივიდეს, თანაც ისე, რომ ლევანის **საკუთრებიდან არ გამოვიდეს** დარჩენილი 3800 კვ.მ. მიწის ნაკვეთი, გიორგიმ კი ნაკვეთამდე მისასვლელი გზის მოძიება და მისით **სარგებლობა** შეძლოს**.** გაითვალისწინეთ, რომ ხელშეკრულება აუცილებლად უნდა დაიდოს, თუმცა ლევანი სავალი გზის გარეშე ხელშეკრულებისადმი ინტერესს კარგავს.



მასწავლებლის შეკითხვები:

რას წარმოადგენს სამოქალაქო სამართლისათვის ვებ-გვერდზე ან გაზეთში განცხადების გამოქვეყნება და გიორგის მიერ ლევანისთვის დარეკვა და ნაკვეთის ყიდვის სურვილის გაცხადება? შესაძლებელია თუ არა ნაკვეთის ყიდვისთვის ანგარიშსწორების საშუალებად ერთდროულად ფული და მანქანა იყოს გამოყენებული? როგორ უნდა მოხდეს ნაკვეთზე საკუთრების უფლებისა და სერვიტუტის დარეგისტრირება?

სამოქალაქო საპროცესო სამართლის პრინციპები

სავარჯიშოს მიზანი: სამოქალაქო სამართლის პროცესისათვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის გაკვეთილზე, ზოგადი ნაწილის შესახებ მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, განსაზღვრეთ სწორად მოიქცა თუ არა სასამართლო, უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რა ნორმის დარღვევასთან გვაქვს საქმე.

1. გიორგის თავის მეზობელ ლევანთან დავა აქვს. მან სარჩელით მიმართა სასამართლოს და სამოქალაქო კოდექსის ერთ-ერთ მუხლზე მითითებით აღნიშნული დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტა მოითხოვა. სასამართლომ უარი განუცხადა გიორგის საქმის განხილვაზე, რადგანაც ის მუხლი, რომლის საფუძველზეც გიორგი მოთხოვნის დაკმაყოფილებას ითხოვდა, არსებულ დავას არ შეესაბამებოდა. ამასთანავე, სასამართლომ მოსარჩელეს განუმარტა, რომ სამოქალაქო სამართლის კოდექსი საერთოდ არ შეიცავდა ამ კონკრეტული ურთიერთობის მომწესრიგებელ კონკრეტულ მუხლს (არც რაიმე ცალკე საკანონმდებლო აქტი არსებობდა) და შესაბამისად, სასამართლო აღნიშნულ დავაზე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდა;
2. ერთ-ერთი საქმის განხილვისას საქალაქო სასამართლოს მოსამართლემ მიიჩნია, რომ კანონი, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას ითხოვდა, არ შეესაბამებოდა საქართველოს კონსტიტუციის ერთ-ერთ დანაწესს. მიუხედავად აღნიშნულისა, მოსამართლემ განაგრძო საქმე და ამ კანონის გამოყენებით გადაწყვეტილება მიიღო;
3. რაული საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლეა. ერთ-ერთი საქმის განხილვისას სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის თავმჯდომარემ, რაულს დავის კონკრეტული გზით გადაწყვეტა ურჩია და მიუთითა, რომ სასურველი იქნებოდა თუ სარჩელს არ დააკმაყოფილებდა. გამომდინარე იქიდან, რომ კოლეგიის თავმჯდომარე თანამდებობრივად მასზე ზემდგომი პირი იყო, რაული დაემორჩილა მითითებას და სარჩელი არ დააკმაყოფილა;
4. საქმის განმხილველ მოსამართლეს მოპასუხე მხარის ადვოკატმა შუამდგომლობით მიმართა და საზოგადოების წევრებისთვის პროცესზე დასწრების აკრძალვა მოითხოვა. ადვოკატი მოთხოვნის საფუძვლად უთითებდა, რომ პროცესზე შესაძლებელი იყო შვილად აყვანის ფაქტი გახმაურებულიყო, რაც საბოლოო ჯამში მხარეს მიაყენებდა ზიანს. მოსამართლემ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა, არგუმენტად კი ის მიუთითა, რომ სასამართლოში უკლებლივ ყველა სამოქალაქო სამართლებრივი საქმე საჯაროდ განიხილება;
5. ანიმ საქალაქო სასამართლოში ირენის წინააღმდეგ სარჩელი შეიტანა. მოსარჩელე მოპასუხისგან 5000 ლარს ითხოვდა, მიუთითებდა რა, რომ მათ შორის სესხის ხელშეკრულება არსებობდა. სასამართლომ დადგენილად ცნო მხარეებს შორის სასესხო ურთიერთობის არსებობა, თუმცა, გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეებმა განაცხადეს, რომ ისინი ძველი მეგობრები არიან და ერთმანეთს აღარ ედავებიან. სასამართლომ მათ განუმარტა, რომ საქმის შემოტანის შემდეგ სასამართლო ვალდებულია გადაწყვეტილება მიიღოს და დავა არსობრივად გადაწყვიტოს. ამდენად, მხარეების ნებას შერიგდნენ არანაირი მნიშვნელობა აღარ ენიჭება.

<u>განსჯადობა სამოქალაქო სამართლის პროცესში</u>

სავარჯიშოს მიზანი: სამოქალაქო სამართლის საქმეებზე განსჯადობის ძირითადი საკითხების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო საპროცესო სამართლის გაკვეთილზე, ზოგად ნაწილზე, კერძოდ, განსჯადობის საკითხებზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, განსაზღვრეთ რომელ სასამართლოში უნდა შეიტანოს მოსარჩელემ სარჩელი (მაგ. მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, მოსარჩელის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და ა.შ.).

1. ვანოს სურს სარჩელი შეიტანოს ინდ. მეწარმე გულნაზი მებურიშვილის წინააღმდეგ; 2. იულიას სურს სარჩელი შეიტანოს ანდროს წინააღმდეგ, რომელსაც საქართველოში საცხოვრებელი ადგილი არ აქვს; 3. მაიას სურს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში შვილად აყვანის შესახებ; 4. ანის, რომელიც ბათუმში ცხოვრობს 2 მცირეწლოვან შვილთან ერთად, სურს სარჩელი შეიტანოს სასამართლოში ალიმენტის დაკისრების მოთხოვნით;

5. მარიამს, რომელსაც ნაკვეთი აქვს ურეკში, სურს სარჩელი შეიტანოს თავისი მეზობლის წინააღმდეგ, რომელსაც ნაკვეთის მიჯნასთან დაკავშირებით ედავება; 6. ასლანს სურს ერთი და იმავე საფუძვლით სარჩელი შეიტანოს ლევანის, გიორგისა და ნათიას წინააღმდეგ; 7. გივის სურს სარჩელი შეიტანოს შპს „ანდამატის“ წინააღმდეგ; 8. მარიკას სურს სარჩელი შეიტანოს სააქციო საზოგადოება „მარტინის“ თბილისში ფუნქციონირებადი ფილიალის წინააღმდეგ.

კროსვორდი; მთავარი სიტყვა **საკუთრება** **(იხ. დანართი 3, გვ. 98-99; პასუხები გვ. 106)**

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: კროსვორდის მოსწავლეებისთვის მიწოდება რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის, სანივთო, ვალდებულებითი, საოჯახო, მემკვიდრეობითი, დელიქტური და საპროცესო სამართლის გავლის შემდგომ.

უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა

სავარჯიშოს მიზანი: სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში პირის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობის, არსებობისა და შეწყვეტის სპეციფიკის შესწავლა.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშო წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ ტესტს სამოქალაქო სამართლის შესავალი ნაწილის დასასრულებლად. მისი კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის ამოწურვის შემდეგ, მას შემდეგ, რაც მოსწავლე გარკვეული იქნება პირების კლასიფიკაციაში, უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ძირითად წესებსა და საგამონაკლისო დანაწესებში.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები, იმსჯელეთ იმ პირების უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის შესახებ, რომელთა სახელებიც გამუქებულია ტექსტში. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გადაწყვიტეთ, აქვს თუ არა სუბიექტს უფლებაუნარიანობა და ქმედუნარიანობა, რატომ მიგაჩნიათ ასე; აღნიშნულის მიხედვით შეავსეთ ცხრილები (თუ რაიმე პირობაზეა დამოკიდებული უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის წარმოშობისა თუ შეწყვეტის საკითხი, აუცილებლად მიუთითეთ ცხრილში).

1. 50 წლის **არტური**, რომელიც ავარიაში მოხვდა, უმძიმესი დაზიანებებით საავადმყოფოში მიიყვანეს. მიუხედავად ექიმების თავდაუზოგავი მცდელობისა გამომდინარე იქიდან, რომ ტვინმა ფუნქციონირება შეწყვიტა, არტური აპარატზე შეაერთეს.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

2. 19 წლის **ანას** სამედიცინო დასკვნის საფუძველზე ჭკუასუსტობა დაუდგინეს.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

3. ლელა 3 თვის ორსულია. ექიმების თქმით, ის ბიჭს ელოდება, რომელსაც **დავითს** არქმევს.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

4. დავითმა მცირე ბიზნესის საწარმოებლად ჩამოაყალიბა და კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით დაარეგისტრირა **ინდ. მეწარმე „დავით გეგეშიძე“**.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

5. ამელს, რომელსაც რთული მშობიარობა ჰქონდა, სამწუხაროდ, **ბავშვი** გაჩენიდან ერთ საათში გარდაეცვალა.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

6. **გიორგი**, რომელიც 16 წლისაა, კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით, მუშაობას იწყებს კაფე-ბარში „ბისტრო“.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

7. ირაკლიმ, ელენემ და სერგიმ ჩამოაყალიბეს და კანონის ყველა მოთხოვნის დაცვით დაარეგისტრირეს **შპს „ბერმუდი“.**

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

8. 19 წლის ერიკმა და 17 წლის **ნათიამ** იქორწინეს.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

9. **სააქციო საზოგადოება „ლიდერი“** გაკოტრდა.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

10. 31 წლის **დემეტრეს**, რომელიც ბოლო პერიოდში ალკოჰოლს მიეჩვია, სასმელის ფულის საშოვნელად სახლიდან ძვირფასი ნივთები გაჰქონდა და ყიდდა. სასამართლომ დემეტრეს მზრუნველად ძმა დაუნიშნა.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

11. 16 წლის **საბა,** რომელიც სწავლაში წარმატებულია და დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, მამამ საკუთარი შპს-ს დირექტორად დანიშნა.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

12. **შპს „ანდამატი“** კანონით დადგენილი წესით ლიკვიდირებულ იქნა.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

13. 87 წლის **ნატო**, რომელიც მძიმე ავადმყოფია, ბოლო 10 წელია ლოგინად არის ჩავარდნილი და შვილები უვლიან.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

14. მრავალბინიანი სახლის მაცხოვრებლებმა ჩამოაყალიბეს **ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „საბურთალო 91“**.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

15. 17 წლის **ვანომ**, რომელიც 2 წელია მუშაობს, მეზობლის მანქანას ფარი ჩაუმტვრია. ვანომ კანონით დადგენილი წესით აუნაზღაურა მეზობელს ზიანი.

უფლებაუნარიანობა	ქმედუნარიანობა

გარიგებები

სავარჯიშოს მიზანი: გარიგებების შესახებ ფუნდამენტური საკითხების ცოდნის გადამოწმება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშო წარმოადგენს ერთგვარ შემაჯამებელ ტესტს გარიგებების შესახებ მსჯელობის შემდგომ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები, გადაწყვიტეთ, რომელია სწორი და რომელი არასწორი. პასუხი დაასაბუთეთ, არასწორი წინადადებები გაასწორეთ.

1. ყველა გარიგება ხელშეკრულებაა, მაშინ როცა ყველა ხელშეკრულება გარიგება არაა; 2. მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების უფლების წარმოსაშობად სამოქალაქო კოდექსი რაიმე სავალდებულო ფორმას არ ითვალისწინებს; 3.მოძრავი ნივთი შესაძლოა უძრავი ნივთი გახდეს; 4. ბათილი გარიგება მისი დადების მომენტიდანვე ბათილია და არანაირი სამართლებრივი შედეგის დადგომასთან არ არის დაკავშირებული; 5. იმ შემთხვევაში, როდესაც კანონი კონკრეტული გარიგებისთვის სავალდებულო წერილობით ფორმას ითვალისწინებს, აუცილებელია, რომ გარიგების მხარეთა ხელმოწერა ნოტარიუსის მიერ იქნეს დამოწმებული; 6. თუ პირი გარიგების დადების მიზნით მოატყუეს, მას უფლება აქვს ამ გარიგების შეწყვეტა მოითხოვოს; 7. სამოქალაქო სამართლის კოდექსის თანახმად წარმომადგენლის მეშვეობით ნებისმიერი გარიგების დადებაა დასაშვები; 8. გარიგება ეს არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ;

9. მოტყუებით დადებული გარიგება თავიდანვე ბათილია და არანაირ სამართლებრივ შედეგებს არ წარმოშობს;10. ერთი გარიგების დასაფარად დადებულ მეორე გარიგებას სამოქალაქო კოდექსი ბათილ გარიგებად აცხადებს.

მემკვიდრეთა რიგები

სავარჯიშოს მიზანი: მემკვიდრეთა რიგების შესწავლა კანონით მემკვიდრეობისას.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამემკვიდრეო სამართლის შესახებ მსჯელობისას, კერძოდ, კანონით მემკვიდრეობისა და მემკვიდრეთა რიგების განხილვის დროს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: ბებია ანიკო, რომელიც სულ რაღაც 60 წლის იყო, მოულოდნელად გარდაიცვალა. აღმოჩნდა, რომ მის სახელზე საკმაოდ დიდი ქონება ირიცხება, მათ შორის, 2 ბინა თბილისში, კერძო სახლი კიკეთში და წილი შპს „მემკვიდრეობაში“. ანიკო ბებიას ანდერძი არ დაუტოვებია. ქვემოთ მოცემულია ანიკოს ოჯახური მდგომარეობის ამსახველი სქემა. გადაწყვიტეთ რა ტიპის მემკვიდრეობასთან გვაქვს საქმე და ვის ეკუთვნის აღნიშნული ქონება.

ანიკოს **დედა** (ნინო)



მეწარმე სუბიექტები

სავარჯიშოს მიზანი: მეწარმე სუბიექტებისათვის დამახასიათებელი ნიშნების გაანალიზება და მათი ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამეწარმეო სამართალზე მსჯელობისას, მხოლოდ მას შემდეგ, რაც თეორიულად განიხილავთ თითოეულ მეწარმე სუბიექტს. კლასში ბავშვების რაოდენობის მიხედვით სავარჯიშო შეიძლება გაკეთდეს ორნაირად:

1. დაჭერით ქვემოთ წარმოდგენილი 6 მოცემულობა (რომელიც 6 მეწარმე სუბიექტს შეესაბამება) და დაურიგეთ 6 მოსწავლეს. დანარჩენი მოსწავლეები გადაანაწილეთ ჯგუფებად და თითოეულ ჯგუფს დაავალეთ, მოიფიქრონ ისეთი შეკითხვები, რომელთაც ამ 6 მოსწავლეს დაუსვამენ მეწარმე სუბიექტის ამოსაცნობად. ამასთანავე, ჯგუფმა შეკითხვები უნდა ჩამოაყალიბოს წერილობით, რაც სათითაოდ გადაეცემათ მეწარმე სუბიექტებს, რომლებიც უხმოდ წაიკითხავენ კითხვებს და კი ან არა ფორმატში საჯაროდ გასცემენ პასუხს. შეკითხვაზე პასუხის მოსმენის შემდეგ, როდესაც ჯგუფი სუბიექტს ამოიცნობს, ფურცელზე წერს: --- (რაოდენობა) შეკითხვის შემდეგ, ვფიქრობთ, რომ 1-ელი მოსწავლე არის ------- (რომელიღაც მეწარმე სუბიექტი) და გადმოგცემთ თქვენ. ბოლოს, თქვენ დაითვლით კითხვების რაოდენობას და შეამოწმებთ პასუხების სისწორეს. გამარჯვებულია ის ჯგუფი, რო-

მელიც შეკითხვების ყველაზე ნაკლები ოდენობის დასმით მოახდენს სუბიექტების იდენტიფიცირებას. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ ხმამაღლა წაიკითხეთ ჯგუფების მიერ დაწერილი კითხვები და შეაფასეთ რამდენად სწორად და მიზანმიმართულად იყო ისინი ჩამოყალიბებული;

2. დაურიგეთ ქვემოთ წარმოდგენილი მოცემულობები მოსწავლეებს და დაავალეთ გამოიცნონ, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, რომელი მეწარმე სუბიექტია სახეზე.

პირველი ვარიანტის არჩევის შემთხვევაში, მოსწავლეებისათვის ინსტრუქტაჟს აკეთებთ ზეპირად.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის (მეორე ვარიანტი)**:** წაიკითხეთ მოცემულობები და გამოიცანით, რომელი მეწარმე სუბიექტია სახეზე.

სუბიექტი იურიდიული პირი და კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა; რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; შეიძლება დააფუძნოს ერთმა პირმაც; საზოგადოების პარტნიორების პასუხისმგებლობა საზოგადოების კრედიტორების წინაშე შეზღუდულია განხორციელებული შენატანების მოცულობით; სუბიექტს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს დირექტორი; როგორც წესი, მთავარ ორგანოდ პარტნიორთა საერთო კრება გვევლინება; მისი კაპიტალი დაყოფილია წილებად.

სუბიექტი იურიდიული პირი და ამხანაგური ტიპის საზოგადოებაა; რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; მის ფარგლებში რამდენიმე პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას; პარტნიორები საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებენ თავიანთი საკუთარი ქონებით, სრული მოცულობით; ხელმძღვანელობის უფლება, როგორც წესი, ნებისმიერ პარტნიორს აქვს; რომელიმე პარტნიორის გასვლა, იმ შემთხვევაში, თუ ახალი არ შემოვა, საზოგადოებაში იწვევს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებას.

სუბიექტი იურიდიული პირი და შერეული (ჰიბრიდული) ტიპის საზოგადოებაა; რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში, მის ფარგლებში რამდენიმე პირი ეწევა სამეწარმეო საქმიანობას, მათ შორის, ერთი ან რამდენიმე პარტნიორი საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხს აგებს მის მიერ დაფუძნების ეტაპზე გადახდილი საგარანტიო თანხის ფარგლებში, ხოლო დანარჩენი პარტნიორები მთელი თავიანთი ქონებით არიან პასუხისმგებელნი; ხელმძღვანელობის უფლება, როგორც წესი, მხოლოდ იმ პარტნიორებს აქვთ, რომელთა პასუხისმგებლობაც კრედიტორების წინაშე შეუზღუდავია.

სუბიექტი იურიდიული პირი და კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა; რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; მისი კაპიტალი დაყოფილია გარკვეული რაოდენობისა და სახის აქციებად, რომელიც, ჩვეულებრივ დივიდენდის (მოგების) მიღების უფლებას ანიჭებს პარტნიორს; საზოგადოების კრედიტორების წინაშე პასუხისმგებელია თავად საზოგადოება თავისი ქონებით, პარტნიორები კი აღნიშნულისთვის პასუხს არ აგებენ; სუბიექტს, როგორც წესი, ხელმძღვანელობს დირექტორი.

სუბიექტი იურიდიული პირია და რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; ის წევრთა შრომით საქმიანობაზე დაფუძნებული ან წევრთა მეურნეობის განვითარებისა და შემოსავლის გადიდების მიზნითაა შექმნილი; მას აქვს მოგების მიღების უფლება, თუმცა ეს მისი ძირითადი მიზანი არ არის; სუბიექტის ძირითადი მამოძრავებელი ისეთი სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებაა, რაც მისი წევრების მოთხოვნილებებს დააკმაყოფილებს; პარტნიორის მინიმალურ შენატანს პაი ეწოდება; სუბიექტი საზოგადოების კრედიტორების წინაშე თავისი ქონებითაა პასუხისმგებელი, პარტნიორები კი აღნიშნულისთვის პასუხს არ აგებენ და როგორც წესი, მათ ხელმძღვანელობს დირექტორი.

სუბიექტი არ არის იურიდიული პირი, თუმცა რეგისტრირდება მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში; საქმიან ურთიერთობებში ის თავის უფლებებს ახორციელებს, როგორც ფიზიკური პირი, შესაბამისად, სამეწარმეო საქმიანობიდან წარმოშობილი ვალდებულებებისთვის ის თავად აგებს პასუხს კრედიტორების წინაშე თავისი ქონებით.

დაარეგისტრირე საწარმო

სავარჯიშოს მიზანი: შპს-ს მაგალითზე საწარმოს დასარეგისტრირებლად საჭირო პროცედურის გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამეწარმეო სამართლის გაკვეთილზე როგორც უშუალოდ მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციის საკითხის ახსნის შემდგომ, ისე ამ დარგის შესწავლის დასასრულს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: 18 წლის ლევანის მამამ - ირაკლიმ, ახალი ბიზნესის წამოწყება გადაწყვიტა. ამისათვის მან შპს-ის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა შეარჩია. ირაკლი თავისი საქმიანობიდან გამომდინარე ძალიან დაკავებულია, ამიტომაც ლევანს სთხოვა ამ საკითხის მოგვარება და შპს-ის დარეგისტრირება. ბიჭს ამ საქმის არაფერი გაეგება. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული თეზები, აირჩიეთ ის მოქმედებები, რაც ლევანს შპს-ის დასარეგისტრირებლად დასჭირდება - დაეხმარეთ მას დაარეგისტრიროს შპს.

1. რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოთ იუსტიციის სახლს;
2. უნდა წარადგინოთ სარეგისტრაციო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
3. აუცილებლად თან იქონიეთ დაბადების მოწმობა, რათა დადგინდეს, რომ თქვენ იმ პირის შვილი ხართ, ვისაც საზოგადოების დარეგისტრირება სურს;
4. რეგისტრაციისთვის უნდა მიმართოთ სამოქალაქო რეესტრს;
5. უნდა წარადგინოთ საწარმოს წესდება, რომელიც აუცილებლად ნოტარიუსის მიერ უნდა იყოს დამოწმებული;
6. აუცილებლად თან იქონიეთ პირადობის მოწმობა;
7. უნდა წარადგინოთ ნასამართლობის შესახებ ცნობა;
8. შპს-ს რეგისტრაცია უფასოა, შესაბამისად, რაიმე მოსაკრებლის გადახდა არ გევალებათ;
9. უნდა წარადგინოთ შესაბამისი წესით დამოწმებული წარმომადგენლობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
10. უნდა წარადგინოთ ყველა პარტნიორის მიერ ხელმოწერილი და სათანადო წესით დამოწმებული წესდება, რომელშიც მითითებული უნდა იყოს საწარმოს დასახელება, ადგილსამყოფელი, ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირები, საწესდებო კაპიტალის ოდენობა და ა.შ.;
11. რეგისტრაციისათვის უნდა მიმართოთ იუსტიციის სამინისტროს;
12. უნდა წარადგინოთ ცნობა შესაბამისი ორგანოდან, რომ თქვენს მიერ შერჩეული საფირმო სახელწოდება არ არის აქამდე გამოყენებული სხვა მეწარმე სუბიექტის მიერ;
13. უნდა წარადგინოთ 2 ფოტო ფორმატით 3X4;
14. უნდა წარადგინოთ საწარმოს საწესდებო კაპიტალის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი შესაბამისი საბანკო დაწესებულებიდან;
15. უნდა წარადგინოთ საწარმოს ბეჭდის ნიმუში.

გადასახადები

სავარჯიშოს მიზანი: საშემოსავლო და მოგების გადასახადების დანიშნულებისა და არსის შესწავლა კონკრეტული შემთხვევების მაგალითზე.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია საგადასახადო სამართლის გაკვეთილზე, გადასახადების სახეების ახსნის შემდგომ. სასურველია, სავარჯიშო დებატების ფორმატში წაიყვანოთ და მოსწავლეებს საშუალება მისცეთ აღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით საკუთარი აზრი დააფიქსირონ, ხოლო სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე აქცენტი გააკეთეთ გადასახადებზე, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის შევსების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებაზე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 2 შემთხვევა და უპასუხეთ შეკითხვებს.

1. 37 წლის იულია 5 წელია ერთ-ერთ კერძო ფირმაში მარკეტინგის მენეჯერად მუშაობს. მან იცის, რომ საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად მისი ხელფასიდან 20 პროცენტი იჭრება და ყოველთვიურად სახელმწიფო ბიუჯეტში მიდის. იულიას მიაჩნია, რომ 20 პროცენტი ზედმეტად დიდი ოდენობაა სახელფასო თანხის იმ ოდენობისთვის, რასაც იგი იღებს, მაგრამ გააზრებული აქვს, რომ აღნიშნული გადასახადი ქვეყნის საკეთილდღეოდ და ეკონომიკური სისტემის გამართულად მუშაობისთვისაა საჭირო. იულია მუშაობის დაწყების დღიდან ფულს აგროვებდა. გარკვეულ თანხას რომ მოუყარა თავი, ქალაქის გარეუბანში ერთოთახიანი ბინა იყიდა და ერთი კვირის წინ ფიზიკურ პირზე 2 წლის ვადით 500 ლარად (ყოველთვიურად) გააქირავა. ორი დღის წინ იულია თავისი მეგობრისგან იგებს, რომ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ აღნიშნული თანხიდანაც უნდა დაკავდეს 20 პროცენტი. იულია გაოგნებულია, ვერ ხვდება სწორია თუ არა მეზობლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია და რა საფუძვლით ითხოვს საგადასახადო კანონმდებლობა ამ გადასახადს;

როგორ ფიქრობთ, აკისრია თუ არა იულიას ამ გადასახადის გადახდის ვალდებულება? დადებითი პასუხის შემთხვევაში რა სახის გადასახადთან გვაქვს საქმე?

2. ინდივიდუალურ მეწარმე „გუჯა გადაბაძეს“ საგადასახადო ორგანო, მისი საქმიანობიდან გამომდინარე, მოგების გადასახადის გადახდას სთხოვს. ბატონ გუჯას ამ სფეროში მოღვაწეობა ახალდაწყებული აქვს და საგადასახადო კანონმდებლობის ამ მოთხოვნის შესახებ არაფერი იცის. ამიტომაც აღნიშნულის შესახებ ის თავის მეზობელ ნიკას ეკითხება, რომელიც 5 წელია შპს „მარციპანის“ დირექტორია და მოგების გადასახადს ყოველწლიურად იხდის. ნიკამ დაუდასტურა გუჯას მოგების გადასახადის გადახდის ვალდებულება და აცნობა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მოგების გადასახადი, რომელიც მან უნდა გადაიხადოს, 15 %-ს შეადგენს წლიური შემოსავლიდან.

როგორ ფიქრობთ, აკისრია თუ არა ინდ. მეწარმე „გუჯა გადაბაძეს“ ამ ტიპის გადასახადის გადახდის ვალდებულება?

სამოქალაქო სამართლის ბუნება

სავარჯიშოს მიზანი: სამოქალაქო სამართლისათვის, როგორც პირთა თანასწორობაზე და ნების გამოვლენის თავისუფლებაზე დამყარებული სფეროსათვის, დამახასიათებელი პრინციპებისა და მათი საგამონაკლისო დანაწესების გააზრება.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის, კერძოდ, ვალდებულებითი სამართლის პრინციპებზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული 3 შემთხვევა, განსაზღვრეთ აქვს თუ არა რაიმე დანაწესის, პრინციპის დარღვევას ადგილი. პასუხი დაასაბუთეთ.

1. სერგი და ნინი მეზობლები არიან. სერგი მე-5 სართულზე ცხოვრობს, ხოლო ნინი მე-4 სართულზე. ერთ მშვენიერ დღეს სერგის სააბაზანოში ონკანი დარჩა მოშვებული, წყალი ნინის ბინაში ჩავიდა და ახალგარემონტებულ ბინას და იქ არსებულ ავეჯს სერიოზული ზიანი მიაყენა. ნინის სერგი დიდი ხანია მალულად უყვარს. ამიტომ გადაწყვეტს, რომ აპატიოს აღნიშნული დაუდევრობა და ზიანის ანაზღაურება არ მოსთხოვოს, მაგრამ სერგისა და ნინის ზედმეტად აქტიურმა მეზობელმა, დეიდა ვასასიმ, პატრულს გამოუძახა. პატრულმა კი სამართალდარღვევის ოქმი გამოუწერა სერგის, 200 ლარით დააჯარიმა და მიყენებული ზიანის ანაზღაურება დაავალა;
2. საბას, რომელიც ახალგაზრდა გამომგონებელია, თავისი გამოგონებისათვის ურანი ესაჭიროება. მან გაიგო, რომ დემეტრეს აღნიშნული ნივთიერება სახლში აქვს. დემეტრე და საბა ურანის ფასზე შეთანხმდნენ და ნასყიდობის ხელშეკრულება წერილობითი ფორმით დადეს;
3. ქვეყანაში გაზმომარაგების ერთადერთმა კომპანიამ ელინას უარი უთხრა გაზის მიწოდების ხელშეკრულების დადებაზე. კომპანიის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისა და სახელშეკრულებო სამართლისთვის ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპი მოქმედებს და კომპანიას არანაირი კანონი არ ავალდებულებს უკლებლივ ყველა პირთან დადოს ხელშეკრულება.

შრომითი ურთიერთობები

სავარჯიშოს მიზანი: შრომით ურთიერთობებში დისკრიმინაციის შემთხვევებისა და ფორმების, მეორე მხრივ, სამუშაოს არსისა და სპეციფიკის გათვალისწინებით პირთა დასაშვები განსხვავების გააზრება.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია შრომის სამართლის გაკვეთილზე, ამ სფეროში დისკრიმინაციის შესახებ ზოგადი თეორიული მსჯელობის შემდეგ. სავარჯიშოს დასრულებისა და შედეგების წარმოდგენის შემდეგ შეფასების ეტაპზე, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს დისკრიმინაციასა და სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე პირთა დასაშვებ განსხვავებას შორის მიჯნაზე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ გვაქვს თუ არა სახეზე დისკრიმინაცია შრომით ურთიერთობებში და რა სახის.

1. სამოდელო სააგენტო **"ა&თ"**-მ გამოაქვეყნა განცხადება მოდელის ვაკანსიასთან დაკავშირებით, სამუშაოს მთლიან განაკვეთზე, საკვალიფიკაციო მოთხოვნებში კი მიუთითა: „სააგენტოს ესაჭიროება 18-25 წლის გოგონა, პარამეტრებით 90/60/90 ეთნიკურად ქართველი";
2. საწარმო „ბულდოზერმა", რომელსაც ვაკანსია აქვს გამოცხადებული სადღეღამისო დარაჯის პოზიციაზე, უარი უთხრა 67 წლის ზაზას სამსახურში მიღებაზე იმ მოტივით, რომ ის ვერ შეძლებდა მასზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას;
3. სააქციო საზოგადოება „ლამპარი"-ს ადმინისტრაციამ, აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით, დასაქმებულებს თვის ბოლოს ხელფასთან ერთად პრემია მისცა. პრემია არ მიუღია 2 თანამშრომელს, აღმოჩნდა, რომ ისინი არ არიან ქრისტიანები და ადმინისტრაციამ მათთვის რელიგიურ დღესასწაულთან დაკავშირებული დანამატის მიცემა არამიზანშეწონილად მიიჩნია;
4. სამოდელო სააგენტო „რატატუიმ", რომელსაც საერთაშორისო პროექტში ფოტოსესიისთვის მიწვევა მიუვიდა, უარი უთხრა თავის მოდელს ჯიჯის ამ პროექტში

მონაწილეობის მიღებაზე, რადგანაც ჯიჯი შავკანიანია, აღნიშნული კი ფოტოსესიის კონცეფციას ეწინააღმდეგება;

5. შპს „მანდოლინას“ ქალი დასაქმებულებისათვის, სამუშაო დღის მანძილზე, ერთსაათიანი შესვენება აქვს დაწესებული, მამაკაცი დასაქმებულებისათვის კი - 30 წუთიანი;
6. მარიამი, რომელიც განათლების სამინისტროში სპეციალისტად მუშაობდა, ერთ მშვენიერ დღეს უფროსმა დაიბარა და სამსახურიდან წასვლის შესახებ განცხადების დაწერა მოსთხოვა. მიზეზი კი ის გახლდათ, რომ მარიამი პოლიტიკური პარტია „მონარქიული საქართველოს“ მანიფესტაციაზე იქნა შემჩნეული;
7. 15 წლის ქამრანმა, რომელსაც სამსახური ძალიან სჭირდებოდა, დამალა თავისი ასაკი და კაზინოში დაიწყო მუშაობა. ადმინისტრაციამ ერთ თვეში გაიგო ქამრანის სიცრუის შესახებ და ასაკის გამო სამსახურიდან გაათავისუფლა;
8. ამათის უარი უთხრეს კახეთის ერთ-ერთ სკოლაში საქართველოს ისტორიის მასწავლებლის ვაკანსიის დაკავებაზე, რადგანაც ის წარმოშობით აზერბაიჯანელი იყო და ქართულ ენას ზედმიწევნით კარგად ვერ ფლობდა.

არასრულწლოვანი შრომის სამართალში

სავარჯიშოს მიზანი: შრომით ურთიერთობებში არასრულწლოვნის სამართლებრივი მდგომარეობის შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია შრომის სამართლის გაკვეთილზე შრომითი ქმედუნარიანობის წარმოშობის საკითხებზე მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრეთ, შეუძლია თუ არა მითითებულ სუბიექტს შრომით ურთიერთობაში შესვლა და მუშაობის დაწყება, პასუხი დაასაბუთეთ.

1. 10 წლის ვანო, რომელიც ქართული ტკბილეულის მწარმოებელი კომპანიის „ტკბილი შოკოლადის“ ხელმძღვანელობას ტკბილეულისთვის სატელევიზიო რეკლამის გასაკეთებლად მოეწონა, თანხმდება შემოთავაზებას და შრომითი კონტრაქტის დადებას აპირებს კომპანიასთან. ვანოს მშობლები თანხმობას აცხადებენ;
2. 15 წლის გიორგიმ გაზეთში წაიკითხა, რომ სამშენებლო კომპანია აცხადებს ვაკანსიას სამშენებლო ნანგრევების ტერიტორიიდან გამტანი მუშის პოზიციაზე. სამუშაო გრაფიკი განისაზღვრება დილის 9 საათიდან შუადღის 3 საათამდე. გიორგის მშობლები თანახმანი არიან;
3. 15 წლის იულიას სურს, რომ სილამაზის სალონში „ლამაზმანი“ სტილისტად დაიწყოს მუშაობა. იულიას მუშაობა მოუწევს მხოლოდ შაბათს და კვირას 9 საათიდან 12 საათამდე;
4. 13 წლის ანი თავისი ასაკისთვის ძალიან წარმატებული ბალერინაა. მას ერთ-ერთ საბალეტო წარმოდგენაში როლის შესრულება შესთავაზეს. სპექტაკლი მთელი სეზონის განმავლობაში იქნება წარმოდგენილი ოპერისა და ბალეტის თეატრში. ანის სურს შრომითი კონტრაქტის გაფორმება;
5. 17 წლის ერიკს, რომელსაც მატერიალურად ძალზე უჭირს, გადაწყვეტილი აქვს მუშაობა დაიწყოს ქარხანაში მუშად. ამ პოზიციაზე მისი მთავარი ფუნქცია ქარხნის ტერიტორიიდან ტოქსიკური ნარჩენების გატანა იქნება. ერიკის მშობლები თანხმობას აცხადებენ აღნიშნულზე;
6. 17 წლის ნათია, რომელსაც ახლახან გაუჩნდა შვილი და ეკონომიკურ შეჭირვებას განიცდის, გაიგებს, რომ შპს „ახალი სოკო“ ეძებს თანამშრომელს. აღნიშნულ პოზიციაზე პირის მთავარი ფუნქცია ხელოვნურად მოწყობილ სოკოს სათბურში სოკოზე დაკვირვება და მისი მოვლა-პატრონობაა. გამომდინარე იქიდან, რომ სათბური სარდაფში მდებარეობს და სოკო ხელოვნური ზრდის პროცესში გარკვეულ

საშიშ ნივთიერებას გამოყოფს, ნათიას უფლებას აძლევენ დღის განმავლობაში 1 საათის ნაცვლად საათნახევარი შეისვენოს;

7. 14 წლის სერგიმ გაიგო, რომ სკოლა, რომელშიც თავად სწავლობს, ბიბლიოთეკარის თანაშემწის ვაკანსიას აცხადებს. სამუშაო გრაფიკი ყოველდღიურ მუშაობას გულისხმობს 9 საათიდან 18 საათამდე;
8. 16 წლის გივის მეზობელი ღამის კლუბ „ღამურაში“ შესთავაზებს სამუშაოს დაწყებას ბარმენის თანამდებობაზე. სამუშაოს სპეციფიკა კვირაში 3 დღე-ღამის 12 საათიდან დილის 6 საათამდე მუშაობას გულისხმობს;
9. 13 წლის ლელას სურს მუშაობა დაიწყოს ერთ-ერთ სასტუმროში დამლაგებლად, ამასთანავე, სამუშაო გრაფიკი მას ხელს არ შეუშლის განათლების მიღებაში.

კროსვორდი; (იხ. დანართი4, გვ. 100-101; პასუხები გვ. 107)

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: კროსვორდის მოსწავლეებისთვის მიწოდება რეკომენდებულია *სამეწარმეო, შრომის, ინტელექტუალური* და *საგადასახადო* სამართლის გავლის შემდეგ.

სამეზობლო სამართლის ძირითადი პრინციპი

სავარჯიშოს მიზანი: სამეზობლო სამართალში მეზობელთა ურთიერთპატივისცემისა და თმენის ვალდებულების შესახებ მსჯელობა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამეზობლო სამართლის გაკვეთილზე, მისთვის დამახასიათებელი ძირითადი პრინციპების ახსნის შემდგომ. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე მნიშვნელოვანია, თმენის ვალდებულებასთან დაკავშირებით სწორი მიჯნის გავლება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრეთ აკისრია თუ არა მეზობელს თმენის ვალდებულება.

1. ლიკას ერთი თვის შვილი ჰყავს სახლში. ჩვილს ღამე არ სძინავს და ტირის, ამიტომაც ლიკა იძულებულია ბავშვით ხელში მთელი ღამე ბინაში წინ და უკან იაროს და შვილი ასე დაამშვიდოს. ლიკას მეზობელი ბაბუცა კი, რომელსაც ნევროზი აწუხებს, ქვედა სართულზე ცხოვრობს და ფიქრობს, რომ ყოველივე ეს აუტანელია. ის მოთხოვნას უყენებს ლიკას, რომ შეწყვიტოს მსგავსი ქცევა და დააცადოს მეზობელს ღამით ძილი.
2. დავითი ქალაქ ზესტაფონში ცხოვრობს. მისი სახლის უკან კი საფეხბურთო მოედანია განთავსებული. მოედანი ქალაქის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრებით გარემონტდა, სადაც ბოლო ორი თვეა კვირაში 3-4-ჯერ საფეხბურთო მატჩები იმართება, რაც დავითს მოსვენებას უკარგავს. გულშემატკივრების ხმაურისა და ჟივილ-ხივილის ატანა დავითისთვის უკვე შეუძლებელია. მან წერილით მიმართა ზესტაფონის ადგილობრივი მმართველობის ორგანოს და მოედნის სხვა ადგილზე გადატანა მოითხოვა, საფუძვლად კი ის მიუთითა, რომ მას თავისი საკუთრების გამოყენებაში ხელი ეშლება.
3. რაული საოპერო ჟანრის მომღერალია, ის კონცერტების წინ ყოველდღიურად 6-7 საათის განმავლობაში საკუთარ ბინაში რეპეტიციებს გადის და სხვადასხვა საოპერო არიებს ასრულებს. რაულის კარის მეზობელი ფრიად შეწუხებულია ამ ფაქტით, სიმშვიდე აქვს დაკარგული და მიაჩნია, რომ მას აღნიშნულის თმენის ვალდებულება არ ეკისრება. ამიტომაც მიმართავს რაულს შეწყვიტოს რეპეტიციები სახლში.
4. ამელის ნაკვეთში ღობესთან ახლოს თუთის ხე დგას, რომლის ტოტების უდიდესი ნაწილი მანანას ეზოში გადადის. ტოტები მანანას ნაკვეთის ჭიშკართან არის გადმოსული და შემომსვლელს გზას გარკვეულწილად უმრუდებს. ამასთანავე, ნაყოფის დამწიფების პერიოდში, შავი თუთა მთელი სეზონის განმავლობაში მანანას ეზოში ცვივა და იქაურობას აბინძურებს. მანანამ ამელს ამ ტოტების მოჭრა მოსთხოვა.

5. საბამ, რომელმაც 2 თვის წინ იყიდა ნაკვეთი ერიკისგან, ნაკვეთამდე მიმავალი ერთადერთი გზა გააუქმა და ბეტონის ღობე ამოაშენა. ამ გზის გაუქმებას საბა იმით ამართლებს, რომ უამინდობის დროს გზაზე ტალახი ჩამოდის, რომლის წმენდითაც დაიღალა. უგზოდ დარჩენილმა საბამ თავის მეზობელ ანის მოსთხოვა მისი ნაკვეთის გავლით გზის მიცემა და მიუთითა, რომ ეს მისთვის აუცილებელი გზა იყო და კანონმდებლობა ანის თმენის ვალდებულებას აკისრებდა.

ხელშეკრულებები

სავარჯიშოს მიზანი: ხელშეკრულების ძირითადი ტიპების შესწავლა და მათი გამიჯვნა ერთმანეთისაგან.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სახელშეკრულებო სამართლის გაკვეთილზე, მას შემდეგ რაც მოსწავლეებს აუხსნით ხელშეკრულების ძირითად ტიპებს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და ხელშეკრულების ტიპები. თითოეულ შემთხვევას შეუსაბამეთ თითო ხელშეკრულების სახე. ამის შემდეგ ხელშეკრულებებს (შემთხვევებს) თქვენი აზრი მიაწერეთ, თუ როგორი ფორმით უნდა იყოს ისინი დადებული.

1. ნოდარი მიდის ტექნიკის სახლში "პარადისე" და 1500 ლარად იძენს მისთვის სანატრელ მობილურ ტელეფონს GALAXY S4-ს;
2. გვანცა და მარიამი დიდი ხნის მეგობრები არიან. გვანცა პაოლო კოელიოს შემოქმედების თაყვანისმცემელია, მარიამი კი გაბრიელ გარსია მარკესს ანიჭებს უპირატესობას. გვანცას დაბადების დღეზე მარკესის წიგნი „პატრიარქის შემოდგომა" აჩუქეს. მარიამმა კი კოელიოს „ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა" იყიდა. მეგობრებმა გადაწყვიტეს, რომ პირველ რიგში იმ ავტორის ნაწარმოებები წაიკითხონ, რომელიც განსაკუთრებულად უყვართ, ამიტომ წიგნები დროებით გაცვალეს;
3. თორნიკემ მეგობრისგან გაიგო, რომ მიმდინარე წლის ზაფხულში ხორბლის მოსავლისთვის იდეალური ამინდებია ნაწინასწარმეტყველები. იგი მიწის დამუშავებასა და ხორბლის დათესვას გადაწყვეტს, რათა შემოდგომაზე მოსავლის რეალიზაცია მოახდინოს. გამომდინარე იქიდან, რომ თორნიკეს მსგავსი ტიპის ნაკვეთი საკუთრებაში არ აქვს, იგი ანისთან აფორმებს ერთწლიან სასყიდლიან ხელშეკრულებას და მისთვის სარგებლობაში გადაცემულ ანის კუთვნილ მიწაზე ხორბალს თესავს;
4. ასლანი, რომელსაც მამამ დაბადების დღეზე ცენტრიდან გამოყვანილი ავტომანქანა პორშე პანამერა უსახსოვრა, კომპანიასთან „იძინე მშვიდად" ხელშეკრულებას დებს. ამ უკანასკნელის თანახმად, მანქანის დაზიანების შემთხვევაში (მნიშვნელობა არ აქვს ვისი ბრალით მოხდება აღნიშნული) ზიანს კომპანია ანაზღაურებს. სანაცვლოდ ასლანი ყოველთვიურად უხდის კომპანიას 330 ლარს;
5. თაკოს, რომელსაც სამსახურიდან ერთი თვით მივლინებაში უშვებენ ზუგდიდში, ავტომობილი არ ჰყავს. ამიტომაც, მეგობრის რჩევით, მიდის კომპანიაში „ჩვენი ნივა ყველგან მივა" და შესაბამისი თანხის გადახდის შემდგომ ერთი თვის ვადით პირადი სარგებლობისთვის მანქანა გამოჰყავს;
6. მაიკო და რეზიკო მეგობრები არიან. მაიკოს „ნისანის" ფირმის ავტომობილი ჰყავს, ხოლო რეზიკოს – „მერსედესის." გამომდინარე იქიდან, რომ რეზიკოს ჯიპის ტიპის მანქანა ესაჭიროება, ხოლო მაიკოს – მსუბუქი, გადაწყვეტენ, რომ ერთმანეთის მანქანებით იარონ. მეგობრები შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მივლენ და მანქანებს გადააფორმებენ. ამდენად, მაიკო „მერსედესის" მესაკუთრე ხდება, რეზიკო კი – „ნისანის";
7. ელინა, რომელსაც დიდი ხანია ლეპტოპის ყიდვა სურს, გაიგებს, რომ მისი მეზობელი პაატა ერთი თვის წინ შეძენილ ლეპტოპს ნახევარ ფასში 1500 ლარში ყიდის. ელინას აღნიშნული თანხა არ აქვს, მაგრამ ის იმ დღესვე მიდის თავის ნაცნობ გელასთან, რომელიც გარკვეული ყოველთვიური პროცენტის სანაცვლოდ საკუთრებაში გადასცემს 1500 ლარს, 6 თვის შემდეგ პროცენტის თანხასთან ერთად უკან დაბრუნების პირობით;

8. ქეთის, რომელიც ახლახან ჩამოვიდა ინგლისიდან, სადაც 2 წლის განმავლობაში სამაგისტრო პროგრამაზე სწავლობდა, მეზობელმა მის კომპანიაში მუშაობა შესთავაზა. ქეთი შემოთავაზებას დათანახმდა, ხელი მოაწერა კონტრაქტს და მუშაობა დაიწყო;
9. ამერიკის შეერთებულ შტატებში, ქალაქ დალასში მცხოვრები მარიამი კომპანია „ექსპრესს“ შეფუთულ ყუთს გადასცემს. შეთანხმების შესაბამისად, კომპანია 50 ლარის სანაცვლოდ, აღნიშნულ ყუთს მარიამის თბილისში მცხოვრებ დედას - ელენეს გადასცემს;
10. ირენს ერთ კვირაში უნივერსიტეტის ბანკეტი აქვს. მას სურს, რომ წვეულებაზე განსაკუთრებულად გამოიყურებოდეს, ამიტომაც გადაწყვეტს, რომ კაბა შეიკეროს და განსხვავებულ ფორმაში მივიდეს შეკრებაზე. ირენი მეგობრის რჩევით მიდის სამკერვალო ატელიეში „სტილი“ და მიაქვს აბრეშუმის ნაჭერი, უთანხმებს მკერავს კაბის დიზაინს, უხდის მომსახურების თანხას 80 ლარის ოდენობით და იმ პირობით რომ 5 დღეში კაბა მზად იქნება, შინ ბედნიერი ბრუნდება;
11. ერიკს სასაზღვრო მიჯნასთან დაკავშირებით მეზობელი უჩივის. თბილისის საქალაქო სასამართლოდან მას სარჩელი მიუვიდა თანდართულ დოკუმენტებთან ერთად. გამომდინარე იქიდან, რომ ერიკს ამ საქმის არაფერი გაეგება, ის მიდის საადვოკატო ბიუროში „თამარ დვალი პარტნიორებთან ერთად“ და ერთ-ერთ ადვოკატთან აფორმებს ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ეს უკანასკნელი ერიკის სახელით ყველა ინსტანციის სასამართლოში აწარმოებს სასაზღვრო მიჯნასთან დაკავშირებულ საქმეს.

ა. დავალების ხელშეკრულება;

ბ. გაცვლის ხელშეკრულება;

გ. ჩუქების ხელშეკრულება;

დ. თხოვების ხელშეკრულება;

ე. გადაზიდვის ხელშეკრულება;

ვ. დაზღვევის ხელშეკრულება;

ზ. ნარდობის ხელშეკრულება;

თ. სასოფლო-სამეურნეო მიწის იჯარა;

ი. შრომის ხელშეკრულება;

კ. სესხის ხელშეკრულება;

ლ. ქირავნობის ხელშეკრულება;

მ. ნასყიდობის ხელშეკრულება.

სამოქალაქო სამართლის ბუნება

სავარჯიშოს მიზანი: რეალურ ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ხშირად გამოყენებადი ხელშეკრულების მაგალითზე სამოქალაქო სამართლის დისპოზიციური ხასიათის გამოკვეთა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილის შესახებ მსჯელობისას.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევა. თქვენ რომ მოსამართლე იყოთ, როგორ გადაწყვეტდით დავას? პასუხი დაასაბუთეთ.

ქამრანმა და მარიამმა ქირავნობის ხელშეკრულება გააფორმეს მარტივი წერილობითი ფორმით. ქამრანმა, როგორც გამქირავებელმა, მარიამს, როგორც დამქირავებელს 3 წლის ვადით სარგებლობაში გადასცა კუთვნილი ბინა. ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის თავზე აღნიშნულ ბინაში იატაკი დაზიანდა და ცენტრალური გათბობის სისტემა გამოვიდა მწყობრიდან. მარიამმა მიმდინარე რემონტის ჩატარება და შესაბამისი ხარჯის გაწევა ქამრანს მოსთხოვა. ქამრანს თავისი ნაცნობებისგან გაგონილი აქვს, რომ ქირავნობის ხელშეკრულების დროს მიმდინარე რემონტის ჩატარება დამქირავებელს ევალება, ხოლო კაპიტალური რემონტის ჩატარება - გამქირავებელს. აქედან გამომდინარე, ის უარს ეუბნება მარიამს ამ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თავის მხრივ, მარიამს სარჩელი შეაქვს თბილისის საქალაქო სასამართლოში და გამქირავებლისგან ამ ხარჯების ანაზღაურებას ითხოვს, მოთხოვნის საფუძვლად კი მათ შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულების მე-9 პუნქტი მოჰყავს: „ბინის მიმდინარე და კაპიტალური რემონტის, ასევე, არსებითი მნიშვნელობის დაზიანებების (გარდა წვრილმანი სახის დაზიანებებისა) აღმოფხვრის ხარჯები ეკისრება გამქირავებელს.“ მარიამის სარჩელის პასუხად ქამრანი აცხადებს, რომ მას ხელშეკრულება გულდასმით არ წაუკითხავს, წინააღმდეგ შემთხვევაში მსგავსი ტიპის დანაწესს ის ხელს არ მოაწერდა, ამიტომაც თვლის, რომ ის მოატყუეს და ხელშეკრულების, როგორც მოტყუებით დადებული გარიგების გაუქმებას ითხოვს.

გარიგების ბათილობა

სავარჯიშოს მიზანი: გარიგების ბათილობის საფუძვლების პრაქტიკული მაგალითების გამოყენებით გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, ზოგადი ნაწილის, კერძოდ, გარიგებების შესახებ მსჯელობისას. სავარჯიშოს დასრულებისა და შეფასების ეტაპზე ძლიერ კლასში სასურველია საცილოდ და უცილოდ ბათილ გარიგებებზეც გარკვეული აქცენტების გაკეთება.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ გვაქვს თუ არა სახეზე გარიგების ბათილობის წინაპირობები, პასუხი დაასაბუთეთ.

1. 21 წლის ლელა სულით ავადმყოფია. მას კანონიერი წარმომადგენლები ფულს არ აძლევენ. ლელა თვლის, რომ თუკი თავის ტელეფონს, რომლის საბაზრო ღირებულებაც 300 ლარია, 50 ლარად გაყიდის, 50 ლარიანი კუპიურას ქსეროქსის აპარატის გამოყენებით გადაამრავლებს და ამ ფულით იტალიაში წავა სამოგზაუროდ. ამ მიზნით ლელა ზეპირი ფორმით დებს ნასყიდობის ხელშეკრულებას გიორგისთან და 50 ლარიანი კუპიურით ქსეროქსის აპარატისკენ მიემართება. მნიშვნელოვანია, რომ ლელა სასამართლოს მიერ შეზღუდულ ქმედუნარიანად ან ქმედუუნაროდ ცნობილი არ არის;
2. სერგიმ ნინისგან შეიტყო, რომ ლევანი პარკეტის დაგების საქმეში თბილისის მასშტაბით საუკეთესო სპეციალისტია. მისი დაგებული პარკეტი წლების განმავლობაში ძლებს და არ ზიანდება. აქედან გამომდინარე ლევანზე, როგორც საუკეთესო ხელოსანზე, ქალაქში დიდი მოთხოვნაა და მისი მომსახურება მსურველებს საკმაოდ ძვირიც უჯდებათ. სერგი ნინის მიცემულ მისამართზე, ელიავას ბაზრობაზე, ერთ-ერთ მაღაზიაში მიდის და პარკეტის ხელოსან ლევანს კითხულობს. ლევანი, რომელიც, საბედნიეროდ, იმ მომენტისთვის მაღაზიაში აღმოჩნდა პირობებზე უთანხმდება სერგის. ისინი ზეპირი ფორმით დებენ გარიგებას, სერგი გასამრჯელოს პირველ ნაწილს 600 ლარის ოდენობით ლევანს იმ დღესვე უტოვებს. მოგვიანებით ირკვევა, რომ აღნიშნულ მაღაზიაში ორი ლევანი მუშაობს, ის ხელოსანი კი, რომელსაც სერგი შეუთანხმდა, სულაც არ არის ნინის ნაქები ლევანი;
3. 13 წლის ერიკს ყოველდღიურად მშობლები 2 ლარს აძლევენ. ბიჭს ძალიან უნდა ველოსიპედის ყიდვა, ამიტომაც ის მშობლების მიერ მიცემულ თანხას აგროვებს. გარკვეული პერიოდის შემდეგ ერიკი 150 ლარს უყრის თავს და ინტერნეტ საიტზე წინასწარ შეთვალიერებულ ველოსიპედს ყიდულობს;

4. 8 წლის გიორგის მეზობელი ეკა 100 ლარს ჩუქნის, გიორგის დედა ქეთი კი ეკაზე გაბრაზებულია და არ სურს, რომ მის შვილს ეკამ ფული აჩუქოს, ამიტომაც იგი ბიჭს საჩუქრის მიღებას უკრძალავს.

საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპები

სავარჯიშოს მიზანი: საოჯახო სამართლის ძირითადი პრინციპების გააზრება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, კერძოდ, საოჯახო ურთიერთობებზე მსჯელობის დაწყებამდე. სავარჯიშო საოჯახო სამართლის უმნიშვნელოვანეს პრინციპებზეა აგებული, ამიტომ უმჯობესი იქნება თუ ჯერ მას მიაწვდით მოსწავლეებს, მისცემთ მათ საკუთარი აზრის დაფიქსირების საშუალებას და შემდგომ (სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე) ახსნით თეორიულად საოჯახო სამართლის უმთავრეს დებულებებს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ სწორია თუ მცდარი თითოეული მათგანი, მცდარი წინადადებები გაასწორეთ.

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საოჯახო სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრინციპს პოლიგამიის პრინციპი წარმოადგენს;
2. ცოლის ორსულობისა და ბავშვის დაბადებიდან 7 წლის განმავლობაში, სანამ ბავშვი მცირეწლოვნად ითვლება ქმარს არ შეუძლია განქორწინების მოთხოვნა მეუღლის თანხმობის გარეშე;
3. მშობლის უფლების ჩამორთმევა დაუშვებელია;
4. მეუღლეთა თანაცხოვრების პერიოდში ნებისმიერი გზით მიღებული ქონება მეუღლეთა თანასაკუთრებად ითვლება;
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად ქორწინება ეს არის 2 პირის ნებაყოფლობითი კავშირი ოჯახის შექმნის მიზნით;
6. ალიმენტის გადახდა შეიძლება დაეკისროს როგორც დედას, ისე მამას;
7. ჯვრისწერის მოწმობის არსებობის შემთხვევაში ქორწინების ფაქტის დასადასტურებლად ქორწინების მოწმობის არსებობა სავალდებულო აღარ არის;
8. სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად დაქორწინებისთვის 2 აუცილებელი პირობაა დადგენილი: საქორწინო ასაკი და დასაქორწინებელ პირთა თანხმობა;
9. კანონი კრძალავს სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ცნობილ პირთან ქორწინებას;
10. მეუღლეებს სამოქალაქო კოდექსი ერთმანეთის რჩენის ვალდებულებას აკისრებს;
11. ალიმენტის გადახდის ვალდებულება ეკისრებათ როგორც მშობლებს შვილების მიმართ, ისე შვილებს მშობლების მიმართ;
12. განქორწინებულ მეუღლეებს ხელახლა ერთმანეთთან ოჯახის შექმნა 2 ჯერზე მეტად ეკრძალებათ;
13. მეუღლეებს უფლება აქვთ სანოტარო წესით დადასტურებული წერილობითი საქორწინო ხელშეკრულება დადონ, რომლითაც განსაზღვრავენ თავიანთ უფლება-მოვალეობებს, მათ შორის, მეუღლეთა ურთიერთრჩენის მოვალეობასა და მშობლების უფლება-მოვალეობებს შვილების მიმართ.

ინტელექტუალური საკუთრების სამართალი

სავარჯიშოს მიზანი: საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესწავლა, იმ ობიექტების გაანალიზება, რომელზედაც ვრცელდება საავტორო უფლებები.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის გაკვეთილზე. მოსწავლეთა დონის მიხედვით სავარჯიშოს მიწოდება შესაძლებელია თეორიული მასალის მიწოდებამდეც და მის შემდგომაც.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ჩამონათვალი და განსაზღვრეთ, რომელზე ვრცელდება საავტორო უფლება.

1. ფულის ნიშნები; 2. გრაფიკული ნაწარმოები; 3. კომპიუტერული პროგრამა; 4. კონსტიტუცია; 5. მეთოდი; 6. საგაზეთო სტატია; 7. მუსიკალური ნაწარმოები უტექსტოდ; 8. საქართველოს გერბი; 9. ანეკდოტი; 10. ავეჯი და ნოხი; 11.სასამართლოს გადაწყვეტილება; 12. პანტომიმის ნაწარმოები; 13. ფონოგრამა და ვიდეოგრამა; 14. საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ კანონი; 15. წიგნის თარგმანი; 16. მათემატიკური ფორმულა; 17. ლექსიკონი; 18. ენციკლოპედია; 19. წიგნის თარგმანი; 20. არქიტექტურული პროექტი.

პირადი არაქონებრივი უფლებები სამოქალაქო სამართალში

სავარჯიშოს მიზანი: სამოქალაქო სამართლის ფარგლებში პირადი არაქონებრივი უფლებების გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, ზოგადი ნაწილის, კერძოდ, პირადი არაქონებრივი უფლებების შესახებ მსჯელობისას. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე სასურველია აქცენტი გაკეთდეს იურიდიული პირის, გარდაცვლილი პირის უფლებრივ მდგომარეობაზე ამ მხრივ.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და უპასუხეთ იქვე მოცემულ კითხვებს, პასუხი დაასაბუთეთ.

1. ირაკლი გიორგაძე ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრია, ის საზოგადოებისთვის ცნობილი სახეა. ერთ მშვენიერ დღეს საუზმის მირთმევისას ირაკლიმ, ტრადიციისამებრ იმ დღის გაზეთებს გადახედა. მის გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც საგაზეთო სტატიას წააწყდა სათაურით: „ირაკლი გიორგაძე – ნაძირალა და ქვეყნის მოღალატე“. სტატიის ავტორი ირაკლის მთელ რიგ დანაშაულებში სდებდა ბრალს, რომლის შესახებაც ამ უკანასკნელს გაგონილიც კი არ ჰქონდა. ჟურნალისტი უცნობ წყაროზე დაყრდნობით წერს სტატიას. გაზეთის გაყიდვების ტირაჟმა ყველანაირი რეკორდი მოხსნა და სტატია თითქმის ყველამ წაიკითხა. ირაკლი ძალიან გაბრაზებულია, ის დარწმუნებულია თავის სიმართლეში და უნდა თავნება ჟურნალისტს ჭკუა ასწავლოს, ამასთანავე, საზოგადოების წინაშე საკუთარი თავის რეაბილიტაციის მოხდენა სურს.

როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა ჟურნალისტს მსგავსი ტიპის სტატიის გამოქვეყნების უფლება? შეელახა თუ არა რაიმე უფლება ირაკლის? დადებითი პასუხის შემთხვევაში, განსაზღვრეთ დაცვის რა საშუალებები აქვს ასეთ დროს პირს.

2. ელინა პეტროსიანი ცნობილი მსახიობია. მისი ინტერვიუებითა და ფოტოსურათებით ჟურნალ-გაზეთები ხშირად არის აჭრელებული. ერთხელაც ელინა ჟურნალ „ვარსკვლავში“ თავის უცნობ ფოტოსურათს აღმოაჩენს, რომელიც მისი ნებართვის გარეშეა გადაღებული ისე, რომ მას ფოტოგადაღება არ შეუმჩნევია. ელინას მიაჩნია, რომ დარღვეულია მისი უფლებები. მას ჟურნალის სრული ტირაჟის ამოღება და რედაქციისგან ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა უნდა.

როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა ჟურნალის რედაქციას მსახიობის ნებართვის გარეშე მისი ფოტოს გამოქვეყნების უფლება? უარყოფითი პასუხის შემთხვევაში რისი უფლება აქვს ელინას?

3. ტელეკომპანია „თბილისის“ ერთ-ერთმა კორესპოდენტმა კვირის გადაცემისთვის საადვოკატო კომპანიების შესახებ სიუჟეტი მოამზადა. ჟურნალისტმა მიმოიხილა რა საქართველოში მოქმედი საადვოკატო ბიუროების საქმიანობა, შეეხო ჩუბინიძის საადვოკატო ბიუროს მუშაობასაც. ჟურნალისტის თქმით, აღნიშნული ბიუროს ადვოკატები პროკურატურასთან გარიგებულები არიან და ამგვარად იგებენ საქმეებს. ჩუბინიძის საადვოკატო ბიუროს, გადაცემის ეთერში გასვლიდან მეორე დღესვე, საგრძნობლად შეუმცირდა იურიდიული მომსახურების მსურველი კლიენტების აქტივობა. კომპანიის დირექტორი, რომელიც დარწმუნებულია, რომ გავრცელებული ინფორმაცია სრული სიცრუეა, ძალიან გაბრაზებულია ტელეკომპანია „თბილისზე“.

როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა ტელეკომპანიას მსგავსი ტიპის სიუჟეტის ეთერში გაშვების უფლება? შეელახა თუ არა რაიმე უფლება საადვოკატი ბიუროს? დადებითი პასუხის შემთხვევაში განსაზღვრეთ დაცვის რა საშუალებები აქვს ასეთ დროს პირს.

4. ლევანი ერთ-ერთ საგაზეთო სტატიაში თავისი გარდაცვლილი ბაბუის შესახებ კითხულობს, რომ ეს უკანასკნელი, როგორც სამამულო ომის მონაწილე პირი, ერთ-ერთ სამხედრო ოპერაციაში იღებდა მონაწილეობას. სტატიის ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლევანის ბაბუა ერთადერთი პირი იყო ვინც ცოცხალი გადაურჩა ამ ოპერაციას. ჟურნალისტი საეჭვოდ მიიჩნევს მის უვნებლად გადარჩენის ფაქტს და ირიბად, ბაბუის მხრიდან საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით, თანამებრძოლებისადმი ღალატზე მიანიშნებს. ყოველივე აღნიშნულს ლევანი აღშფოთებით ხვდება. მას მიაჩნია, რომ ბაბუამისის სახელს ჩირქი მოეცხო, ამიტომაც სარჩელი შეაქვს სასამართლოში და მორალური ზიანისათვის ქონებრივ ანაზღაურებას ითხოვს.

როგორ ფიქრობთ, ჰქონდა თუ არა გაზეთის რედაქციას მსგავსი ტიპის სტატიის დაბეჭდვის უფლება? აქვს თუ არა რაიმე უფლება პირს გარდაცვალების შემდეგ და რა ფორმით შეიძლება მოითხოვონ მისი დაცვის უზრუნველყოფა შესაბამისმა პირებმა?

კერძო სამართლის სუბიექტები და ობიექტები

სავარჯიშოს მიზანი: კერძო სამართლებრივი ურთიერთობების გამოკვეთა, კერძო სამართლის სუბიექტისა და ობიექტის ტიპების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, ზოგადი ნაწილის შესახებ მსჯელობისას. უმჯობესი იქნება თუ სავარჯიშოს კერძო სამართლის სუბიექტებისა და ობიექტების შესახებ თეორიული მასალის ახსნის შემდგომ მიაწვდით მოსწავლეებს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები, განსაზღვრეთ რომელში გვაქვს კერძო სამართლებრივი ურთიერთობა. ასეთ შემთხვევაში გახაზეთ ურთიერთობის სუბიექტი და ობიექტი. იმსჯელეთ რა სახის სუბიექტთან და ობიექტთან გვაქვს საქმე.

1. საგარეო საქმეთა სამინისტრომ შენობის დასუფთავების უზრუნველსაყოფად შპს „სანიტარისგან“ 100 ცალი ცოცხი და 50 ცალი ურნა შეიძინა;
2. სააქციო საზოგადოება „პლანეტის“ აქციონერმა საკუთარი აქცია, რომლითაც დივიდენდის მიღების უფლება იყო გარანტირებული, შპს „კოსმოსს“ მიჰყიდა;
3. ილიამ დემეტრესგან ვალის მოთხოვნის უფლება ირენს გადასცა;
4. ამელმა ანისგან ერთი თვის ვადით ავტომანქანა „მერსედესი“ ითხოვა;
5. ლევანმა კუთვნილ მიწის ნაკვეთზე იჯარის ხელშეკრულება გააფორმა გივისთან;
6. სერგიმ დაბადების დღეზე ნაჩუქარი ფულით თავისი დიდი ხნის ოცნება აისრულა და ლაბრადორის ჯიშის ლეკვი იყიდა;
7. თავდაცვის სამინისტრომ ჯარისკაცებისთვის 300 ერთეული ავტომატი შეიძინა.

ქორწინება

სავარჯიშოს მიზანი: ქორწინების პირობების, დამაბრკოლებელი გარემოებების, ბათილობის საფუძვლების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია საოჯახო სამართალზე მსჯელობის დაწყებამდე. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე აქცენტი უნდა გაკეთდეს ქორწინების პირობებზე, დამაბრკოლებელ გარემოებებზე, ქორწინების ბათილობის შემთხვევაში იმ შედეგებზე, რასაც აღნიშნული იწვევს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: თქვენ ქორწინების რეგისტრაციაზე უფლებამოსილი პირი ხართ. რამდენიმე წყვილმა მოგმართათ დაქორწინების მოთხოვნით. წაიკითხეთ წყვილების ფაქტობრივი მდგომარეობა და განსაზღვრეთ დასაშვებია თუ არა მათ შორის ქორწინება სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად.

1. მაია და გიორგი - გიორგი ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეა. მაიას, მართალია, არ უყვარს ის, მაგრამ იმდენად უნდა თავადაც შტატების მოქალაქე გახდეს, რომ თანახმაა თითქმის უცნობ მამაკაცთან ოჯახი შექმნას;
2. ლევანი და იულია - ლევანი შიზოფრენიითაა დაავადებული, თუმცა ის მკურნალობს და მუდმივად წამლების ზემოქმედების ქვეშაა ჩვეულებრივ, ადამიანები ასეთ დროს ვერაფერს ამჩნევენ ლევანს. იულიამ იცის ლევანის ავადმყოფობის შესახებ და თანახმაა მასთან ოჯახი შექმნას;
3. ნინო და სერგი - სერგი 5 წლის წინ ქორწინებაში იმყოფებოდა ლელასთან. ამ მომენტისთვის ის კვლავ ჯვარდაწერილია ლელაზე;
4. სოფიო და მიხეილი - ქორწინების რეგისტრაციისთვის მხოლოდ სოფიოა მისული. მიხეილს, რომელმაც ფეხი მოიტეხა, მეგობარი დავითი წარმოადგენს. დავითი მიხეილის ნდობით აღჭურვილი პირია, მას წერილობითი ფორმით შესრულებული მინდობილობაც აქვს წარმოდგენილი;
5. გვანცა და დემეტრე - გვანცა სულით ავადმყოფია, თუმცა დემეტრემ ეს იცის და მაინც სურს მასთან ოჯახის შექმნა;
6. გურამი და მაცაცო - გურამი ანიზეა დანიშნული, თუმცა ანი არ უყვარს და მაცაცოზე სურს დაქორწინება;
7. ელინა და თორნიკე - თორნიკე შიდსითაა დაავადებული, რის შესახებაც ელინამ არაფერი იცის;
8. პაატა და ნინი - პაატა სასჯელს იხდის განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელაღსრულების დაწესებულებაში იმყოფება;
9. ელენე და ბექა - ელენე დღემდე დათოსთან იმყოფება ქორწინებაში, თუმცა ეს უკანასკნელი 3 წელია არ გამოჩენილა, ის უგზო-უკვლოდ არის დაკარგული;
10. მაკა და ერიკი - რეზოს მამა მაკას დის ნათლიაა;
11. ირაკლი და ეკატერინე - ირაკლის პირველი მეუღლე გარდაცვლილია, მაგრამ მასთან ირაკლი განქორწინებული არ არის.

საკუთრება, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალება

სავარჯიშოს მიზანი: საკუთრების, როგორც მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალების კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გააზრება. ამასთანავე, გირავნობის და იპოთეკის სახეების, მათი წარმოშობის სპეციფიკის შესწავლა, ლომბარდთან დაკავშირებული რეგულაციის გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, საკუთრების შესახებ მსჯელობისას. სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე, მნიშვნელოვანია, მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებისა და მათი წარმოშობის სპეციფიკის თეორიული მიმოხილვა.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ გვაქვს თუ არა სახეზე საკუთრების მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად გამოყენების შემთხვევები. დადებითი პასუხის შემთხვევაში განსაზღვრეთ სწორად არის თუ არა ისინი გამოყენებული და მოთხოვნის უზრუნველყოფის რომელ კონკრეტულ საშუალებასთან გვაქვს საქმე?

1. მარიამი, რომელსაც სასწრაფოდ ესაჭიროება 500 ლარი, მის კუთვნილ ოქროს ბეჭედს ალომბარდებს ერთ-ერთ ლომბარდში და მის სანაცვლოდ სწორედ რომ 500 ლარს იღებს.

2. ანაბელი და თამუნა მეზობლები არიან. ანაბელი იგებს, რომ მისთვის სანატრელ ციფრულ აპარატზე ელექტროტექნიკის მაღაზიამ ფასდაკლება დაადგინა. აპარატის შესაძენად მან თამუნასგან ისესხა 1000 ლარი. ამასთანავე, თამუნასთან არის ანაბელის კუთვნილი ბოშის ფირმის სამზარეულოს კომბაინი. მეზობლები ზეპირსიტყვიერად შეთანხმდნენ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ერთი თვის შემდეგ ანაბელი აღნიშნულ თანხას არ დააბრუნებდა, კომბაინი თამუნას საკუთრებაში გადავიდოდა.
3. ელენემ და გიორგიმ სესხის ხელშეკრულება გააფორმეს 10 000 ლარზე. ისინი შეთანხმდნენ, რომ თუ გიორგი ამ თანხას დადგენილ ვადაში არ დააბრუნებდა, ელენე მისი კუთვნილი მერსედესის ფირმის ავტომობილის რეალიზაციით დაიკმაყოფილებდა მოთხოვნას. აღნიშნულის შესახებ ისინი წერილობითი ფორმით შეთანხმდნენ და ხელიც მოაწერეს. ელენემ დოკუმენტი საგულდაგულოდ შეინახა სეიფში.
4. რაული ბიზნესის წამოწყებას გეგმავს. მას კარგად მოფიქრებული ბიზნესგეგმა აქვს თავისი ხარჯთაღრიცხვით. ამიტომაც რაული თამამად მიდის ერთ-ერთ ბანკში და სესხს იღებს 40 000 ლარის ოდენობით. გამომდინარე იქიდან, რომ დიდ თანხაზე იყო საუბარი, ბანკმა რაულს კუთვნილი ბინის ჩადება მოსთხოვა. ამდენად, რაულმა ხელი მოაწერა ბანკთან სესხის ხელშეკრულებას, რომელშიც სესხის დაბრუნების გარანტად სწორედ მისი კუთვნილი ბინა ჩადო.
5. თორნიკემ თავისი კუთვნილი „ფოლცვაგენის“ მარკის ავტომანქანა თავის მეგობარს ირაკლის ათხოვა. ამ უკანასკნელმა სანაცვლოდ თავისი „ოპელის“ მარკის ავტომანქანა დროებით სარგებლობაში მეგობარს გადასცა.
6. გვანცა თავდებად დაუდგა ლალას, რომ ეს უკანასკნელი დროულად დაუბრუნებდა მაკას ნასესხებ 300 ლარს.

ანაბარი და კრედიტი

სავარჯიშოს მიზანი: ანაბრისა და კრედიტის, მათი სახეების გამიჯვნა და გაანალიზება იმ ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით, რომლებიც მოსწავლეებს ყოველდღიურად ესმით.

ინსტრუქცია მ**ასწავლებლისათვის:** სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევთ, რომ მოსწავლეებმა საბანკო სამართლის ისეთი ელემენტარული საკითხები იცოდნენ, როგორიცაა ანაბარი და კრედიტი. შესაძლოა, სავარჯიშო გაკეთდეს სესხის ხელშეკრულებაზე მსჯელობისას. ამასთანავე, სავარჯიშოს შეფასების ეტაპზე ზოგადად მიმოიხილეთ ვადიანი ანაბარი, მოთხოვნამდე ანაბარი, სასყიდლიანი და უსასყიდლო კრედიტი.

ინსტრუქცია მ**ოსწავლისათვის:** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და განსაზღვრეთ რა საბანკო სამართლებრივი ურთიერთობა გვაქვს სახეზე ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში.

1. ამელმა ბიძისგან 1000 ლარი მიიღო საჩუქრად. მან მეგობრისგან შეიტყო, რომ თუკი ფულს „ჯი-ემ-ჯი“ ბანკში შეიტანდა, აღნიშნულ თანხას ყოველთვიურად 2 % დაერიცხებოდა. ამელი მაინც არ გეგმავს ამ თანხის დახარჯვას, ამიტომაც გადაწყვეტს მეგობრის რჩევას დაუჯეროს და „ფულს ფული მოატანინოს“. ამელი აღნიშნულ ბანკში მიდის და ხელშეკრულებას აწერს ხელს, რომლის მიხედვითაც კუთვნილ 1000 ლარს 24 თვის ვადით და ყოველთვიურად ამ თანხის 4%-ის დარიცხვის პირობით საკუთრებაში გადასცემს საბანკო დაწესებულებას;
2. დემეტრემ კუთვნილი 3 ოთახიანი ბინა 50 000 ლარად გაყიდა. მას ამხელა თანხის სახლში შენახვა არ სურს, ამიტომაც ფულის ბანკში შეტანა გადაწყვიტა. ამასთანავე, ის ახალ ბინას ეძებს და არ იცის როდის იპოვნის მისთვის სასურველ ვარიანტს. ამიტომაც მას თანხა „ეი-ბი-სი“ ბანკში იმ პირობით შეაქვს, რომ როცა მას დასჭირდება ამ ფულს უკან გამოიტანს და საჭიროებისამებრ მოიხმარს. ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულებით 50 000 ლარს ყოველთვიურად ამ თანხის 2 % დაერიცხება;

3. არტურს ციფრული ფოტოაპარატის ნიკონ D3200-ს შეძენა სურს. აპარატი ელექტროტექნიკის მაღაზია „კოსმოსში“ 1200 ლარი ღირს. არტურს აღნიშნული თანხა სრულად არ მოეპოვება, რის გამოც მაღაზიის კონსულტანტი მაღაზიის შენობაშივე მყოფ ბანკის ოპერატორთან გაუშვებს. „ჯი-ემ-დი“ ბანკის ოპერატორთან გასაუბრების შემდეგ არტური ხელშეკრულებას აწერს ხელს, რომლის მიხედვითაც აღნიშნული 1200 ლარი 6 თვეზე გადაუნაწილდება და ყოველი თვის 3 რიცხვში სახელფასო ბარათიდან (ხელფასს არტური სწორედ ამ ბანკის ანგარიშიდან იღებს) ავტომატურად ჩამოეჭრება. არტურმა ფოტოაპარატი გახარებულმა წაიღო შინ, მას 1200 ლარზე მეტის გადახდა არ უწევს და რაც მთავარია, ამ თანხასაც 6 თვის განმავლობაში პერიოდულად გადაიხდის;
4. გიორგი, რომელმაც ტიხრული მინანქრის დამუშავების ტექნოლოგია უცხოეთში შეისწავლა, ამ კუთხით ბიზნესის წამოწყებას გეგმავს. მის მიერ შედგენილი ბიზნესგეგმის მიხედვით საქმის დასაწყებად 15 000 ლარი ესაჭიროება. ამხელა თანხა გიორგის არ მოეპოვება, ამიტომაც ერთ-ერთ საბანკო დაწესებულებაში მიდის და ხელშეკრულებას აფორმებს. ხელშეკრულების მიხედვით, აღნიშნული თანხა და ამ თანხის 12 % გიორგიმ ერთ წელიწადში უნდა დაუბრუნოს უკან ბანკს.

უძრავი ქონების დარეგისტრირება კანონით მემკვიდრეობისას

სავარჯიშოს მიზანი: კანონით მემკვიდრეობის დროს, უძრავი ქონების დარეგისტრირებისათვის აუცილებელი ზოგადი პროცედურის შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს შესრულება რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის გაკვეთილზე, მემკვიდრეობის საკითხების შესწავლის შემდგომ. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ, კიდევ ერთხელ, მოკლედ წარმოადგინეთ ამ კონკრეტული მაგალითის შემთხვევაში ქონების რეგისტრაციის პროცედურა.

50 წლის გიორგის გარდაეცვალა მამა (ფრიდონი). მშობელს ანდერძი არ დაუტოვებია, მას არაჩვეულებრივი ურთიერთობა ჰქონდა შვილთან და შვილიშვილებთან. ამასთანავე, გიორგი გარდაცვლილის ერთადერთი შვილია; ფრიდონს არ ჰყავს ცოცხლად დარჩენილი არც მეუღლე და არც მშობლები. გარდაცვლილის სახელზე ირიცხება 4 ოთახიანი ბინა საბურთალოს ქუჩაზე და 2 სართულიანი კერძო სახლი წყნეთში. გიორგის მამის კუთვნილი უძრავი ქონების თავის სახელზე გაფორმება სურს, მას მოდავე არავინ ჰყავს. მნიშვნელოვანია, რომ 2 წლის წინ გიორგის ბინაში ხანძარი მოხდა, რასაც ოჯახის ყველა დოკუმენტი შეეწირა, მათ შორის, გიორგის დაბადების მოწმობაც.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და მონიშნეთ ის მოქმედებები, რომლებიც გიორგის უძრავი ქონების სარეგისტრაციოდ დასჭირდება.

ა) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად დაგჭირდებათ მამკვიდრებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ბ) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოთ ნოტარიუსს სამკვიდროს ადგილმდებარეობის მიხედვით, კონკრეტულ შემთხვევაში – თბილისში, საბურთალოს უბანში ან წყნეთში მდებარე სანოტარო ბიუროს;

გ) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად დაგჭირდებათ თქვენი დაბადების მოწმობა, საიდანაც უნდა დგინდებოდეს, რომ თქვენ ფრიდონის შვილი ხართ. მოწმობის ასაღებად უნდა მიმართოთ თბილისის საქალაქო სასამართლოს, რომელიც უდავო წარმოების წესით მოგცემთ განმეორებით დაბადების მოწმობას;

დ) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოთ ნოტარიუსთა პალატას;

ე) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად დაგჭირდებათ თქვენი შვილების (მამკვიდრებლის შვილიშვილების), როგორც პოტენციური მემკვიდრეების წერილობითი უარი სამკვიდროს მიღებაზე;

ვ) სამკვიდრო მოწმობა და სხვა შეგროვებული დოკუმენტაცია უძრავი ნივთების სარეგისტრაციოდ საბოლოოდ უნდა მიიტანოთ მარეგისტრირებელ ორგანოში - იუსტიციის სამინისტროში;

ზ) უძრავი ქონების დასარეგისტრირებლად სამკვიდრო მოწმობასთან ერთად დაგჭირდებათ თქვენი პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი, საკადასტრო აზომვითი ნახაზი და მისი ელექტრონული ვერსია, თუ ქონება ტექნიკური აღრიცხვის არქივშია აღრიცხული, ასევე, დაგჭირდებათ ამ არქივიდან გაცემული ცნობა-დახასიათება;

თ) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად უნდა მიმართოთ ნოტარიუსს. ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს ტერიტორიულად რომელ სანოტარო ბიუროში მიბრძანდებით;

ი) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად დაგჭირდებათ თქვენი დაბადების მოწმობა, საიდანაც უნდა დგინდებოდეს, რომ თქვენ ფრიდონის შვილი ხართ. მოწმობის ასაღებად უნდა მიმართოთ იუსტიციის სახლს, რომელიც მე-5 სამუშაო დღეს მოგცემთ განმეორებით დაბადების მოწმობას;

კ) სამკვიდრო მოწმობის მისაღებად დაგჭირდებათ მამკვიდრებლის გარდაცვალების მოწმობა;

ლ) სამკვიდრო მოწმობა და სხვა შეგროვებული დოკუმენტაცია უძრავი ნივთების დასარეგისტრირებლად საბოლოოდ უნდა მიიტანოთ მარეგისტრირებელ ორგანოში - იუსტიციის სახლში.

კაზუსი – აურზაური სამეზობლოში

სავარჯიშოს მიზანი: მრავალბინიან სახლებში არასაცხოვრებელ (დამხმარე) და საერთო ფართებთან დაკავშირებული უფლებებისა და ვალდებულებების შესწავლა, ამ ფართების საკუთრებაში ქონის მოქმედი სამართლებრივი რეჟიმის გაანალიზება; ასევე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის როლისა და ფუნქციების, მისი სტატუსის და მის მიერ მიღებული გადაწყვეტილების არსისა და დანიშნულების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს გაკეთება რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის, კერძოდ, სამეზობლო სამართლის ახსნისას. კაზუსის განხილვისა და მასზე მსჯელობისას, აუცილებელია, მასწავლებელმა მოსწავლეს მისცეს სწორი მიმართულება. კაზუსის შეჯამების ეტაპზე კი უნდა მოხდეს მასში დასმული საკითხების გადაწყვეტის სამართლებრივი გზების ერთობლივი შეჯამება. სწორედ ამაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული შეკითხვების დასმა. მათზე პასუხების მიღებით კი მოხდება კონკრეტულ სადავო სიტუაციებში კანონით გათვალისწინებული გამოსავლის გამოკვეთა.

რა სამართლებრივი რეგულაცია არსებობს მრავალბინიან სახლებში არასაცხოვრებელ, დამხმარე სათავსოებსა და ფართებთან დაკავშირებით? ვრცელდება თუ არა უძრავ ნივთებზე საკუთრების დადასტურების მოქმედი სამართლებრივი რეჟიმი?

რა ხასიათს ატარებს მეზობელთა ზემოთ აღწერილი თავყრილობა და შეუძლია თუ არა მას გადაწყვეტილების მიღება?

როგორ უნდა გადაწყდეს დავა ორ მეზობელს შორის ერთსა და იმავე სარდაფზე?

სწორია თუ არა მაცხოვრებელთა პრეტენზია ირაკლის ახალნაყიდ ბინასთან და მეორე სარდაფთან მიმართებით?

ვის აკისრია სახლის სახურავის შეკეთების სახსრები? რა რეჟიმი ვრცელდება იმ ფართებთან მიმართებით, რომლებიც მაცხოვრებელთა ინდივიდუალურ საკუთრებას (ბინებს) ცდება?

რა მოწესრიგებას ითვალისწინებს ქართული კანონმდებლობა ავტოფარეხებთან დაკავშირებით? აქვს თუ არა მამუკას ხელშეშლის აღკვეთის მოთხოვნის უფლება (იგულისხმება ავტოფარეხის წინ მეორე მეზობლის მიერ დაყენებული ავტომანქანის საკითხი)?

27 წლის ირაკლი დაბადებიდან ქავთარაძის ქუჩაზე 4 ოთახიან ბინაში მშობლებთან ერთად ცხოვრობს. თუმცა ბინა მისი მამის, არჩილის საკუთრებაა. ირაკლი წარმატებული ეკონომისტია და შემოსავალიც სოლიდური აქვს. გამომდინარე იქიდან, რომ მომავალში ის ცალკე ცხოვრებას აპირებს და თანაც საცხოვრებელ ადგილს შეჩვეულია, გადაწყვეტს, იმავე სადარბაზოში მეზობლის 2 ოთახიანი ბინა იყიდოს, რომელიც ბოლო სართულზე მდებარეობს.ირაკლი აღნიშნულის შესახებ ბინის მესაკუთრეს მოელაპარაკება, გააფორმებს მასთან ნასყიდობის ხელშეკრულებას და ერთ კვირაში კანონით დადგენილი წესით დაარეგისტრირებს ბინას საჯარო რეესტრში.

ერთ მშვენიერ დღეს ირაკლის და არჩილს მეზობლები შეკრებაზე დაუძახებენ, სადაც არასაცხოვრებელი ფართების, კერძოდ, სარდაფებისა და ავტოფარეხების მფლობელობა-სარგებლობისა და სახლის საერთო მდგომარეობის საკითხები უნდა განიხილონ. მეზობელთა შეკრებაზე აღმოჩნდა, რომ ერსა და იმავე სარდაფზე 2 მეზობელი აცხადებს პრეტენზიას. ორივეს მიაჩნია, რომ სარდაფი მათი საკუთრებაა. ამასთანავე, სამეზობლოში კონკრეტულ სარდაფებზე საკუთრების დამადასტურებელი ამონაწერები არ არსებობს და მაცხოვრებლებს ფართები მხოლოდ პირდაპირ მფლობელობასა და სარგებლობაში აქვთ. მნიშვნელოვანია, რომ ირაკლის ახალ ნაყიდ ბინას, ასევე, სარდაფი ეკუთვნის, მაგრამ მეზობლები წინააღმდეგნი არიან ერთ ოჯახს ორი სარდაფი ჰქონდეს. ამავე კრებაზე ირაკლიმ მოითხოვა სახლის სახურავის შეკეთების საკითხის განხილვა, რადგანაც მის ახალნაყიდ ბინაში სახურავის გაუმართაობის გამო, წვიმიან ამინდში, წყალი ჩამოდის. მეზობლებს კი მიაჩნიათ, რომ სახურავს ირაკლიმ საკუთარი სახსრებით უნდა მიხედოს, რადგანაც ბოლო სართულის მაცხოვრებელია და ეს მისი ინდივიდუალური პრობლემაა. სახლის ერთ-ერთ მაცხოვრებელ მამუკას კი კუთვნილი ავტოფარეხით სარგებლობისას ექმნება პრობლემა. კერძოდ, სახლის მეორე მაცხოვრებელი - გიორგი მუდმივად მამუკას ავტოფარეხის წინ აყენებს თავის ავტომობილს, რითაც ხელს უშლის მამუკას თავისუფლად ისარგებლოს კუთვნილი ფართით. ამ უკანასკნელმა დააყენა რა აღნიშნული საკითხი შეკრებაზე, გიორგიმ შემხვედრი პრეტენზიით მიმართა კრების მონაწილეებს და მიუთითა, რომ ავტოფარეხი მამუკას საკუთრება არ იყო, რადგანაც ამის დამადასტურებელი არანაირი საბუთი მას არ მოეპოვებოდა, შესაბამისად, მოთხოვნის დაყენების უფლებაც არ ჰქონდა.

მეზობელთა შეკრება გვიან ღამემდე გაგრძელდა და მიუხედავად აყალმაყალისა და შეხლა-შემოხლისა, ვერცერთ ზემოთ დაყენებულ საკითხზე კონსენსუსი ვერ იქნა მიღწეული.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: გაანალიზეთ თითოეული მეზობლის მოთხოვნა, იმსჯელეთ არსებული პრობლემების კანონისმიერი გზით მოგვარების შესაძლებლობებზე და დაალაგეთ სამეზობლოში არეული სიტუაცია.

კეთილსინდისიერი შემძენი

სავარჯიშოს მიზანი: კონკრეტული ცხოვრებისეული ისტორიის მაგალითზე სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერი შემძენის ინსტიტუტის გააზრება. შესაძლებელია სავარჯიშოს შეჯამების შემდგომ ეტაპზე სამოქალაქო სამართალში კეთილსინდისიერების ზოგადი პრინციპის არსსა და მნიშვნელობაზეც გაკეთდეს აქცენტი.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილზე მსჯელობისას, თუმცა, სასურველია, კეთილსინდისიერ შემძენთან დაკავშირებული რეგულაციის ახსნასთან ერთად კიდევ ერთხელ აქცენტი გაკეთდეს ნივთების სახეებზეც და მათზე საკუთრების წარმოშობის სპეციფიკაზე.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ისტორია და გადაწყვიტეთ როიალის ბედი.

ელინა დედის გარდაცვალების შემდეგ საცხოვრებლად მამასთან გადავიდა, ხოლო კუთვნილი ბინა ახალგაზრდა ცოლ - ქმარზე 2 წლის ვადით გააქირავა. ელინამ ბინაში ანტიკვარული როიალი - ბლუტნერი, მე-19 საუკუნის ავეჯი და უამრავი წვრილმანი ნივთი დატოვა. გამქირავებლისა და დამქირავებლის შეთანხმებით, აღნიშნული ნივთები ერთ-ერთ ოთახში უნდა განთავსებულიყო და შეფუთულიყო. წელიწადნახევრის შემდეგ, ზაფხულის ერთ დღეს ბინაზე მისულ ელინას არავინ ხვდება. მოგვიანებით ირკვევა, რომ დამქირავებლებმა მთელი მოძრავი ნივთები ბინიდან გაიტანეს და გაყიდეს, თავად კი მიიმალნენ. შესაბამისი უწყების ჩარევისა და გამოძიების შემდეგ მიაგნეს ანტიკვარულ როიალს, რომელიც ოპერის მომღერალს ბატონ გაბრიელს დიდი მოწიწებით უდგას საკუთარი ბინის დიდ ოთახში. გაირკვა, რომ გაბრიელს ნივთი ე.წ. საკომისიო მაღაზიაში უნახავს გასაყიდად გამოტანილი და სწორედ რომ ბლუტნერის ფირმის გერმანული როიალი იყო მისი ოცნება. მომღერალმა აღნიშნული როიალის შესაძენად ავტომანქანა მერსედესი გაყიდა. საკომისიო მაღაზიის მენეჯერის თქმით, როიალი ახალგაზრდა მამაკაცმა და ქალმა მოიტანა, როგორც კუთვნილი ნივთი, მაღაზიის ადმინისტრაციამ ანტიკვარულ ნივთში 7000 ამერიკული დოლარი გადაუხადა მესაკუთრეებს და ნივთი შეიძინა, შემდეგ კი 8000 ამერიკულ დოლარად ბატონ გაბრიელს მიჰყიდა.

ელინას ამ როიალთან დაკავშირებით განსაკუთრებული დამოკიდებულება აქვს, ნივთი მის ოჯახს თაობებია ეკუთვნოდა. მას მიაჩნია, რომ როიალი მისი საკუთრებაა და გაბრიელმა ის უნდა დააბრუნოს. მეორე მხრივ, გაბრიელისთვისაც ინსტრუმენტი ახდენილი ოცნებაა, რომელშიც სოლიდური თანხა აქვს გადახდილი. მას მიაჩნია, რომ როიალი ყველა წესის დაცვით აქვს ნაყიდი და ნივთი მასთან უნდა დარჩეს.

საავტორო უფლებები

სავარჯიშოს მიზანი: საავტორო უფლებების შესწავლა კონკრეტული მაგალითების გამოყენებით.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართალზე მსჯელობისას, კერძოდ, საავტორო უფლებების განხილვისას. სავარჯიშოს შეჯამების ეტაპზე მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ გაანალიზებულ იქნეს ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული შემთხვევები და იმსჯელეთ იქვე დასმულ შეკითხვებზე.

1. დემეტრე პანტომიმის თეატრში სამხატვრო ხელმძღვანელის თანაშემწეა. ხელმძღვანელის მივლინებაში ყოფნის დროს, მან ახალი წარმოდგენა დადგა, რომლის პრემიერაც 5 აგვისტოს დანიშნა. დათქმულ თარიღზე ორი დღით ადრე პანტომიმისა და დრამის სხვა თეატრმა ახალი დადგმა წარმოადგინა, რომელიც თითქმის იდენტურად იმეორებდა დემეტრეს სცენებს. მოგვიანებით გაირკვა, რომ სამუშაო რეპეტიციებს უცნობი პიროვნება ესწრებოდა. როგორ ფიქრობთ, დაერღვა თუ არა დემეტრეს რაიმე უფლება, დადებითი პასუხის შემთხვევაში როგორ უნდა დაიცვას თავი?

2. ერიკი, რომელიც ბავშვობიდან წერს ლექსებს, შეყვარებულია. მას სამი დღე-ღამე არ უძინია და თავის სატრფოს სასიყვარულო 20 ლექსი მიუძღვნა. ერიკმა ოცივე ლექსი ერთ რვეულში ჩაწერა და საწერი მაგიდის უჯრაში შეინახა. სამსახურებრივი მივლინებიდან

ერთი თვის შემდეგ დაბრუნებული ერიკი იგებს, რომ მისმა მეზობელმა საკუთარი ავტორობით გამოაქვეყნა ლექსების კრებული „20 ლექსი სიყვარულზე“. აღმოჩნდა, რომ მეზობელს რვეული საწერი მაგიდიდან ამოუღია და გამოუქვეყნებია. აღშფოთებული ერიკი ადვოკატ ზვიადთან მივიდა. ზვიადმა ერიკს განუმარტა, რომ აზრი არ ჰქონდა დავას, რადგანაც საავტორო უფლებით, მხოლოდ იმ შემთხვევაში ისარგებლებდა ის, თუ რაიმე ფორმით მოახდენდა ლექსების საზოგადოებისთვის გაცნობას. იმსჯელეთ, რამდენად სწორი კონსულტაცია მისცა ადვოკატმა ერიკს.

3.თორნიკე ცნობილი ფილოლოგია. მას განათლება ინგლისში, ესექსის უნივერსიტეტში აქვს მიღებული. ინგლისში 15-წლიანი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შემდგომ ის საქართველოში ჩამოდის. მიუხედავად თორნიკეს დაკავებული გრაფიკისა და ნაკლები ფინანსური დაინტერესებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაინც ახერხებს მის მიწვევას ლექციათა ციკლზე “მე-19 საუკუნის ინგლისური და ფრანგული მხატვრული ლიტერატურის შედარებითი ანალიზი”. თორნიკე ლექციებს 2 კვირის განმავლობაში უნივერსიტეტის ყველაზე დიდ აუდიტორიაში კითხულობდა, მის ყველა ლექციას უამრავი ხალხი ესწრებოდა. ინგლისში დაბრუნებული თორნიკე იგებს, რომ თბილისში ჩატარებული ლექციებიდან 2 ლექცია სრული მოცულობით გამოაქვეყნა ჟურნალმა „ახალგაზრდები და ლიტერატურა“. ლექტორი აღშფოთებულია, მას მიაჩნია, რომ მოხდა მისი საავტორო უფლებების უხეში დარღვევა, ვინაიდან მისთვის არავის არაფერი უკითხავს. შესაბამისად, მისი ნებართვის გარეშე გამოაქვეყნეს მისი ინტელექტუალურ-შემოქმედებითი მუშაობის შედეგი - წაკითხული ლექციები. როგორ ფიქრობთ, სწორია თუ არა თორნიკეს აღშფოთება, მოხდა თუ არა ქართული კანონმდებლობით გათვალისწინებული თორნიკეს რომელიმე უფლების შელახვა, დადებითი პასუხის შემთხვევაში განმარტეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს ის?

4. დავითი სახვითი ხელოვნების შესახებ სახელმძღვანელოს ავტორია. მან აღნიშნული სახელმძღვანელო სულ ახლახან გამოსცა, რაც ხელოვნების ფაკულტეტის სტუდენტებისთვის აუცილებელი იყო. სახელმძღვანელო მაღალპროფესიულ დონეზეა შესრულებული, მისი დიზაინიც საკმაოდ დახვეწილი და ძვირად ღირებულია, ამიტომაც წიგნის გასაყიდ ფასად 40 ლარი იქნა დადგენილი. სტუდენტებს აღნიშნული სახელმძღვანელო სავალდებულო სასწავლო ლიტერატურაში აქვთ მითითებული, თუმცა მათი უმრავლესობა ამ თანხას ვერ იხდის. წიგნების მაღაზიის ერთ-ერთმა გამყიდველმა, მარიკამ, შეაფასა რა სიტუაცია, შეეცოდა სტუდენტები და სახელმძღვანელოს ქსეროასლების (სრული მოცულობით) დამზადება დაიწყო. მარიკას მიაჩნია, რომ ის კანონს არ არღვევს, რადგანაც ასლებს სასწავლო-საგანმანათლებლო მიზნით და ზუსტად იმავე ფასში ყიდის, რაც მისი დამზადებისთვისაა საჭირო. აღნიშნულის შესახებ ახალგაზრდებში ხმა მალევე გავრცელდა. მარიკა დღის განმავლობაში 10 ქსეროასლს ყიდის, თითოს - 5 ლარად. დავითის ძვირფასი სახელმძღვანელო კი მაღაზიის თაროზე დარჩა. როგორ ფიქრობთ, აქვს თუ არა რომელიმე საავტორო უფლების დარღვევას ადგილი? დადებითი პასუხის შემთხვევაში,განმარტეთ, თუ როგორ უნდა მოიქცეს დავითი?

5. ლევანი და ქამრანი მეგობრები არიან. ისინი 16 წლისანი არიან და განსაკუთრებული ინტერესი აქვთ კომპიუტერული პროგრამების მიმართ. ლევანი იგებს, რომ მაიკროსოფტმა ახალი სისტემური პროგრამა ვინდოუს 9 გამოუშვა, რომელიც ერთ-ერთი საიტიდან ჩამოწერა და თავის კუთვნილ პერსონალურ კომპიუტერზე დააინსტალირა. ბიჭები ქამრანის ძმისგან იგებენ, რომ მათ მიერ განხორციელებული ქმედება პროგრამის შემქმნელის უფლებებს არღვევს. ისინი გაკვირვებულები არიან, რადგანაც მთელი მათი სამეგობრო და სანაცნობო ნებისმიერ სასურველ პროგრამას ამ გზით მოიპოვებს და იყენებს ისე, რომ არავინ ფიქრობს მათი მხრიდან რაიმე დარღვევის შესახებ. როგორ ფიქრობთ, არღვევენ თუ არა ბიჭები და მათი მეგობრები ვინმეს უფლებას? დადებითი პასუხის შემთხვევაში, რომელ კონკრეტულ უფლებას და როგორ უნდა მოხდეს მათი დაცვა?

საავტორო უფლებები

სავარჯიშოს მიზანი: ნაწარმოების ავტორისთვის კანონით მინიჭებული უფლებების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართალზე მსჯელობისას, კერძოდ, საავტორო უფლებების განხილვისას. სავარჯიშოს დასრულების შემდეგ სასურველია აქცენტი გაკეთდეს ავტორის პირად არაქონებრივ და ქონებრივ უფლებებზე და მომიჯნავე უფლებებისგან მის გამიჯვნაზე.

ინსტრუქცია მ**ოსწავლისათვის:** წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული წინადადებები და განსაზღვრეთ, რომელი დებულებაა სწორი და რომელი - მცდარი.

1. ნებისმიერ პირს, რომელიც შექმნის მეცნიერების, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოებს, აქვს უფლება მოითხოვოს საკუთარი სახელის მითითება ნაწარმოების ყველა ეგზემპლარზე;
2. ავტორს უფლება აქვს საჯაროდ მოითხოვოს თავისი ნაწარმოების გამოყენების შეწყვეტა;
3. საავტორო უფლებები შეიძლება გადაეცეს მხოლოდ ფიზიკურ პირს;
4. ავტორს უფლება აქვს ნება დართოს ან არ დართოს სხვებს შეიტანონ ცვლილებები ნაწარმოებში ან მის სათაურში;
5. ავტორს შეუძლია ნებისმიერ პირზე გაასხვისოს ავტორის ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები;
6. ავტორს უფლება აქვს დაიცვას თავისი ნაწარმოები ყოველგვარი დამახინჯებისგან, რამაც შესაძლოა შელახოს მისი, როგორც ავტორის პატივი, ღირსება, საქმიანი რეპუტაცია;
7. საავტორო უფლებების დაცვის ობიექტია საეთერო მაუწყებლობის გადაცემებიც;
8. ავტორს უფლება აქვს საკუთარ ნაწარმოებზე მხოლოდ ფსევდონიმის მითითებით შემოიფარგლოს;
9. ავტორს უფლება აქვს აკრძალოს ნაწარმოების რეპროდუცირება ნებისმიერი მიზნებისთვის;
10. საავტორო უფლებების მემკვიდრეობით გადაცემა დაუშვებელია;
11. საავტორო უფლების ნებისმიერ მფლობელს უფლება აქვს აკრძალოს ნაწარმოების საჯარო ჩვენება ნებისმიერი ფორმით;
12. ავტორი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი ფიზიკური პირი;
13. საავტორო უფლებები ნაწარმოებზე წარმოიშობა მისი საქპატენტში რეგისტრაციის მომენტიდან;

სასაქონლო ნიშანი

სავარჯიშოს მიზანი: სასაქონლო ნიშნის გამოყენებასთან დაკავშირებული სამართლებრივი რეგულაციის გაანალიზება.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის გაკვეთილზე, სასაქონლო ნიშანზე მსჯელობისას. გამომდინარე იქიდან, რომ მსგავსი ტიპის საკითხების გააზრება ბევრად უფრო შედეგიანია საწყის ეტაპზევე პრობლემის გამოკვეთით, სასურველია, რომ ჯერ სავარჯიშო მივაწოდოთ მოსწავლეებს და მისი დამუშავების შემდეგ წარმოადგინოთ მასთან დაკავშირებული თეორიული მასალა.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ისტორია და იმსჯელეთ იქვე დასმულ შეკითხვებზე.

ლევანი პროფესიონალი მეფუტკრეა. ის წლებია, რაც ამ საქმითაა დაკავებული და საკმაოდ დიდ მეურნეობას უძღვება. ერთხელაც ლევანმა გაიგო, რომ მსოფლიოში ფუტკრის ისეთი დაავადება ვრცელდება, რომელიც თაფლზე მოთხოვნას გაზრდის. აქედან გამომდინარე, ის საკუთარი წარმოების გაფართოებასა და თაფლის ექსპორტზე გატანასაც კი გადაწყვეტს. ლევანი დიზაინერებთან ერთად პროდუქციის სასაქონლო ნიშანს ქმნის და წარმოებაში უშვებს. საქმიანობა ამართლებს და ორი წლის შემდეგ ლევანის კომპანია საკმაოდ ცნობილ და პოპულარულ თაფლის მწარმოებლად ყალიბდება და თავის ადგილს იმკვიდრებს ქართულ (და არა მხოლოდ) ბაზარზე.

ერთ მშვენიერ დღეს ლევანი იმერეთში მიემგზავრება. სამტრედიის ერთ-ერთ მარკეტ-ში შესული თაროზე შემოდებულ თაფლის ქილას ხედავს, რომელსაც ეტიკეტზე იგივე სასაქონლო ნიშანი აქვს გამოსახული, რაც ლევანის პროდუქციას. ეტიკეტიდან, ასევე, ირკვევა, რომ თაფლის მწარმოებელია საწარმო „მკურნალი ფუტკარი“, რომელიც დაარსებულია და ფუნქციონირებს იმერეთში. ნანახით აღშფოთებული ლევანი თბილისში ბრუნდება და იურისტთან მიდის კონსულტაციისათვის. ირკვევა, რომ ლევანს სასაქონ-ლო ნიშანი დარეგისტრირებული არ ჰქონია. რაც შეეხება „მკურნალ ფუტკარს“, მას 3 დღით ადრე საქპატენტში შეტანილი აქვს განაცხადი სწორედ ამ ნიშნის დარეგისტრირე-ბის მოთხოვნით.

ლევანმა მოსვენება დაკარგა, ფიქრობს, რომ სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციის გარეშე გამოყენების გამო შესაძლოა დაჯარიმდეს კიდეც. ამასთანავე, მისი საქმიანობისთვის ხსენებული სასაქონლო ნიშანი სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, რადგანაც პროდუქციის ხარისხი სწორედ რომ ამ ნიშანთან ასოცირდება.

გაანალიზეთ მოცემული სიტუაცია. როგორ ფიქრობთ, დაუშვა თუ არა რაიმე შეცდომა ლევანმა და სად? დაურეგისტრირებს თუ არა საქპატენტი „მკურნალ ფუტკარს“ ხსენ-ებულ სასაქონლო ნიშანს? ვის დარჩება აღნიშნული ნიშანი? ამ ისტორიის ფონზე ჩამოაყ-ალიბეთ რა სამართლებრივი რეგულაცია არსებობს მსგავს შემთხვევებში სასაქონლო ნიშანთან მიმართებით.

პატენტის გაცემა

სავარჯიშოს მიზანი: ცხოვრებისეული მაგალითების გამოყენებით გა-მოგონებისა და სასარგებლო მოდელისთვის წაყენებული პატენტუნარიანობის კრიტერიუმების შესწავლა.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენ-დებულია ინტელექტუალური საკუთრების სამართლის გაკვეთილზე, გა-მოგონებასა და სასარგებლო მოდელზე, პატენტუნარიანობის კრიტერიუმებზე მსჯელობისას. სასურველია, ჯერ მოკლე თეორიული მიმოხილვა გააკეთოთ პატენტუნარიანობის კრიტერიუმებზე, შემდეგ შესთავაზოთ მოსწავლეებს სავარჯიშო და უკვე მისი დასრულების შემდეგ დეტალურად განიხილოთ ის შემთხვევები, როდესაც კანონი პატენტის გაცემას გამორიცხავს.

ინსტრუქცია მოსწავლისათვის: წარმოიდგინეთ, რომ თქვენ ხართ პატენტის გაცემაზე უფლებამოსილი ორგანო. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული გარემოებები და განსაზღვრეთ გასცემდით თუ არა პატენტს თითოეული მოცემულობის გათვალისწინებით. განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილებისა და მასზე უარის თქმის შემთხვევაშიც პასუხი დაასაბუთეთ.

1. იულია ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტია. მას მიაჩნია, რომ ახალი მათემატი-კური მეთოდი გამოიგონა. მან განაცხადით მოგმართათ და აღნიშნულ მეთოდზე პატენტის გაცემა მოითხოვა;
2. დემეტრე გამოცდილი კინოლოგია და ძაღლის ახალი ჯიშის გამოყვანის ხერხი გა-მოიგონა. მან განაცხადით მოგმართათ და აღნიშნულ ხერხზე პატენტის გაცემა მოითხოვა;

3. არტური პროფესიით არქიტექტორია. მან თბილისის ერთ-ერთი უბნის განაშენიანების პროექტი შექმნა. მას მიაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი სასარგებლო მოდელს წარმოადგენს ქალაქისთვის, ამიტომაც მასზე პატენტის გაცემის მოთხოვნით მოგმართათ;
4. პეტრე ფერმერია. მას ბავშვობიდან უყვარს მანქანა-მოწყობილობების დაშლა და აწყობა. ერთ-ერთი ასეთი საქმიანობის დროს მან ახალი დანადგარი შექმნა, რომელიც ელექტროენერგიის გამოყენების გარეშე დიდი ტერიტორიების მორწყვას უზრუნველყოფს. დადგენილია, რომ მსგავსი ტიპის მოწყობილობა აქამდე არავის გამოუგონია და ფერმერებისთვის აუცილებელი ნივთია. პეტრემ განაცხადით მოგმართათ და მოწყობილობაზე პატენტის გაცემა მოგთხოვათ;
5. ნინო მუცლის ღრუს გამოცდილი ქირურგია. მან ერთ-ერთი ოპერაციის დროს მუცლის ღრუს ორგანოებზე ნაკერის დადების ისეთ ხერხს მიაგნო, რომელიც აქამდე მედიცინისთვის უცნობი იყო და არც ერთ სამედიცინო ლიტერატურაში მასზე არაფერი იყო ნათქვამი. ამასთანავე, ახალი ხერხი პაციენტის გამოჯანმრთელების გასაოცრად კარგ შედეგს იწვევს. ნინოს მიაჩნია, რომ ნახსენები ქირურგიული ხერხი მისი გამოგონილია და ამიტომაც მასზე პატენტის გაცემის მოთხოვნით განაცხადით მოგმართათ;
6. სერგიმ და გიგამ სათამაშო კარტის გამოყენებით ახალი თამაში შექმნეს. თამაში მათ სამეგობროში ძალიან პოპულარულია. მეგობრები მათ ურჩევენ, რომ თამაშის წესები დააპატენტონ. ბიჭებმა განაცხადით მოგმართეს და თამაშზე პატენტის გაცემა მოითხოვეს;
7. ლევანმა საავტომობილო ძრავის გაუმჯობესებული მოდელი შექმნა, მსგავსი კონფიგურაციის ძრავა აქამდე არავისთვის ყოფილა ცნობილი. მას მიაჩნია, რომ გამოგონების ავტორია - ნივთის გამომგონებელი და პატენტის გაცემის მოთხოვნით განაცხადით მოგმართავთ;
8. გელა საინჟინრო კომპანიაში წლებია ინჟინერ-გამომგონებლად მუშაობს. ერთ-ერთი სამსახურებრივი დავალების შესრულებისას, მან ახალი მოწყობილობა გამოიგონა. კომპანიის დირექტორს მიაჩნია, რომ გამოგონება მისმა თანამშრომელმა სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს შექმნა, ამიტომაც ის კომპანიის სახელით მოგმართავთ და გამოგონებასთან დაკავშირებით სწორედ კომპანიისთვის პატენტის მიცემას გთხოვთ.

ფორმა და შინაარსი

სავარჯიშოს მიზანი: სხვადასხვა აქტებისა თუ სამართლებრივი დოკუმენტების ერთმანეთისგან გამიჯვნა მათი შინაარსის შესაბამისად.

ინსტრუქცია მასწავლებლისათვის: სავარჯიშოს კლასში შეტანა რეკომენდებულია სამართლის გაკვეთილების ბოლო ნაწილში, გამომდინარე იქიდან, რომ სავარჯიშო ზოგადი ხასიათისაა და სხვადასხვა დარგის ცოდნას მოითხოვს.

ინსტრუქცია მ**ოსწავლისათვის:** ქვემოთ მოცემული წინადადებები წარმოადგენს ამონარიდებს სხვადასხვა დოკუმენტებიდან. დაკვირვებით წაიკითხეთ ისინი და თითოეულ მათგანს გრაფაში ჩამოთვლილი კონკრეტული დასახელებები მიუსადაგეთ. აუცილებელი არ არის ჩარჩოში მოცემული ყველა დასახელების გამოყენება.

სანოტარო აქტი / განჩინება / ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი / სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი სამოქალაქო სამართლის საქმეზე / ვერდიქტი / განაჩენი სისხლის სამართლის საქმეზე / ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი/ საქორწინო ხელშეკრულება / სასამართლოს გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი / ადმინისტრაციული სამართალდარღვევის

აქტი / საოჯახო ხელშეკრულება / პატრულის სამსახურებრივი ანგარიში / სასამართლოს გადაწყვეტილების აღწერილობითი ნაწილი / მოსამართლის ბრძანება საქმის გადადების თაობაზე;

დაკმაყოფილდეს მაისურაძის სარჩელი და დაეკისროს გიორგაძეს მიყენებული ზიანის ანაზღაურება;

ქორწინების განმავლობაში მეუღლეების მიერ შეძენილი ქონება მათ ინდივიდუალურ საკუთრებას წარმოადგენს;

ნიშნის - „გაჩერება აკრძალულია“ მოთხოვნის დაუცველობის გამო დაჯარიმდეს 10 ლარიანი ჯარიმით;

სასამართლომ დამნაშავედ ცნო ბრალდებული სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ ქმედებაში;

დაკმაყოფილდეს ბარამიძის მოთხოვნა და გაიცეს მასზე მშენებლობის ნებართვა;

გაყიდული საქონელი არ იცვლება და უკან არ მიიღება;

დაკმაყოფილდეს დაცვის მხარის შუამდგომლობა და განესაზღვროს დამატებითი ვადა საქმის მასალების შესასწავლად, შესაბამისად, სხდომა გადადებულ იქნეს 15 მარტისთვის;

ასლი დედანთან სწორია;

ნაფიც მსაჯულებს ბრალდებული უდანაშაულოდ მიაჩნიათ;

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

ტესტები და ღია შეკითხვები

ინსტრუქცია მასწავლებლებისათვის: სახელმძღვანელოს ამ ფინალურ ნაწილში მოცემულია მთელი მასალის შემაჯამებელი 103 ტესტი და ღია შეკითხვა. საკითხები დალაგებულია შემდეგი თანმიმდევრობით:

1. **სამართლის ზოგადი საკითხები;**
2. **სისხლის სამართალი და სისხლის სამართლის პროცესი;**
3. **კონსტიტუციური სამართალი;**
4. **განათლების სამართალი;**
5. **ადმინისტრაციული სამართალი;**
6. **სამოქალაქო სამართალი –** ზოგადი ნაწილი; სანივთო სამართალი; სამეზობლო სამართალი; გარიგებები; სახელშეკრულებო სამართალი; უსაფუძვლო გამდიდრება და დელიქტური სამართალი; ინტელექტუალური საკუთრების სამართალი; საოჯახო სამართალი; სამემკვიდრეო სამართალი; სამოქალაქო საპროცესო სამართალი; შრომის სამართალი; მეწარმე და არასამეწარმეო იურიდიული პირები.
7. **საგადასახადო სამართალი.**

მოცემული ტესტები და შეკითხვები შეგიძლიათ გამოიყენოთ ნაწილ-ნაწილ, პერიოდულად, ამ თუ იმ თავისა თუ დარგის შესწავლის შემდეგ საკონტროლო, საგამოცდო (ამიტომ შეკითხვები თემატურადაა დალაგებული) ან მთლიანი მასალის შემდეგ ერთიანი გამოცდის მოსაწყობად.

1. **ჩამოთვალეთ სამართლისა და მორალის რამდენიმე საერთო და განმასხვავებელი ნიშანი:**

---

2. **მონიშნეთ სწორი თეზები – სამართლის წყაროებია:**

ა. კანონი; ბ. სასამართლოს გადაწყვეტილება კონკრეტულ საქმეზე (პრეცედენტი); გ. ჩვეულება; დ. საერთაშორისო შეთანხმება და ხელშეკრულება; ე. სამეცნიერო იურიდიული ლიტერატურა.

3. **ჩამოთვალეთ სამართლისთვის დამახასიათებელი 5 ნიშანი:**

---

4. **იმსჯელეთ სამართლისა და სამართლიანობის ცნებების შესახებ, მოკლედ ჩამოაყალიბეთ მათ შორის განსხვავება:**

---

5. **შემოხაზეთ წინადადებები, რომლებშიც სწორი მსჯელობაა განვითარებული:**
   - ა) სამართლებრივი ურთიერთობა, რომელშიც სახელმწიფოა სუბიექტი (ერთ-ერთი მხარე), უპირობოდ საჯარო სამართლებრივი ბუნებისაა;
   - ბ) სახელმწიფო ერთ-ერთი საჯარო სამართლის იურიდიული პირია;
   - გ) გამომდინარე იქიდან, რომ ხელშეკრულება სამოქალაქო სამართლებრივი ინსტიტუტია, ის ყოველთვის კერძო სამართლებრივი ხასიათისაა და შესაბამისი ნორმებით რეგულირდება;
   - დ) საჯარო სამართლებრივი ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე ყოველთვის სახელმწიფოა;

ე) საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა მხარეთა უფლება-მოვალეობების მხრივ ვერტიკალური ხასიათისაა, მაშინ როცა კერძო სამართლებრივი ურთიერთობა – ჰორიზონტალური;

ვ) დამსაქმებლისა და დასაქმებულის არათანაბარი უფლებრივი მდგომარეობის გამო შრომის სამართალი საჯარო სამართლის დარგს მიეკუთვნება;

6. შემთხვევას, როდესაც კანონის ორი ან მეტი ნორმა სხვადასხვანაირად არეგულირებს ურთიერთობას, ეწოდება:

ა. ნორმათა ანალოგია; ბ. ნორმის უკუძალა; გ. ნორმათა კოლიზია; დ. კაზუსური ნორმები; ე. ნორმათა კონკურენცია.

7. განმარტეთ რას ნიშნავს კანონისა და სამართლის ანალოგია, სამართლის რომელი დარგებისთვისაა შესაძლებელი მისი გამოყენება? ისეთი დარგის არსებობის შემთხვევაში, სადაც ამ ინსტიტუტის გამოყენება აკრძალულია, ჩამოაყალიბეთ აღნიშნულის მიზეზი.

8. ჩამოთვალეთ ქურდობა, ყაჩაღობა, ძარცვის საერთო და განმასხვავებელი ნიშნები:

საერთო:

განმასხვავებელი:

9. ჩამოთვალეთ ქმედების შემადგენლობის კომპონენტები სისხლის სამართალში:

10. სისხლის სამართალში საპროცესო შეთანხმება შეიძლება დაიდოს:

ა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს ბრალდებას და მხოლოდ საქმის გამოძიების ეტაპზე; ბ. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს ბრალდებას ან არ აღიარებს ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება სასჯელს მხოლოდ სასამართლო არსებითი განხილვის დაწყებამდე; გ. იმ შემთხვევაში, თუ ბრალდებული აღიარებს ბრალდებას ან არ აღიარებს ბრალდებას, მაგრამ ეთანხმება სასჯელს როგორც გამოძიების ეტაპზე, ისე საქმის სასამართლოში განხილვისას; დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

11. როგორ ფიქრობთ, რატომ კრძალავს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ნაფიც მსაჯულად იურისტის, ფსიქოლოგისა და ფსიქიატრის მოწვევას?

12. ჩამოაყალიბეთ სისხლის სამართლის კოდექსით დადგენილი დანაშაულის კატეგორიები:

---

13. ნიკას გადაწყვეტილი ჰქონდა თავისი მეზობელი გიორგისთვის თავი გაეტეხა. ის ერთი კვირა გამუდმებით ამაზე ფიქრობდა. ერთ საღამოსაც ბეისბოლის ჯოხით შეიარაღებული სადარბაზოს კარების უკან დაიმალა და გიორგის მოსვლას დაელოდა. გიორგი მალევე გამოჩნდა, თუმცა ნიკას გაახსენდა, რომ ამ დროს საინფორმაციო გამოშვება კურიერი იწყებოდა, სადაც მისი მეგობრის საფეხბურთო წარმატებების შესახებ უნდა ესაუბრათ, ამიტომაც ნიკა ისე გაატარა სადარბაზოში, რომ ხმაც არ ამოუღია და თავადაც სახლში ავიდა ტელევიზორის საყურებლად. სახეზე გვაქვს:

ა. დანაშაულის მომზადება; ბ. დანაშაულის მცდელობა; გ. დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღება; დ. განგრძობადი დანაშაული; ე. დენადი დანაშაული; ვ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

14. ჩამოთვალეთ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სასჯელის სახეები:

---

15. ჩამოაყალიბეთ ის გარემოებები, რომლებსაც სასჯელის დანიშვნის დროს მოსამართლე, როგორც წესი, ითვალისწინებს:

---

16. რა განსხვავებაა ამინისტიასა და შეწყალებას შორის?

---

17. ჩამოაყალიბეთ როგორ გამოიყურება საპროცესო კანონმდებლობის სრული დაცვით განხორციელებული ჩხრეკა და ამოღება:

---

18. ჩამოთვლილთაგან რომელია (რომლებია) აღკვეთის ღონისძიება (ღონისძიებანი)?

ა. თავისუფლების შეზღუდვა; ბ. პატიმრობა; გ. თავისუფლების ვადიანი აღკვეთა; დ. გირაო; ე. თავისუფლების უვადო აღკვეთა; ვ. ჯარიმა; ზ. გამასწორებული სამუშაო; თ. ქონების ჩამორთმევა.

19. ნაფიც მსაჯულთა მიერ მიღებული გადაწყვეტილება (ვერდიქტი):

ა. საჩივრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამამტყუნებელია; ბ. საჩივრდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის გამამართლებელია; გ. საერთოდ არ საჩივრდება; დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

20. საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით საქართველოს მოქმედი პარლამენტი არის:

ა. ერთპალატიანი ორგანო და შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისგან;

ბ. ორპალატიანი, კერძოდ, აღმასრულებელი საბჭოსა და სენატისგან შემდგარი ორგანო. ორივე პალატაში მოქმედების წევრების არჩევის პროპორციული სისტემა;

გ. ერთპალატიანი ორგანო და შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 130 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 75 წევრისგან;

დ. ორპალატიანი ორგანო (რესპუბლიკის საბჭო და სენატი) და შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 წევრისგან.

21. მოკლედ ჩამოაყალიბეთ რას ნიშნავს პარლამენტის წევრების არჩევა პროპორციული და მაჟორიტარული წესით.

22. საქართველოს კონსტიტუციის შესაბამისად:

ა. აკრძალულია ორმაგი მოქალაქეობა;

ბ. ორმაგი მოქალაქეობა დასაშვებია საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას მოსახლეობის სულ მცირე 65 პროცენტი ითხოვს, რაც დასტურდება ხელმოწერებით;

გ. ორმაგი მოქალაქეობა დასაშვებია კონსტიტუციით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში, კერძოდ, როდესაც პრეზიდენტის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან მისთვის მოქალაქეობის მინიჭება საქართველოს ინტერესებიდან გამომდინარეობს;

დ. ორმაგი მოქალაქეობა დასაშვებია საგამონაკლისო შემთხვევებში, როდესაც პრემიერ- მინისტრის მიერ საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება მიენიჭოს უცხო ქვეყნის მოქალაქეს, რომელსაც საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურება აქვს ან მისთვის მოქალაქეობის მინიჭებას მოსახლეობის სულ მცირე 65 პროცენტი ითხოვს, რაც დასტურდება ხელმოწერებით;

23. ჩამოთვალეთ ადამიანის მატერიალური და საპროცესო უფლებები:

24. რა უფლებები აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოქალაქეს არამოქალაქისგან განსხვავებით და რა განაპირობებს აღნიშნულ სხვაობას?

25. კონსტიტუციის შეცვლა:

ა. დასაშვებია მხოლოდ წელიწადში სამჯერ; ბ. ნებისმიერ დროს შესაბამისი კანონით; გ. მხოლოდ ორგანული კანონის მეშვეობით; დ. დაუშვებელია, გარდა გარდამავალი დებულებებისა; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

26. ჩამოაყალიბეთ უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები:

---

27. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელია (ებია) შეზღუდული უფლება (ები)?

ა. წამების აკრძალვა; ბ. სიცოცხლის უფლება; გ. მანიფესტაციის გამართვის უფლება; დ. საკუთრების უფლება; ე. განათლების უფლება; ვ. ინფორმაციის თავისუფლად მიღებისა და გავრცელების უფლება; ზ. მონობის აკრძალვა.

28. საქართველოს კონსტიტუციის თანახმად სავალდებულოა:

ა. მხოლოდ დაწყებითი განათლება; ბ. მხოლოდ საბაზო განათლება; გ. დაწყებითი და საბაზო განათლება; დ. დაწყებითი, საბაზო და პროფესიული განათლება; ე.დაწყებითი და უმაღლესი განათლება.

29. რა განსხვავებაა ავტორიზაციასა და აკრედიტაციას შორის?

---

30. საჯარო სკოლის სტრუქტურა, როგორც წესი, აერთიანებს:

ა. პედაგოგიურ საბჭოს; ბ. დისციპლინურ კომიტეტს; გ. მოსწავლეთა თვითმმართველობას; დ. აღმასრულებელ საბჭოს; ე. დირექტორის მრჩეველთა საბჭოს; ვ. სამეურვეო საბჭოს; ზ. წარჩინებულ მშობელთა კავშირს; თ. დირექციას.

31. ჩამოაყალიბეთ რა დანიშნულება და ფუნქციები აქვს საჯარო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობას:

---

32. მოკლედ ჩამოაყალიბეთ რა განსხვავებაა ნორმატიულ და ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს შორის.

---

33. ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ ადმინისტრაციული ორგანოები:

ა. საჯარო სკოლა; ბ. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; გ. ქალაქ თბილისის მერია; დ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; ე. სააქციო საზოგადოება „ინტეგრაცია“; ვ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლო; ზ. რელიგიური გაერთიანება „მართლმადიდებელი საქართველო“; თ. საქართველოს სახალხო დამცველი; ი. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „თელასი“.

34. რას ნიშნავს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელება?

---

35. შემოხაზეთ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის არარა აქტად მიჩნევის საფუძვლები:

ა. როდესაც აქტი გამოცემულია არაუფლებამოსილი ორგანოს მიერ; ბ. როდესაც აქტს აკლია კანონით დადგენილი რომელიმე რეკვიზიტი; გ. როდესაც გაურკვეველია მისი გამომცემი ორგანო; დ. როდესაც გაურკვეველია რას აწესებს, ცვლის ან წყვეტს აღნიშნული აქტი; ე. როდესაც აქტი არასამუშაო, უქმე დღეს არის გამოცემული.

36. ჩამოთვალეთ ადმინისტრაციული ორგანოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმები:

---

37. მოკლედ ჩამოაყალიბეთ ადმინისტრაციული სამართლისათვის დამახასიათებელი კანონიერი ნდობის პრინციპის არსი და დანიშნულება:

---

38. რა და რა სახის ინფორმაციას იცნობს ადმინისტრაციული სამართალი?

---

39. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული თეზები და შემოხაზეთ ის ერთადერთი თეზა, რომელიც სწორია:

ა) ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ პირის ასაკთან;

ბ) ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაკავშირებულია მხოლოდ და მხოლოდ პირის ფსიქიკურ მდგომარეობასთან;

გ) ქმედუნარიანობა შეიძლება შეეზღუდოს სრულწლოვან პირსაც, რომელიც ფსიქიკურად ჯანმრთელია;

დ) არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

40. მოცემული წინადადებებიდან შემოხაზეთ სწორი დებულებები:

ა) 16 წელს მიღწეული პირი, რომელსაც მშობელი ან სხვა კანონიერი წარმომადგენელი, საწარმოს დამოუკიდებლად გაძღოლის უფლებას ანიჭებს, ემანსიპირებულად ითვლება მხოლოდ საწარმოს მართვისა და მისგან გამომდინარე საკითხებთან დაკავშირებულ ურთიერთობებში;

ბ) საქორწინო ასაკს მიუღწეველი პირი შესაბამისი წესით დაქორწინების შემთხვევაში ქმედუნარიანი ხდება, თუმცა მას არჩევნებში მონაწილეობის მიღების უფლება არ აქვს;

გ) კანონიერი წარმომადგენლის მიერ არასრულწლოვანისათვის თავისუფალი განკარგვის მიზნით მიცემული თანხის გამოყენებით ხელშეკრულების

დადებისას ამ კონკრეტულ ურთიერთობაში არასრულწლოვანი უფლებრივად გათანაბრებულია სრულწლოვანთან;

დ) ნებისმიერი საფუძვლით ემანსიპირებულმა პირმა ხელშეკრულების დადებამდე ან მის შემდეგ აღნიშნულის შესახებ წერილობით უნდა შეატყობინოს მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

41. ჩამოაყალიბეთ, რას გულისხმობს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი სიკეთეები, მოიყვანეთ მაგალითები:

42. ჩამოაყალიბეთ, რა მოქმედებებია კანონით გათვალისწინებული ნივთზე იპოთეკის წარმოშობისათვის:

43. ნივთის განკარგვის უფლება აქვთ:

ა. მესაკუთრეს, მფლობელს; ბ. მოსარგებლეს, მესაკუთრეს; გ. მხოლოდ მესაკუთრეს; დ. მხოლოდ მფლობელს; ე. არც ერთი კომბინაცია არ არის სწორი.

44. მოძრავ ნივთებზე საკუთრების შესაძენად აუცილებელია:

ა. მარტივი წერილობითი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესაკუთრის მიერ შემძენისათვის ნივთის ნამდვილი უფლების საფუძველზე პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა;

ბ. სანოტარო ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება, თუმცა ნივთის პირდაპირ მფლობელობაში გადაცემა სავალდებულო არ არის;

გ. ზეპირი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესაკუთრის მიერ შემძენისათვის ნივთის ნამდვილი უფლების საფუძველზე პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა. ამასთანავე, არაპირდაპირ მფლობელობაში ნივთის დატოვების შემთხვევაში აუცილებელია მისი სამოქალაქო რეესტრში რეგისტრაციაში გატარება;

დ. ნებისმიერი ფორმით დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება და მესაკუთრის მიერ შემძენისათვის ნივთის ნამდვილი უფლების საფუძველზე, პირდაპირ ან არაპირდაპირ მფლობელობაში გადაცემა;

45. ერთი და იგივე უძრავი ნივთი შეიძლება:

ა. დაიტვირთოს იპოთეკით რამდენჯერმე; ბ. შეიძლება მხოლოდ ერთხელ დაიტვირთოს გირავნობით; გ. შეიძლება დაიტვირთოს იპოთეკითა და გირავნობით რამდენჯერმე, მათი რიგითობა კი განისაზღვრება იპოთეკისა და გირავნობის რეგისტრაციის შესახებ განცხადების რეგისტრაციის თარიღის მიხედვით; დ. დაიტვირთოს გირავნობით რამდენჯერმე.

46. რას ნიშნავს აბსოლუტური და შეზღუდული უფლებები სამოქალაქო სამართალში? მოიყვანეთ თითოეულის მაგალითი:

---

47. საჯარო რეესტრში რეგისტრირდება:

ა. მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრება; ბ. მხოლოდ უძრავ ნივთებზე საკუთრება და სანივთო სამართლებრივი უფლებები; გ. მხოლოდ საკუთრება უძრავ და მოძრავ ნივთებზე; დ. უძრავ და მოძრავ ნივთებზე კერძო სამართლებრივი უფლებები.

48. საჯარო რეესტრის ჩანაწერი შესაძლოა შეიცვალოს:

ა. საჯარო რეესტრის ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მიერ, თუ მას განაცხადით მიმართავს დაინტერესებული პირი, სადაც დაასაბუთებს ჩანაწერის მცდარობას;

ბ. მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებით, თუ დაინტერესებულმა მხარემ სარჩელი შეიტანა და შესაბამის პროცესზე დაამტკიცა ჩანაწერის მცდარობა;

გ. მხოლოდ და მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე;

დ. საჯარო რეესტრის ჩანაწერის შეცვლა კანონით აკრძალულია, დასაშვებია მხოლოდ ტექნიკური ხარვეზის გამოსწორება.

49. სხვისი საკუთრებით შეზღუდული სარგებლობის ფორმებია:

ა. გირავნობა, იპოთეკა, ბე; ბ. აღნაგობა, სერვიტუტი, უზუფრუქტი; გ. ქირავნობა, იჯარა, თხოვება; დ. ჩუქება, აღნაგობა, ქირავნობა.

50. მონიშნეთ მართებული დებულება – სამოქალაქო კოდექსის თანახმად ნივთებზე საკუთრების დაკარგვის შემდეგი წესი მოქმედებს:

ა. ნებისმიერ ნივთზე საკუთრების მიტოვებისთვის საკმარისია უბრალოდ მისი მფლობელობისა და სარგებლობის მიტოვება;

ბ. მოძრავ ნივთზე საკუთრების მიტოვებისგან განსხვავებით, უძრავ ნივთზე საკუთრების მისატოვებლად, ისევე, როგორც სხვა უფლების მისატოვებლად, აუცილებელია პირის განცხადება უფლების მიტოვების შესახებ და მისი რეგისტრაცია საჯარო რეესტრში;

გ. მოძრავ და უძრავ ნივთებზე საკუთრების მისატოვებლად აუცილებელია ნასყიდობის ხელშეკრულების დადება და ნივთების სხვა პირისათვის საკუთრებაში გადაცემა;

დ. თუ მესაკუთრე 10 წლის განმავლობაში არ გამოჩნდება ბინაში ან სხვა უძრავ ქონებაში, საკუთრება ავტომატურად მიტოვებულად ითვლება.

51. მონიშნეთ სწორი ვარიანტები – გარიგება ბათილია, თუ ის:

ა. მოტყუებით არის დადებული; ბ. შეცდომით არის დადებული; გ. ქუჩაშია დადებული; დ. იძულების გამოყენებითაა დადებული; ე. არასრულწლოვანი პირისთვის უფლება-მოვალეობების წარმოშობისკენაა მიმართული; ვ. ღამის 12 საათის მერეა დადებული; ზ. ქართულ ენაზე არ არის დადებული.

52. ქვემოთ მოცემული დებულებებიდან მონიშნეთ სწორი დებულება (ები):

ა. იმ შემთხვევაში, თუ კანონი ხელშეკრულების დადებისთვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს ან მხარეები შეთანხმდებიან მასზე, აუცილებელია, რომ მხარეებმა პირადად მოაწერონ ხელი. კანონი ამ მხრივ არანაირ გამონაკლისს არ ითვალისწინებს;

ბ. იმ შემთხვევაში, თუ კანონი ხელშეკრულების დადებისათვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს ან მხარეები შეთანხმდებიან მასზე, აუცილებელია, რომ მხარეებმა პირადად მოაწერონ ხელი; თუმცა პირის ფიზიკური ნაკლის გამო შესაძლებელია (კანონით დაშვებულია) ხელმოწერის მინდობა სხვა პირისათვის;

გ. იმ შემთხვევაში, თუ კანონი ხელშეკრულების დადებისათვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს ან მხარეები შეთანხმდებიან მასზე, აუცილებელია, რომ მხარეებმა პირადად მოაწერონ ხელი; თუმცა წერა-კითხვის უცოდინრობის გამო პირს შეუძლია (კანონით დაშვებულია) ხელმოწერის მინდობა სხვა პირისათვის;

დ. იმ შემთხვევაში, თუ კანონი ხელშეკრულების დადებისათვის წერილობით ფორმას ითვალისწინებს ან მხარეები შეთანხმდებიან მასზე, აუცილებელია, რომ მხარეებმა პირადად მოაწერონ ხელი; თუმცა პირს ავადმყოფობის გამო შეუძლია (კანონით დაშვებულია) ხელმოწერის მინდობა სხვა პირისათვის;

53. ქუჩაში დადებულ გარიგებად ითვლება:

ა. ნებისმიერი გარიგება, რომელიც შენობის გარეთ, ქუჩაში ან ეზოშია დადებული; ბ. გარიგება, რომელიც ხელშეკრულების მონაწილე პირის საცხოვრებელი სახლიდან 100 მეტრის დაშორებით, ქუჩაშია დადებული; გ. ნებისმიერი გარიგება, რომელიც დადებულია ისეთ ადგილას, სადაც პირისთვის მოულოდნელი იყო ხელშეკრულების დადების შესახებ შეთავაზება, ამასთანავე, აუცილებელი არ არის ხელშეკრულება ბუკვალურად ქუჩაში იყოს დადებული; დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

54. შემოხაზეთ მართებული დებულებები – სამოქალაქო კოდექსის მიხედვით დაუშვებელია:

ა. წარმომადგენლის მეშვეობით შვილად აყვანის განხორციელება; ბ. წარმომადგენლის მეშვეობით დაქორწინება; გ. ანდერძის შედგენა წარმომადგენლის მეშვეობით; დ. წარმომადგენლის მეშვეობით სასამართლოში მხარედ გამოსვლა; ე. წარმომადგენლის მეშვეობით სესხის ხელშეკრულების გაფორმება, თუკი ხელშეკრულების საგანი 50 000 ლარს სცილდება; ვ. წარმომადგენლის მეშვეობით ნებისმიერ სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობაში შესვლაა შესაძლებელი, ამ მხრივ კანონმდებელი რაიმე შეზღუდვას არ ითვალისწინებს.

55. მონიშნეთ სამეზობლო სამართლის ფუნდამენტური პრინციპები:

ა. მეზობლების ურთიერთპატივისცემის პრინციპი; ბ. ნებისმიერი ზემოქმედების თმენის პრინციპი; გ. მხოლოდ უმნიშვნელო და არაარსებითი ზემოქმედების თმენის პრინციპი; დ. ვერტიკალური ურთიერთდამოკიდებულების პრინციპი; ე. აუცილებელი ეზოს პრინციპი; ვ. მეზობლების ურთიერთდახმარების პრინციპი.

56. ქირავნობა ეს არის:

ა. სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის დროსაც გამქირავებელი დამქირავებელს მფლობელობაში გადასცემს უძრავ ნივთს წინასწარ განსაზღვრული ვადით, სასყიდლით ან უსასყიდლოდ;

ბ. ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამქირავებელი დამქირავებელს გადასცემს სარგებლობაში ნივთს (როგორც უძრავს, ისე მოძრავს) ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისათვის ვარგის მდგომარეობაში განსაზღვრული ვადით, დათქმული ქირის სანაცვლოდ;

გ. სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის დროსაც გამქირავებელი დამქირავებელს დროებით საკუთრებაში გადასცემს ნივთს განსაზღვრული დროის პერიოდით, დათქმული ქირის სანაცვლოდ ან უსასყიდლოდ;

დ. ხელშეკრულება, რომლის ძალითაც გამქირავებელი დამქირავებელს გადასცემს სარგებლობაში უძრავ ნივთს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობისთვის, ვარგის მდგომარეობაში, განსაზღვრული ვადით, დათქმული ქირის სანაცვლოდ.

57. მონიშნეთ სწორი დებულებები სესხის ხელშეკრულებასთან დაკავშირებით:

ა. სესხის ხელშეკრულების დროს გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს სარგებლობის უფლებას ფულზე ან სხვა გვაროვნულ ნივთზე;

ბ. მსესხებელი კისრულობს ვალდებულებას, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გასვლის შემდეგ, დააბრუნოს ზუსტად ის ნივთი, რომელიც ისესხა;

გ. სესხის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ფული;

დ. სესხის ხელშეკრულების დროს გამსესხებელი მსესხებელს გადასცემს საკუთრების უფლებას ფულზე ან სხვა გვაროვნულ ნივთზე;

ე. სესხის ხელშეკრულების ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი დადება წერილობითი ფორმით;

ვ. სესხის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ მსესხებელი მოვალეა გამსესხებელს დაუბრუნოს იმ სახის, ხარისხისა და რაოდენობის ნივთი, რაც ისესხა და არა ზუსტად ნასესხები ნივთი.

58. ირაკლი და ანი ზეპირად შეთანხმდნენ, რომ ირაკლი ანის ხის დეკორატიულ ურემს დაუმზადებდა. რომელი ხელშეკრულების წესები გამოიყენება ასეთ შემთხვევაში?

ა. მომსახურების გაწევის ხელშეკრულება; ბ. ნასყიდობის ხელშეკრულება; გ. ნარდობის ხელშეკრულება; დ. დავალების ხელშეკრულება; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

59. მონიშნეთ მართებული დებულებები ჩუქების ხელშეკრულების დადების შემთხვევაში:

ა. შესაძლებელია მჩუქებელმა დასაჩუქრებულს უკან მოსთხოვოს გადაცემული ნივთი, თუ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ ძალუძს მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. თუ ნივთი უკვე აღარ არსებობს, გვაროვნული ნივთის შემთხვევაში უნდა ჩაანაცვლოს მსგავსი ნივთით, ხოლო ინდივიდუალურად განსაზღვრული ნივთის შემთხვევაში ჩაანაცვლოს შესაბამისი ოდენობის თანხით;

ბ. შესაძლებელია მჩუქებელმა დასაჩუქრებულს უკან მოსთხოვოს გადაცემული ნივთი, თუ მჩუქებელი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა და არ ძალუძს მის კმაყოფაზე მყოფი პირების რჩენა. ამასთანავე, აუცილებელია, რომ ნივთი კვლავაც არსებობდეს და მისი უკან დაბრუნება მძიმე მდგომარეობაში არ აგდებდეს დასაჩუქრებულს;

გ. სანოტარო ფორმით გაფორმებული ჩუქების ხელშეკრულების შემთხვევაში გაჩუქებული ნივთის უკან გამოთხოვა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია;

დ. ნივთის უკან გამოთხოვა ყველა შემთხვევაში დაუშვებელია მიუხედავად ხელშეკრულების ფორმისა.

60. დავითსა და მიხეილს შორის გაფორმდა ქირავნობის ხელშეკრულება, რომელშიც ხელშეკრულების შეუსრულებლობისა და ხელშეკრულებიდან გასვლის შესახებ არაფერია ნათქვამი. დავითმა, რომელიც ამ ურთიერთობაში დამქირავებელია, 5 დღე გადააცილა ქირის გადახდის ვადას. მიხეილს ასეთ პირობებში ხელშეკრულების მიმართ ინტერესი უქრება. ჩამოაყალიბეთ, როგორ უნდა მოიქცეს მიხეილი ამ სიტუაციაში, რა ქმედებები და როგორი თანმიმდევრობით უნდა განახორციელოს, რომ მისი ინტერესები არ დაზარალდეს.

---

61. შემოხაზეთ სწორი დებულებები:

ა. ხელშეკრულება დადებულად ითვლება შეთავაზებულ ოფერტზე აქცეპტის გაკეთებით; ბ. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუკი მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდებიან შესაბამისი ფორმით; გ. ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუკი მხარეები მის სტანდარტულ პირობებზე შეთანხმდებიან შესაბამისი ფორმით; დ. ხელშეკრულება დადებულად ითვლება მხოლოდ და მხოლოდ მისი ნოტარიულად დამოწმების შემდეგ.

62. თუკი ხელშეკრულება ხასიათდება ორმხრივ, ყოველთვის სასყიდლიან, ვადიან, ფორმათავისუფალ ხელშეკრულებად, ე.ი. სახეზე შეიძლება გვქონდეს (შესაძლოა ერთზე მეტი ვარიანტის მონიშვნა):

ა. გაცვლის ხელშეკრულება; ბ. ნასყიდობის ხელშეკრულება; გ. ქირავნობის ხელშეკრულება; დ. ჩუქების ხელშეკრულება; ე. ნარდობის ხელშეკრულება; ვ. დაზღვევის ხელშეკრულება; ზ. იჯარის ხელშეკრულება; თ. სესხის ხელშეკრულება.

63. ქეთიმ ერთ-ერთ ბანკში უმაღლეს სასწავლებელში სწავლის სემესტრული გადასახადი შეიტანა. აღმოჩნდა, რომ მოლარე-ოპერატორს ერთი ციფრი შეეშალა და თანხა სასწავლებლის ანგარიშის მაგივრად კოსმეტიკის მწარმოებელი კომპანიის „ეივონის“ საბანკო ანგარიშზე დასვა. როგორ ფიქრობთ, რა საფუძვლით უნდა მოითხოვოს ქეთიმ თანხის უკან დაბრუნება?

ა. სახეზე გვაქვს შეცდომით დადებული გარიგება, კერძოდ, შეცდომა კონტრაჰენტის პიროვნებაში, რის საფუძველზეც უნდა მოხდეს თანხის უკან დაბრუნება;
ბ. სახეზე გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც შესრულებული მოქმედებისთვის (თანხის კოსმეტიკის მწარმოებელი კომპანიის ანგარიშზე გადარიცხვისთვის) არანაირი სახელშეკრულებო თუ კანონისმიერი საფუძველი არ ყოფილა, მოქმედებამ კი კომპანიის გამდიდრება გამოიწვია;
გ. სახეზე არ გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც თანხა მესამე პირის (მოლარე-ოპერატორის) მიერ იქნა გადარიცხული;
დ. სახეზე არ გვაქვს უსაფუძვლო გამდიდრება, რადგანაც ქეთის მიერ შეტანილი თანხა არ იყო იმ ოდენობის, რომ კომპანიის გამდიდრება გამოეწვია.

64. ერიკმა თავისი ბულდოგის ჯიშის ძაღლი მაღაზიაში შესვლისას მოკლე ჯაჭვზე ქუჩის პირას დააბა. მაღაზიიდან გამოსული ერიკი იგებს, რომ ძაღლთან მისულა და თამაში დაუწყია იქვე მდგომ გიორგის. სამწუხაროდ, ძაღლმა იგი დაკბინა. როგორ ფიქრობთ, ეკისრება თუ არა ერიკს გიორგისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოვალეობა? პასუხი დაასაბუთეთ.

---

65. ანაბელმა უყურადღებობითა და დაუდევრობით საკუთარ ბინაში ხანძარი გააჩინა. ცეცხლის ჩაქრობისას მეხანძრეებმა წყლის დიდი ოდენობა გამოიყენეს, რის შედეგადაც დაზიანდა ქვედა სართულის მეზობლის ბინა და ავეჯი. ვის ეკისრება მეზობლისათვის ზიანის ანაზღაურების მოვალეობა?

ა. მეხანძრეებს, რადგანაც ცეცხლის ჩაქრობა წყლის ნაკლები ოდენობითაც იყო შესაძლებელი; ბ. ასეთ შემთხვევაში მეზობელს ზიანი არ აუნაზღაურდება, რადგანაც აღნიშნული უბედური შემთხვევა იყო და მისი ქონების დაზიანების მიზანი არავის ჰქონია; გ. ანაბელს, რადგანაც ხანძრის გაჩენაში მას მიუძღვის ბრალი; დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

66. ჩამოთვალეთ სამოქალაქო სამართალში ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები:

67. ჩამოთვალეთ პატენტუნარიანობის კრიტერიუმები:

68. ქვემოთ ჩამოთვლილ უფლებებში მოხაზეთ ავტორის პირადი არაქონებრივი უფლებები:

ა. სახელის უფლება; ბ. რეპუტაციის პატივისცემის უფლება; გ. ნაწარმოების რეპროდუცირებაზე ნების დართვის ან აკრძალვის უფლება; დ. ნაწარმოების გამოხმობის უფლება; ე. ნაწარმოების გადამუშავებაზე ნების დართვის ან აკრძალვის უფლება; ვ. უფლება, ნება დართოს სხვა პირებს მის ნაწარმოებზე სხვა ნაწარმოების დართვის შესახებ, მაგ. წინასიტყვაობა ან ბოლოსიტყვაობა.

69. ინტელექტუალური საკუთრების სამართლის მიხედვით ნაწარმოებს მიეკუთვნება:

ა. კომპიუტერული პროგრამა; ბ. ბროშურა; გ. მათემატიკური მეთოდი; დ. ზღაპარი; ე. სამეცნიერო თეორია; ვ. რუკა; ზ. ამინდის პროგნოზი; თ. ლექცია.

70. რა განსხვავებაა გამოგონებასა და სასარგებლო მოდელს შორის?

71. ქვემოთ მოცემული საფუძვლებიდან დააჯგუფეთ ქორწინების ბათილობისა და ქორწინების შეწყვეტის საფუძვლები. ისეთი გარემოება, რომელიც ქორწინების არც ბათილობას იწვევს და არც შეწყვეტას, გადახაზეთ:

ა. ქორწინება ბიოლოგიურ და არაბიოლოგიურ და-ძმას შორის; ბ. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვალება; გ. იძულებითი ქორწინება; დ. განქორწინება; ე. ფიქციური ქორწინება; ვ. ერთ-ერთი მეუღლის გარდაცვლილად გამოცხადება; ზ. საქორწინო ასაკს მიუღწეველი პირების დაქორწინება კანონიერი წარმომადგენლისა თუ სასამართლოსგან შესაბამისი ნებართვის გარეშე; თ. ქორწინება ნათლიასა და ნათლულს შორის.

მოკლედ ჩამოაყალიბეთ რა განსხვავებაა ქორწინების ბათილობასა და შეწყვეტას შორის:

72. შემოხაზეთ სწორი დებულებები – ქართული საოჯახო სამართლის მიხედვით ალიმენტი შეიძლება დაეკისროს:

ა. მხოლოდ მამას არასრულწლოვანი შვილების სასარგებლოდ სრულწლოვანების მიღწევამდე;

ბ. ორივე მშობელს სრულწლოვანი, მაგრამ შრომისუუნარო შვილების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ;

გ. სრულწლოვან შრომისუნარიან შვილებს მშობლების მიმართ ნებისმიერ შემთხვევაში;

დ. დებს და ძმებს, რომლებსაც საკმაო სახსრები აქვთ, თავიანთი არასრულწლოვანი დების ან/და ძმების მიმართ, რომლებიც საჭიროებენ დახმარებას და მშობლებისგან სარჩოს მიღება არ შეუძლიათ;

ე. გერს, რომელსაც საკმაო სახსრები აქვს თავისი შრომისუუნარო მამინაცვლის ან დედინაცვლის მიმართ, თუკი ისინი ადრე ზრდიდნენ ან არჩენდნენ მას და მოცემულ მომენტში დახმარებას საჭიროებენ;

ვ. სრულწლოვან შვილებს შრომისუუნარო და ხანდაზმული მშობლების მიმართ, რომლებიც დახმარებას საჭიროებენ, მიუხედავად იმისა, რომ მათ მშობლის უფლება ადრე ჩამოერთვათ.

73. მაია და ვაჟა 5 წლის წინ დაქორწინდნენ. ცოტა ხნის წინ ვაჟას საკმაოდ შეძლებული მოხუცებული ბიძა გარდაეცვალა, რომელიც ბოლო 2 წლის განმავლობაში ლოგინად იყო ჩავარდნილი და მაია უვლიდა. ბიძამ ვაჟას ანდერძით 5 ოთახიანი ბინა დაუტოვა. რა ტიპის საკუთრებასთან გვაქვს საქმე?

ა. ბინა მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, რადგანაც ვაჟას ის დაქორწინების შემდეგ უანდერძეს;

ბ. ბინა ვაჟას პირად ქონებას წარმოადგენს, რადგანაც ერთ-ერთი მეუღლისათვის ქონების მემკვიდრეობით გადაცემა, თუნდაც ქორწინების განმავლობაში, არ წარმოშობს მეუღლეთა თანასაკუთრებას და ის მისი ინდივიდუალური საკუთრებაა;

გ. ბინა მეუღლეთა თანასაკუთრებას წარმოადგენს, რადგანაც მოანდერძე ვაჟას საერთოდ არ ახსენებდა ანდერძში, მაიას რომ არ მოევლო და ეპატრონა მოხუცისთვის სიცოცხლის ბოლოს;

დ. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

74. შემოხაზეთ ის აუცილებელი პირობები, რასაც შვილად აყვანისთვის კანონი აწესებს:

ა. დასაშვებია მხოლოდ არასრულწლოვნის შვილება, გარდა კანონით გათვალისწინებული გამონაკლისებისა;
ბ. შვილების დროს გადამწყვეტი მნიშვნელობისაა მშვილებლის კეთილდღეობისა და ინტერესების დაცვის უზრუნველყოფა;
გ. მშვილებელი შეიძლება იყოს ნებისმიერი სრულწლოვანი და ქმედუნარიანი პირი;
დ. აუცილებელია, რომ ბავშვი ორმა პირმა იშვილოს, ამასთან, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს ისინი მეუღლეები არიან თუ არა;
ე. დაქორწინებული პირის შვილად აყვანა აკრძალულია;
ვ. 10 წელს მიღწეული ბავშვის შვილად აყვანისას აუცილებელია მისი თანხმობა.

75. განსაზღვრეთ რომელია სწორი და ყველაზე ზუსტი დეფინიცია – ქორწინება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ეს არის:

ა. ფიზიკურ პირთა კავშირი ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის მიზნით, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მოქალაქეთა მდგომარეობის მარეგისტრირებელ ბიუროში;

ბ. ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომლის მიზანიც ოჯახის შექმნაა და რომელიც რეგისტრირებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის სამოქალაქო რეესტრის მონაცემთა ერთიან ბაზაში;

გ. ქალისა და მამაკაცის ნებაყოფლობითი კავშირი, რომლის მიზანიც ოჯახის შექმნაა და რომელიც რეგისტრირებულია კანონით დადგენილი წესით შესაბამის სახელმწიფო დაწესებულებაში ან ჩანაცვლებულია მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჯვრისწერით;

დ. სრულწლოვან პირთა კავშირი ერთად ცხოვრებისა და ოჯახის შექმნის მიზნით, რაზეც მეუღლეებს შორის გაფორმებულია საქორწინო ხელშეკრულება.

76. სამოქალაქო კოდექსის მიხედვით ბავშვის გვარი განისაზღვრება:

ა. მხოლოდ მამის გვარის შესაბამისად; ბ. მხოლოდ დედის გვარის შესაბამისად; გ. მამის ან დედის გვარის შესაბამისად; დ. მხოლოდ მამის და დედის შეერთებული გვარის შესაბამისად.

77. მეუღლეთა კანონით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს წარმოშობს:

ა. მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებული ქორწინება; ბ. ფაქტობრივი ქორწინება, იგულისხმება ქალისა და მამაკაცის ერთად ცხოვრება და საოჯახო მეურნეობის ერთობლივად წარმართვა 15 წელზე მეტი ვადით; გ. მხოლოდ ჯვარდაწერილი და შესაბამისად დარეგისტრირებული ქორწინება; დ. მხოლოდ სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით დადებული საქორწინო ხელშეკრულება.

78. შემოხაზეთ პირველი რიგის მემკვიდრეები კანონით მემკვიდრეობისას:

ა. ვაჟიშვილი; ბ. დედა; გ. დეიდა; დ. მამა; ე. შვილიშვილი; ვ. ქმარი; ზ. ქალიშვილი; თ. ბიძა; ი. ცოლი; კ. ნაშვილები; ლ. მშვილებელი; მ. მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 2 თვეში დაბადებული ვაჟიშვილი.

79. ანდერძის სამართლებრივი ნამდვილობისთვის ის:

ა. წერილობით უნდა იყოს შედგენილი. ამასთანავე, სავალდებულო არ არის ნოტარიულად დამოწმება;

ბ. შეიძლება ზეპირადაც იყოს შედგენილი თუ მის გადმოცემას ორი სრულწლოვანი მოწმე ესწრებოდა (ე.წ. შინაურული დაბარება);

გ. წერილობით უნდა იყოს შედგენილი და დამოწმებული ნოტარიუსის მიერ;

დ. შეიძლება ზეპირადაც იყოს შედგენილი თუ მის გადმოცემას ესწრებოდა უფლებამოსილი ნოტარიუსი.

80. უმკვიდროდ დარჩენილი ქონება:

ა. გადაუნაწილდება უპატრონო ბავშვთა სახლებსა და უმუშევართა სახელმწიფო ფონდს; ბ. გადაეცემა მამკვიდრებლის ნაცნობებს, რომლებიც დაამტკიცებენ გარდაცვლილთან

მინიმალური ურთიერთობის არსებობას მაინც; გ. გადაეცემა სახელმწიფოს; დ. გაიყიდება აუქციონზე და გადაეცემა რომელიმე მოქმედ ეკლესიას.

81. მონიშნეთ სწორი თეზები – სამკვიდრო ქონებაში შედის:

ა. მამკვიდრებლის მხოლოდ ინდივიდუალური ქონება; ბ. მამკვიდრებლის წილი თანასაკუთრებაში; გ. მამკვიდრებლის ვალები; გ. ქონება, რომელიც ანდერძის შედგენისას ჯერ კიდევ არ არის მამკვიდრებლის საკუთრება, თუმცა სამკვიდროს გახსნის მომენტისათვის მისი საკუთრება იქნება; დ. საგვარეული წიგნები; ე. დაყადაღებული უძრავი ნივთები.

82. მამკვიდრებელს შეუძლია მემკვიდრეს ანდერძით დააკისროს სხვა პირის სასარგებლოდ რაიმე მოქმედების შესრულება:

ა. მხოლოდ და მხოლოდ სამკვიდროს ხარჯზე და ისეთი მოქმედების შესრულება, როგორიცაა, მაგალითისათვის, ამ პირისთვის რაიმეს შეძენა (რეგენტი);

ბ. არა მხოლოდ მიღებული სამკვიდროს, არამედ მემკვიდრის მთლიანი ქონების ხარჯზე და ისეთი მოქმედების შესრულება, როგორიცაა, მაგალითისათვის, ამ პირისთვის რაიმე ქონების შეძენა და საკუთრებაში გადაცემა (ლეგატი);

გ. მხოლოდ და მხოლოდ სამკვიდროს ხარჯზე, ამასთანავე, ნაანდერძევი სამკვიდროს რეალური ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლების შემდეგ, რომელიც ამ მემკვიდრეს შეხვდა (ლეგატი);

დ. მხოლოდ და მხოლოდ სამკვიდროს ხარჯზე, ამასთანავე, ნაანდერძევი სამკვიდროს რეალური ღირებულების ფარგლებში მამკვიდრებლის ვალების იმ ნაწილის გამოკლებამდე, რომელიც ამ მემკვიდრეს შეხვდა (მამკვიდრებლის დავალება);

83. მონიშნეთ სწორი მსჯელობა:

ა. სამოქალაქო კოდექსი ითვალისწინებს რამდენიმე ანდერძის არსებობის შესაძლებლობას;

ბ. მამკვიდრებლის გარდაცვალების შემდეგ რამდენიმე ანდერძის აღმოჩენის შემთხვევაში, ყველა მიიჩნევა ბათილად და კანონით მემკვიდრეობა ამოქმედდება;

გ. რამდენიმე ანდერძის შემთხვევაში, როდესაც ერთი სანოტარო ფორმითაა შედგენილი და დანარჩენი ნოტარიული დამოწმების გარეშე, უპირატესობა სანოტარო ფორმით შედგენილ ანდერძს მიენიჭება;

დ. ანდერძი გარიგების ერთ-ერთი სახეა, შესაბამისად, მასზე ჩვეულებრივ ვრცელდება გარიგების ბათილობის ზოგადი წესები;

ე. ანდერძის ნებისმიერი ნაწილის განკარგულების ბათილობა ავტომატურად იწვევს მთელი ანდერძის ბათილობას.

84. სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობის თანახმად კერძო საჩივრის შეტანა შეუძლია:

ა. მხოლოდ მოსარჩელეს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე;

ბ. მხოლოდ მოპასუხეს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, რომლითაც მოსარჩელის მოთხოვნა დაკმაყოფილდა;

გ. მხარეებს სასამართლოს მიერ გამოტანილ განჩინებებზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში;

დ. მხარეებს სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

85. განმარტეთ რას ნიშნავს დისპოზიციურობის პრინციპი სამოქალაქო საპროცესო სამართალში და ახასიათებს თუ არა აღნიშნული სისხლის სამართლის პროცესს. როგორ ფიქრობთ, რატომ ახასიათებს ან არ ახასიათებს აღნიშნული სისხლის სამართალს?

---

86. რუსთავის საქალაქო სასამართლოში შევიდა სარჩელი მოპასუხე პეტროსიანის წინააღმდეგ, რომლის საცხოვრებელი ადგილიც ქალაქ ქუთაისშია. რუსთავის სასამართლომ საქმე გადაუგზავნა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, რის საფუძვლადაც მიუთითა, რომ (მონიშნეთ სწორი საფუძველი):

ა. საქმე მის უწყებრივ დაქვემდებარებაში არ შედიოდა; ბ. საქმე მის ტერიტორიულ განსჯადობაში არ შედიოდა; გ. საქმე მის საგნობრივ განსჯადობაში არ შედიოდა; დ. საქმე არც მის უწყებრივ ქვემდებარებაში შედიოდა და არც განსჯადობაში.

87. დაბადების მოწმობაში, ქორწინების მოწმობაში ან სხვა რაიმე ოფიციალურ დოკუმენტში ტექნიკური უზუსტობის ჩასწორებისთვის, როგორც წესი, მიმართავენ სასამართლოს, რომელიც აღნიშნულს იხილავს:

ა. გამარტივებული წარმოების წესით; ბ. სასარჩელო წარმოების წესით; გ. უდავო წარმოების წესით; დ. პროცედურული წარმოების წესით.

88. სამოქალაქო საპროცესო სამართლის შესაბამისად მოპასუხის მისამართის მოძიებისა და სარჩელში მითითების ვალდებულება აკისრია:

ა. მოსარჩელეს; ბ. მოსამართლის თანაშემწეს; გ. სასამართლოს კანცელარიას; დ. პატრულს; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

89. მონიშნეთ სწორი დებულება(ები) – სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულება:

ა. ყოველთვის ხდება სააღსრულებო ფურცლის გამოყენებით აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ;

ბ. შესაძლოა მოხდეს სააღსრულებო ფურცლის გაცემის გარეშე აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ;

გ. შესაძლოა მოხდეს სააღსრულებო ფურცლის გაცემისა და აღსრულების ეროვნული ბიუროს გარეშე, თუკი მხარე ნებაყოფლობით ასრულებს სასამართლოს გადაწყვეტილებით მასზე დაკისრებულ მოქმედებას;

დ. შესაძლოა მოხდეს სააღსრულებო ფურცლის გამოყენებით კერძო აღმასრულებლის მიერ. ამასთანავე, მნიშვნელობა არ აქვს საქმე სამოქალაქო სამართლებრივია თუ სისხლის სამართლებრივი.

90. 77 წლის მამუკა ასაკის გამო არ მიიღეს სამსახურში ღამის დარაჯის პოზიციაზე. დაასაბუთეთ, რატომ არ ითვლება აღნიშნული დისკრიმინაციად შრომით სამართლებრივ ურთიერთობაში.

---

91. მოქმედი შრომის სამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად დასაქმებულს შვებულება ეძლევა:

ა. მუშაობის დაწყებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ, ამ ვადაზე ადრე შვებულების მიცემა დაუშვებელია;

ბ. მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ, ამ ვადაზე ადრე შვებულების მიცემა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით;

გ. მუშაობის დაწყებიდან 11 თვის გასვლის შემდეგ, ამ ვადაზე ადრე შვებულების მიცემა დაუშვებელია;

დ. მუშაობის დაწყებიდან 12 თვის გასვლის შემდეგ, ამ ვადაზე ადრე შვებულების მიცემა დაუშვებელია.

92. შრომის სამართლებრივი კანონმდებლობის თანახმად:

ა. შრომის ხელშეკრულება ეს არის სანივთო სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომლის დასადებადაც აუცილებელია მარტივი წერილობითი ფორმა;

ბ. შრომის ხელშეკრულება, ეს არის ვალდებულებით სამართლებრივი ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე, რომლისთვისაც არსებითი მახასიათებელია დასაქმებულის მიერ სამუშაოს პირადად შესრულების ვალდებულება. ამ ტიპის ხელშეკრულების დადებისათვის კანონი სავალდებულო წერილობით ფორმას არ ითვალისწინებს;

გ. შრომის ხელშეკრულება დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთდაქვემდებარებული ხასიათის მდგომარეობიდან გამომდინარე, საჯარო სამართლებრივი ხელშეკრულებაა;

დ. შრომის ხელშეკრულება ცალმხრივ გარიგებას წარმოადგენს, სადაც დამსაქმებელს მიზეზის მითითების გარეშე, ნებისმიერ დროს შეუძლია დასაქმებულის განთავისუფლება;

ე. არც ერთი დებულება არ არის სწორი.

93. რა განსხვავებაა გაფიცვასა და ლოკაუტს შორის?

---

94. ჩამოთვლილთაგან რომელი მსჯელობაა სწორი:

ა. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა ეს არის მართლზომიერი და ერთჯერადი საქმიანობა, რომელიც ხორციელდება მოგების მიღების მიზნით და ორგანიზებულად;

ბ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა ეს არის ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, რომელსაც ახასიათებს მართლზომიერება, არაერთჯერადობა, დამოუკიდებლად და ორგანიზებულად განხორციელებადობა და რომელიც მიმართულია მოგების მიღებისაკენ;

გ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა ეს არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობა, რომელიც დამოუკიდებლად და ორგანიზებულად ხორციელდება მოგების მიღების მიზნით;

დ. საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სამეწარმეო საქმიანობა ეს არის მართლზომიერი და არაერთჯერადი საქმიანობის რომელიმე სახე მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონში ჩამოთვლილი შესაძლო საქმიანობების ნუსხიდან. ასეთი საქმიანობის არსებითი ნიშანი მოგების მიღების მიზანია.

95. შემოხაზეთ მართებული დებულებები სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოების (სპს) შესახებ:

ა. სპს-ის დაარსება შეუძლია მხოლოდ ფიზიკურ პირებს; ბ. სპს-თვის დამახასიათებელია

პასუხისმგებლობის შეზღუდვა და მისი შემოფარგვლა პარტნიორების მიერ განხორციელებული შენატანებით; გ. სპს-ში ხელმძღვანელობის უფლება კომანდიტური საზოგადოებისგან განსხვავებით ყველა პარტნიორს აქვს; დ. სპს თავისი ბუნებით კაპიტალური ტიპის საზოგადოებაა.

96. მონიშნეთ მართებული დებულებები:

ა. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია სააქციო საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებად გარდაქმნა და პირიქით;

ბ. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გარდაქმნა სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებად;

გ. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია ინდივიდუალური საწარმოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოდ გარდაქმნა;

დ. შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად, დასაშვებია არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის გარდაქმნა საჯარო სამართლის იურიდიულ პირად.

97. ჩამოთვლილთაგან მონიშნეთ სწორი ვარიანტები – მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის თანახმად, იურიდიული პირის ლიკვიდაციის გადაწყვეტილება შეიძლება მიიღოს:

ა. მხოლოდ სასამართლომ; ბ. მხოლოდ მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებმა; გ. როგორც სასამართლომ, ისე მეწარმე იურიდიული პირის პარტნიორებმა; დ. სასამართლომ და მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრმა.

98. ჩამოაყალიბეთ რა განსხვავებაა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირსა და მეწარმე სუბიექტს შორის:

---

99. საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად საშემოსავლო გადასახადის გადახდის ვალდებულება ეკისრება:

ა. ნებისმიერ პირს, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სახით იღებს შემოსავალს – შემოსავლის 20 პროცენტის ოდენობით; ბ. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ მხოლოდ ფიზიკურ პირს, როგორც ამ ქვეყნის მოქალაქეს, ისე უცხო ქვეყნის მოქალაქეს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც რაიმე სახით იღებს შემოსავალს – შემოსავლის 18 პროცენტის ოდენობით; გ. მხოლოდ საქართველოს მოქალაქეს, რომელიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებიდან იღებს შემოსავალს – შემოსავლის 15 პროცენტის ოდენობით; დ. საქართველოს ტერიტორიაზე მყოფ ნებისმიერ ფიზიკურ პირს, რომელიც რაიმე სახით იღებს შემოსავალს – შემოსავლის 20 პროცენტის ოდენობით; ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

100. ვინ არის გადასახადის გადამხდელი და ვინ – საგადასახადო აგენტი. რა განსხვავებაა მათ შორის?

---

101. თქვენი აზრით, რა დანიშნულება აქვს გადასახადებს სახელმწიფოსა და მისი მოქალაქეებისათვის?

---

102. საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად, ვის ეკისრება საკონტროლო სალარო აპარატის გამოყენების ვალდებულება?

ა. პირებს, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებას უნაღდო ანგარიშსწორებით აწარმოებენ;

ბ. პირებს, რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებას ნაღდი ფულადი ანგარიშსწორებით აწარმოებენ;

გ. იურიდულ პირებს (მეწარმე სუბიექტებს), რომლებიც ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისას საქონლისა და მომსახურების მომხმარებლისათვის მიწოდებას ნაღ-დი ფულადი ანგარიშსწორებით აწარმოებენ;

დ. მხოლოდ გარემოვაჭრე ფიზიკურ პირებს, რომლებიც ნაღდი ფულით ვაჭრობენ.

ე. არც ერთი პასუხი არ არის სწორი.

103. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რა შემთხვევაში (ებში) იხდის ფიზიკური პირი ქონების გადასახადს?

ა. თუ მას საკუთრებაში აქვს ნებისმიერი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა; ბ. თუ მას მფლობელობაში აქვს საქართველოს ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონება და მისი ოჯახის წინა წლის შემოსავლები 60 000 ლარს აღემატება; გ. თუ მას საკუთრებაში აქვს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, რომელიც გადასახადის გადახდისგან გათა-ვისუფლებული არ არის; დ. თუ მას მფლობელობაში აქვს საქართველოს ტერიტორიაზე დასაბეგრი ქონება და მისი ოჯახის წინა წლის შემოსავლები 40 000 ლარს აღემატება.

დანართი

კროსვორდი № 1



კროსვორდი № 1 – კითხვები:

1. ქვეყნის უმთავრესი კანონი/ცენტრში შვეულად;
2. კონსტიტუციის შესავალი ნაწილი;
3. საქართველოს ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების აღდგენის შემდეგ ორპალატიანი პარლამენტის ერთ-ერთი პალატა, რომელიც სხვა წევრებთან ერთად საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისგან შედგება;
4. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა, სადაც ცენტრალური ხელისუფლებაა წამყვანი მნიშვნელობის და როდესაც ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად არ არსებობენ რაიმე პოლიტიკური ძალმოსილების მქონე სუბიექტები;
5. პარლამენტის მუშაობის ორგანიზაციისათვის შექმნილი წარმონაქმნი, რომელშიც გაერთიანებულნი არიან პარლამენტის თავმჯდომარე, მისი მოადგილეები, კომიტეტებისა და ფრაქციების თავმჯდომარეები;
6. პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანო;
7. საკანონმდებლო საკითხების წინასწარი მომზადების, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით შექმნილი სუბიექტი. არსებობს იურიდიულ საკითხთა, ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის, თავდაცვისა და უშიშროების და ა.შ.;
8. პარლამენტის წევრთა გაერთიანება საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, შედგება პარლამენტის მინიმუმ 6 წევრისგან;
9. სახელმწიფოს ტერიტორიული მოწყობის ფორმა, რომელშიც ცენტრალური ხელისუფლების გარდა არსებობს დამოუკიდებელი ერთეულები (სუბიექტები), რომელთაც აქვთ საკუთარი კონსტიტუცია, საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ორგანოები. ამ ტიპის სახელმწიფოა ამერიკის შეერთებული შტატები;
10. პრეზიდენტის მიერ კონსტიტუციის დარღვევის ან მის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების არსებობის შემთხვევაში კანონით დადგენილი წესით მისი თანამდებობიდან გადაყენების წესი. აღნიშნული წესი გამოიყენება არამხოლოდ პრეზიდენტის მიმართ;
11. საკანონმდებლო აქტი, რომლითაც პარლამენტის შინაგანი სტრუქტურა და მუშაობის წესია განსაზღვრული;
12. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო;
13. სახელმწიფო ხელისუფლების წყარო;
14. სახელმწიფო ან საზოგადოებრივად მნიშვნელოვან საკითხებზე ხალხის საყოველთაო გამოკითხვა;
15. საქართველოს სახელმწიფოსა და სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმება;
16. პირის თხოვნის საფუძველზე სახელმწიფოს მიერ უცხოელის ან მოქალაქეობის არმქონე პირისთვის მოქალაქეობის მინიჭება;
17. მოქალაქეთა მასობრივი საჯარო გამოსვლა, მსვლელობა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოხატვის მიზნით, ან მსვლელობა პლაკატების, ლოზუნგების, ტრანსპარანტების თუ სხვა საშუალებების გამოყენებით;
18. ხშირ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაურის მიერ პარლამენტის მიერ მიღებული კანონის ძალაში შესვლის აკრძალვა. სიტყვასიტყვით ნიშნავს „ვკრძალავ“;
19. სახელმწიფო მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც მთელი ძალაუფლება ერთი პიროვნების ხელშია კონცენტრირებული;
20. კანონის ძალის მქონე ნორმატიული აქტი, რომელსაც გამოსცემს საქართველოს პრეზიდენტი კონსტიტუციით განსაზღვრულ შემთხვევებში;
21. საქართველოს უზენაესი სასამართლო არის _____ სასამართლო.

კროსვორდი № 2



კროსვორდი № 2 – კითხვები:

1. თეოდორ დოსტოევსკის რომანი, 3 სიტყვა;
2. თეთრი მონობა 21-ე საუკუნეში, ადამიანით ვაჭრობა;
3. სასჯელის ერთ-ერთი მიზანი, დამნაშავის _____;
4. ბერძნული სიტყვაა და გაშტერებას ნიშნავს**;**
5. მეტროში მგზავრობისას ლევანმა ქალბატონს ძალის გამოყენებით ხელიდან ოქროს საათი წაგლიჯა და გაიქცა. ლევანმა ჩაიდინა _____**;**
6. სისხლის სამართლის პროცესისთვის დამახასიათებელი, საპროცესო კოდექსით განმტკიცებული ერთ-ერთი პრინციპი;
7. პირი, რომელიც სხვას დაიყოლიებს დანაშაულის ჩასადენად;
8. ამსრულებლის მიერ ისეთი მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა, რომელიც დანაშაულის სხვა სუბიექტების (თანაამსრულებლის ან თანამონაწილის) განზრახვას არ წარმოადგენდა - ამსრულებლის _____;
9. სასჯელის ერთ-ერთი სახე;
10. ლევანმა, რომელიც ქუჩაში მიმავალ ქალს მალულად აედევნა, ჩანთიდან საფულე ამოაცალა და მიიმალა;
11. დანაშაულის შემადგენლობას, როდესაც სახეზე გვაქვს დამამძიმებელი გარემოება (მაგალითისთვის, წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მკვლელობა) _____ შემადგენლობა ეწოდება;
12. ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობა. ამ მდგომარეობაში ჩადენილი მკვლელობა, შემამსუბუქებელ გარემოებაში ჩადენილ მკვლელობად მიიჩნევა;
13. დარგი, რომელიც დანაშაულის გახსნის მეთოდებს შეისწავლის;
14. დანაშაულის შემადგენლობას, როდესაც სახეზე გვაქვს შემამსუბუქებელი გარემოება (მაგალითისთვის, მკვლელობა ძლიერი სულიერი აღელვების მდგომარეობაში) ___ _____ შემადგენლობა ეწოდება;
15. აღკვეთის ღონისძიების ერთ-ერთი სახე;
16. სისხლის სამართლის პროცესში მონაწილე პირი;
17. დანაშაულში თანამონაწილე პირი, რომელიც ხელს უწყობს პირს დანაშაულის ჩადენაში;
18. პირის სრულად გათავისუფლება სასჯელისგან ან სასჯელის შემსუბუქება; აღნიშნულს ახორციელებს პარლამენტი ინდივიდუალურად განუსაზღვრელ პირთა წრის მიმართ;
19. სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც ბრალდებულს ცნობს დამნაშავედ ან ამართლებს მას;
20. ამ პროფესიის წარმომადგენელი სისხლის სამართლის პროცესში მონაწილეობას ვერ მიიღებს ნაფიც მსაჯულად;
21. სისხლის სამართლის პროცესის მხარე, რომელსაც ბრალდების მტკიცების ტვირთი ეკისრება.

კროსვორდი № 3



კროსვორდი № 3 – კითხვები:

1. სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი, რომლის უფლებაც კონსტიტუციით გარანტირებული ერთ-ერთი ძირითადი უფლებაა;
2. პირის უნარი თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები; შეთავაზება ხელშეკრულების დადების შესახებ;
3. აქცეპტის მიმღები;
4. პრეზუმფცია, რომელიც მოქმედებს საჯარო რეესტრის მიმართ;
5. დამქირავებლის მიერ ქირავნობის საგნის სხვა პირისთვის სარგებლობაში გადაცემა გამქირავებლის წინასწარი თანხმობით;
6. მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომლითაც პირს ადგება ზიანი;
7. დასაქორწინებელ პირთა წინასწარი თანხმობა, რომელიც დაქორწინების ვალდებულებას არ წარმოშობს;
8. ქორწინების შეწყვეტის ერთ-ერთი საფუძველი;
9. ქორწინებას, რომელიც მიზნად არ ისახავდა ოჯახის შექმნას ეწოდება ..... ქორწინება;
10. ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის მოპოვება პირის ნება-სურვილით;
11. პირველი რიგის მემკვიდრე;
12. სამკვიდრო მოწმობის აღების ეტაპზე, ლევანმა აღმოაჩინა, რომ გარდაცვლილი მამის დაბადების მოწმობაში სახელის უზუსტობას აქვს ადგილი – სასამართლო წარმოების სახე, რომლითაც სავარაუდოდ შესაძლებელი იქნება აღნიშნული უზუსტობის გამოსწორება;
13. მოსარჩელის სარჩელზე კანონით დადგენილ ვადებში მოპასუხის მიერ გაცემული პასუხი;
14. თანხის კანონით დადგენილი ოდენობა, რომელიც აუცილებელია სასამართლოში სამოქალაქო სამართლებრივი საქმის აღძვრისას;
15. უსასყიდლო ხელშეკრულების ერთ-ერთი სახე;
16. პირის უნარი პასუხი აგოს (აანაზღაუროს) მის მიერ მიყენებული დელიქტისთვის (ზიანისთვის);
17. გარიგება ეს არის ცალმხრივი, ორმხრივი ან მრავალმხრივი;
18. შვიდიდან თვრამეტ წლამდე პირი სამოქალაქო სამართალში;
19. ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელსაც სასამართლო უნიშნავს მცირეწლოვანს ან სულიერად ავადმყოფს ან ჭკუასუსტს, ამ უკანასკნელთა ინტერესების წარმოსადგენად;
20. გარკვეული პირობების არსებობის შემთხვევაში სრულწლოვანებას მიუღწეველი პირის გათანაბრება სრულწლოვანი პირისადმი;
21. მოძრავი ნივთის ან არამატერიალური ქონებრივი სიკეთის გამოყენება მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებად;
22. ცალმხრივი გარიგება, რომლის ნამდვილობისთვის მხოლოდ ერთი პირის ნების გამოვლენაა საკმარისი.

კროსვორდი № 4



კროსვორდი № 4 – კითხვები:

1. დაასრულეთ ბენჯამენ ფრანკლინის ცნობილი გამონათქვამი - „ცხოვრებაში ორი რამაა გარდაუვალი - სიკვდილი და ....;
2. დოკუმენტი, რომელიც გაიცემა ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე და რომელიც მისი გაცემის მომენტისთვის მისი მფლობელის განსაკუთრებულ უფლებებს ადასტურებს;
3. შრომითი ურთიერთობის ერთ-ერთი სუბიექტი;
4. შრომის სამართლისთვის დამახასიათებელია როგორც ინდივიდუალური ხელშეკრულება, ასევე ..... ხელშეკრულება, ეს უკანასკნელი იდება დამსაქმებელსა და ორ ან მეტ დასაქმებულს შორის;
5. გადასახადის სახე, რომლის გადახდის ვალდებულებაც საქართველოს კანონმდებლობით პირს დაეკისრება თუ ის ქვეყანაში არყის იმპორტირებას ეწევა;
6. საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი;
7. ოფიციალური დოკუმენტი, რომელზეც საავტორო უფლება არ ვრცელდება;
8. დამსაქმებლის დროებითი და ნებაყოფლობითი უარი შრომითი ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების შესრულებაზე;
9. შრომითი ურთიერთობის შეჩერების ერთ-ერთი საფუძველი;
10. კომანდიტური საზოგადოების ისეთი პარტნიორი, რომლის პასუხისმგებლობა საზოგადოების, კრედიტორების წინაშე შეზღუდული არ არის;
11. კოოპერატივის პარტნიორის მინიმალური შენატანი;
12. სამეწარმეო იურიდიული პირის წარმომადგენლობა, რომელიც იურიდიული პირი არ არის;
13. სამეწარმეო საქმიანობისთვის დამახასიათებელი ერთ-ერთი ნიშანი;
14. გადამუშავებული მხატვრული ნაწარმოები, რომელზეც საავტორო უფლება ვრცელდება;
15. პატენტუნარიანობის ერთ-ერთი კრიტერიუმი;
16. ნაწარმოების ავტორის ერთ-ერთი ქონებრივი უფლება - .....-ს უფლება;
17. დასაქმებულის მიერ დროის იმ მონაკვეთში სამუშაოს შესრულებას, რომელიც შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულ სამუშაო დროს აღემატება ..... სამუშაო ეწოდება;
18. დამსაქმებლის მიერ დასაქმებულისათვის სამუშაოს ინტერესებიდან გამომდინარე სამუშაო ადგილის დროებითი შეცვლა;
19. შეთანხმება პარტნიორებს შორის, რომლითაც საწარმოს საქმიანობასთან და პარტნიორთა ურთიერთობებთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება;
20. ფასიანი ქაღალდი, რომელსაც ფლობს სააქციო საზოგადოების პარტნიორი (აქციონერი).

კროსვორდის პასუხები

კროსვორდი № 1 – პასუხები.



კროსვორდი № 2 – პასუხები.



კროსვორდი № 3 – პასუხები.



კროსვორდი № 4 – პასუხები.